# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 აპრილი 2000 №70 (1092) | ფასი 50 თეთრი


## 9 შენი ტკივილი ჩემი ტკივილია



ნაოპერაციევ რონალდოს მთელი მსოფლიო ამხნევებს. იგი წლეულს ვეღარ ითამაშებს

## 14 აქაც ტონგა



ლიტვის მომგებ ქართველ ჭაბუკ მორაგბეებს მეტოქედ ტონგა ერგოთ

**ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი**

შესარჩევი ეტაპი

## ჩვენი ბედი ისევ რუსების ხელშია

**საქართველო 73:63 პოლონეთი**

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ქართველ ჭაბუკ კალათბურთელებს გუშინ უეჭველად უნდა მოეგოთ. სხვა გზა არ იყო და მათაც დაამარცხეს პოლონეთი. ეს რომ არა, კაცმა არ იცის, რა იქნებოდა, გარკვეული შანსი იქნებ მაინც შერჩენოდათ, თუმცა იმდენად ფერმკრთალი, სათქმელადაც არ ღირს.

ამ გამარჯვებამ ერთიორად დაამოკლა ფინალისკენ სავალი გზა. დღეს კი საბოლოოდ გაცხადდება ყველაფერი...

პირველი სლოვენიაა. ეს პატივი ექსიუგოსლაველებმა წუხელ მასპინძელ ფრანგთა 70:68 ძლევით ირგუნეს. დარჩენილი ორი საგზურისთვის კი იბრძვიან ქართველები, ფრანგები და რუსები. ამ უკანასკნელებმა გუშინ თურქეთი 77:51 დაამარცხეს.

საფრანგეთ—რუსეთის დღევანდელ მატჩს ჩვენებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ღმერთმა ნუ ქნას და, რუსეთმა თუ მოიგო, სამეულს მილმა დავრჩებით. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელების თქმით, ამის შემდეგ საქართველო-თურქეთის შედეგსაც აზრი დაეკარგება, რადგან ურთიერთშეხვედრებზე მიდგება საქმე. ეს კი ხელს არაფრით გვაძლევს, ჩვენ ხომ ფრანგებთან 16-ქულიანი ნაგება გვიმძიმებს ზურგს.

დღეს გამოჩნდება მასპინძელთა პრინციპულობაც. სლოვენიელებთან მარცხნაწნევ ფრანგებს რუსთა ძლევა ნამდვილად ხელენიფებათ და, სხვა თუ არაფერი, თავმოყვარეობა არ უნდა შეილახონ. ფრანგების გამარჯვება კი, ცხადია, ქართველებსაც დაუამებს თავის ტკივილს — რუსეთმა თუ წააგო, ჩვენ ფინალში ვართ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 4 | 4 | 0 | +41 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | +71 | 7 |
| საქართველო | 4 | 2 | 2 | -10 | 6 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | +12 | 6 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 3 | -35 | 5 |
| თურქეთი | 4 | 0 | 4 | -79 | 4 |



გუშინ ბათუმში: „დინამოს“ სტადიონის სიახლოვეს არეულობა ეს-ესაა დაიწყო

# ვიტ ჯორჯიამ ბათუმიდან სამი ქულა წამოიღო და დალეწილი ავტობუსი დატოვა

*გუშინ ბათუმში ვლადიმერ გოჩაშვილის გოლით მოგებულ „ვიტ ჯორჯიას“ სტადიონიდან გამოსვლისას ორმოცდაათამდე მოზარდი ჩაუსაფრდა და კლუბის ავტობუსს ქვების სეტყვა დაატეხა.*
*ვიტელთაგან არავინ დაშავებულა მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა მოასწრეს იატაკზე გაწოლა და ზემოდან სპორტული ჩანთების გადაფარება.*
*უავტობუსოდ დარჩენილ თბილისელებს 6 საათი წვიმაში ყურყუტმა მოუწია, ვიდრე ბათუმელები დროებით ქობულეთში მომლოდინეთ ახალ ავტობუსს გამოუძებნიდნენ...*

იხილეთ მეორე გვერდი

*სააგენტო „როიტერმა“ ცნობა ამ ინციდენტის შესახებ გუშინვე გაავრცელა*

TBILISI, April 14 (Reuters) - A group of about 200 fans of Georgian first division soccer side Dynamo Batumi attacked the bus carrying players from WIT Georgia Tbilisi on Friday in a rare incident of fan violence in the former Soviet state.

A club official from WIT said supporters smashed the bus's windows, making it impossible to drive the vehicle, after WIT had beaten Batumi 1-0.

The official said WIT had demanded a new vehicle from Batumi for the 500 kms trip back to Tbilisi.

Fans of Batumi had earlier vandalised two cars belonging to directors of the Tbilisi side.

**საქართველოს 11 ჩემპიონატი**

## 6 ტური

**«ა» ზონა**

14 აპრილი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| დინამო | 3 |
| სიონი | 0 |
| იბერია | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| ტორპედო | 4 |
| დილა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 31 |
| დინამო | 6 | 2 | 4 | 0 | 5:0 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 2 | 0 | 5:1 | 26 |
| ბათუმი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:2 | 26 |
| კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 18 |
| სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 17 |
| იბერია | 6 | 2 | 0 | 4 | 3:15 | 15 |
| დილა | 6 | 0 | 0 | 6 | 5:16 | 10 |

**«ბ» ზონა**

13 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| მერანი | 0 |

14 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 1 |
| გორდა | 0 |
| არსენალი | 4 |
| თბილისი | 2 |
| სამგურალი | 2 |
| ხობი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 7:1 | 23 |
| მერანი | 6 | 4 | 2 | 0 | 5:1 | 22 |
| თსუ | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 20 |
| გორდა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 18 |
| სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 13 |
| არსენალი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 11 |
| თბილისი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | 10 |
| ხობი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

საქართველოს 11 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

**6 ტური**

# მწვანე რისხვა

ბათუმი
14 აპრილი
16 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 0:1 ვიტ ჯორჯია**

0:1 გოჩაშვილი (78)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (აფხაზავა 77), მ. მახარაძე (რომანაძე 88), ლლონტი (ხუჯაძე 67), სიდამონიძე, კობიძე, გელა ქორიძე, ხომერიკი, ა. მუჯირი, მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თ. ტულუში, ი. მახარაძე, თედორაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, ი. ხაჭაპურიძე, გიორგი ქორიძე (რ. გოცირიძე 86), ვ. გოჩაშვილი (კობიაშვილი 68), დ. დოლიძე (ჯ. მუჯირი 82)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კოტორაშვილი, ზ. გვაზავა, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** დილმელაშვილი (36), ქორიძე (38), ჭურაძე (66), ხომერიკი (80)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

მამუკა კვანტალიანი ბათუმიდან

გუშინ „ბათუმმა" საჩემპიონო საში ქულა დაკარგა. არც ამჯერად დაირღვა ტრადიცია, „ვიტ ჯორჯია" მართლაც კერკეტი კაკალი გამოდგა ზღვისპირელთათვის, ისეთი კერკეტი, რომ კბილები წაამტვრევინა. ბათუმში აქამდე დაუმარცხებელმა ვეტერინარებმა თავი არც ამჯერად შეირცხვინეს, კარნევალის შეგირდებს მწვანე რისხვად დაატყდნენ თავს.

თამაში დაძაბულიც იყო და საინტერესო სანახავიც. სამწუხაროდ, არც ხულიგნური გამოხდომები (გნებავთ, ვანდალიზმი დაარქვით) აკლდა, აკლდა კი არა, სწორედ ამით გამოირჩა, თუმც ამაზე ქვემოთ.

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს, თუმც დიდი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლეს და მხოლოდ ორი სახიფათო მომენტსღა გამოირჩნენ. მაჭუტაძის თავურსა და ამირან მუჯირის ცაციით დარტყმულს მეკარე ჭურაძე აკრობატული ნახტომით დაუხვდა.

დანარჩენ დროს იყო ბრძოლა მინდვრის თითოეული მტკაველისთვის. სტუმრები მოედნის შუაგულს არ თმობდნენ, დაცვაც და მეკარეც საიმედოდ ირჯებოდა.

პირველ ტაიმში მსაჯობაც ობიექტური იყო. სტუმარ-მასპინძელი გუნთაძეს ვერაფერს უსაყვედურებდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „ვიტ ჯორჯიამ" სახიფათო კონტრიერიშებს უმატა. მართალია, ბათუმელები ისევ ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ წინახაზელებს მეტოქის საჯარიმოში შეღწევა უჭირდათ.



ბათუმელი პაატა მაჭუტაძის ეს თავური ვიტელთა მეკარე სერგო ჭურაძემ აიღო

მე-60 წუთზე სტუმრებმა მორიგი იერიში წამოიწყეს. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველ არჩვაძეს თავზე გადაევლო, ნოზაძემ მკერდზე მიიღო ბურთი და მიწაზე დაუშვებლად დაურტყა ტოგონიძეს. მეკარემ იხსნა „ბათუმი".

მერე მალხაზ მახარაძემ და ტოგონიძემ ვერ გაუგეს ერთმანეთს და მასპინძელთა კაპიტანმა კინაღამ ავტოგოლი ჩაიწერა აქტივში.

78-ე წუთზე კი სტუმრები მაინც დაწინაურდნენ. ყიფიანის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს გოჩაშვილმა კარგად შეურჩია ადგილი და თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

„ბათუმმა" უკანმოუხედავად შეუტია, თუმცა საგოლე მომენტი ერთხელღა შექმნა. საჯარიმოს მისადგომებთან მცველებს აფხაზავა გაეპარათ, კარს მარჯვნიდან მიახლოებულმა ბათუმელმა კი ბურთი გარედან მოარტყა ბადეს.

რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა, მით უფრო იძაბებოდა თამაში. გუნთაძე თითქმის ყოველ წუთს აჩერებდა მატჩს. მის ყველა სასტვენს სამართლიანს ვერ დავარქმევ, მაგრამ ისეთი არაფერი დაუშავებია, მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა მოეხდინა.

მალე მატჩიც დამთავრდა, ვიტელებმა ბოლომდე გაძლეს. „ბათუმს" აშკარად ეტყობოდა, სინიორ ჯანის ხელი რომ მოაკლდა. კარნევალი ორი დღის ჩამოსული იყო ბათუმში, იტალიაში იმყოფებოდა პირადი პრობლემების მოსაგვარებლად.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ უცბად სტადიონს ორმოცდაათამდე მოზარდი მოადგა, რომელთაც მსაჯებთან ანგარისწორება გადაეწყვიტათ. მათ ჯერ მსაჯთა ოთახის მინები ჩალეწეს, არც სხვა ადგილს მორიდებიან. მერე იქვე მდგომ მსუბუქ მანქანებს დაატეხეს ქვების წვიმა. არ გარჩეულა შინაურგარეული.

ჯერ ვითომ პოლიციამ განმუხტა დაძაბული ვითარება, მაგრამ მაინცდამაინც დიდი გულმოდგინება არ შეგვიტყვია წესრიგის დამცველთათვის.

მოთარეშეებმა ქალაქის გასასვლელისკენ გადაინაცვლეს. თურმე იქ ჩაუსაფრდნენ „ვიტ ჯორჯიას", თუმც ვერ გეტყვით, სტუმარ მოთამაშეებს რას ერჩოდნენ მსაჯების „კეთილად" მომხსენებლები.

ვეტერინართა ავტობუსი დალეწილია, მწვრთნელ-ფეხბურთელებმა მოასწრეს იატაკზე გაწოლა და ზემოდან სპორტული ჩანთების გადაფარება. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

როგორც იქნა, ბრბო დაიშალა. ნაგვიანევად, მაგრამ პოლიციამ წესრიგი მაინც დაამყარა. დარჩნენ სტუმრები გარეთ, თუმც ღვთის ანაბარა მაინც არა. მატჩის დელეგატი გია ფირცხალავა გვერდიდან არ მოსცილებია ვეტერინარებს, მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობაც, რა თქმა უნდა, იქ იყო.

ვიტელებმა როგორღაც ჩააღწიეს ქობულეთში, სადაც ავტობუსი ელოდათ. თავიანთი კი, დალეწილი, ბათუმში პოლიციას ჩააბარეს.

...მსაჯმა სამი პენალტი არ მოგვცა, კიოდნენ ატეხილი ვაი-ქომაგები, რომლებსაც ბათუმელ ფეხბურთის გულშემატკივრებს არც შევადარებ. თამაშის მცოდნეს და ნაღდ გულშემატკივარს მსაჯის აუგი იქ არ დაცდენია, მიუხედავად იმისა, რომ გუნთაძე რამდენჯერმე შეცდა.

იქნებ პენალტში იმას გულისხმოდნენ, პირველი ტაიმის შუაში მუჯირის დარტყმული ჭანკოტაძეს რომ მოხვდა ხელზე? განზრახ ხელით ითამაშა, ვერავინ იტყოდა. გუნთაძემაც თამაში განაგრძო.

ფედერაციაში ალბათ, მომხდარს გაანალიზებენ და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანენ, მაგრამ ყოველივე არ მოხდებოდა, პოლიცია უფრო ფხიზლად, უფრო მობილიზებული რომ ყოფილიყო. დროზე ალეკვეთათ ორიოდ კენჭისა და პლასტიკატის სკამის რამდენიმე ნატეხის ცვენა ჯერ კიდევ სტადიონზე და მერე, ალბათ, არც ქვების სეტყვა იქნებოდა.

საბოლოოდ, სტუმარიც დაზარალდა და „დინამოს" სტადიონიც. სტადიონის ჩამსხვრეული მინების გამოცვლას რამდენიმე ასეული ლარი ეყოფა, ავტობუსის რემონტს კი სულ ცოტა 3000 დოლარი დასჭირდებაო. ასეთი გახლდათ სპეციალისტთა ნაუცბათევი კომენტარი.



„ბათუმი" საკუთარ ბედს „ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებებით ეძებდა

სამტრედია
14 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
600 (ტევადობა 15 000)

**იბერია 1:0 კოლხეთი**

1:0 ივეჩიანი (45)
**იბერია:** ა. ჩომახიძე, ქვანია, კ. ჯანაშია (ხმალაძე 78), ბეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, მ. ჭინჭარაძე, ს. გიგიაძე, ზ. მეტრეველი, ივეჩიანი (გედენიძე 90), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; სანიკიძე, ბანძელაძე, ხუციძე, დ. ნოზაძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ზანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ხუცუა (შავგულიძე 63), ე. გვასალია, ლალანია, შალამბერიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; ბაპავა, ქუნთელია, კედელაშვილი, გ. იოტაია, დ. კვირკველია
**გაფრთხილება:** გოროზია (6), ტორჩინავა (76)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

# ჩომახიძის ბენეფისი

პაატა კვანტალიანი სამტრედიიდან

მეორე ტაიმის დაწყებას ბევრიც არ უკლდა, ცენტრალურ ტრიბუნასთან ოთხ სამტრედიელ გულშემატკივარს შორის გვარიანი კამათი რომ გაჩაღდა. სამი შედარებით ახალგაზრდა, ხანშიშესულ, სტაჟიან ქომაგს უმტკიცებდა — რადგან პირველი ბურთი ჩვენ შევაგდეთ, არაფერი გვიჭირს, მოგებული გვაქვს ეს თამაშიო. — ჩქარობ შენ, ბიძიკო, გაიხსენე, ვალი რომ გვაქვს ფოთის, მაგენიზა მოგებულმა 1:0-მა არ შეგვიყვანა „ა" ზონაში? ნახავთ აგერ, წავაგებთ ამ თამაშს — თავისაზე იდგა მოხუცი, მაგრამ წასაგები არაფერი სჭირდათ მასპინძლებს. რატომ? მათ კარში ალექსანდრე ჩომახიძე იდგა, 20 წლის მეკარე, რომელმაც დიდებული თამაშით ყველა ალტაცებაში მოიყვანა. „კოლხეთი", რა თქმა უნდა, უკეთეს შედეგს იმსახურებდა, მაგრამ...

ვერაფრით ვიხსენებ, ჩვენს ჩემპიონატში მეკარის ისეთ გააზრებულ, ფაქტობრივად უშეცდომო და ოსტატურ თამაშს, როგორიც ჩომახიძემ აჩვენა პარასკევს „ეროსი მანჯგალაძეზე" შეკრებილთ.

სტუმრებს უკვე მე-3 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მცველთა შეცდომით სწრაფმა ტრაპაიძემ ისარგებლა და პირისპირაც შეეჭრა მასპინძელთა კარის დარაჯს — ამაოდ, მეკარემ თავგანწირული ნახტომით შეძლო ბურთის მოგერიება. აქედან მოყოლებული, კოლხები მისდგნენ და საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს იბერიელები, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, უმეტეს შემთხვევებში კი გამოსვლებზე (ქართველი მეკარეების აქილევსის ქუსლია) უზადოდ ირჯებოდა ჩომახიძე. 25-ე წუთზე მასპინძელთა კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. ბურთთან ზაველი ლალანიძე მივიდა და 30 მეტრიდან ძლიერად გაისროლა — ბურთი მეკარის გავლით ძელს მოხვდა. ხუთი წუთის შემდეგ კიდევ ერთხელ ალაფრთოვანა ქომაგი მასპინძელთა კარის დარაჯმა. მარჯვენა ფრთიდან დავითნიძის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი ტრაპაიძემ მკერდით მიიღო და ძლიერი დარტყმით კარის შორეული ზედა კუთხისკენ გაგზავნა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჩომახიძემ წარმოუდგენელი რეაქციით, მაღალ ნახტომში შეძლო საფრთხის არიდება. უიღბლობამ კოლხები გააღიზიანა. ამას კი მასპინძელთა მხრიდან შეტევები მოჰყვა. მეშკოვის საპირველტაიმო საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ივეჩიანმა „იბერიის" ერთადერთი შანსი გამოიყენა. ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

მეორე ნახევარი კი თამაშგარეებისა იყო. შეტევაში გართულ სტუმრებს მეტოქის კონტრშეტევები ეპარებოდათ, მაგრამ ასეთ დროს იბერიელები ხშირად თამაშგარე რჩებოდნენ. გვერდითმა მსაჯმა ხუციშვილმა შვიდი წუთის ინტერვალში რვაჯერ (!) დააფიქსირა მასპინძლები ოფსაიდში. დროის გასვლასთან ერთად ფოთელები ალღლდნენ. 65-ე წუთისთვის თამაშს კოკისპირული წვიმაც შემოესწრო და დასავლურ დაპირისპირებას სიმწვავე მოაკლო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩომახიძისთვის. მან ჯერ შეცვლაზე შესულ შავგულიძეს ააცალა თავიდან ბურთი, 85-ე წუთზე კიკლიაშვილის ეფექტურ დარტყმას ვარდნაში გადაეფარა, წაქცეული მეკარე შალამბერიძის დარტყმასაც წამოუდგა და საპირისპირო კუთხეში მიმავალი ბურთიც მოიგერია... გუშინდელი დღე ჩომახიძის იყო.

ქუთაისი
14 აპრილი
16 საათი
ტორპედო
4 000 (ტევადობა 20 000)

**ტორპედო 4:1 დილა**

1:0 ბობოხიძე (22), 2:0 მეგრელაძე (37), 3:0 ჯანაშია (44), 4:0 მეგრელაძე (45), 4:1 ხორგუაშვილი (88)

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, თურმანიძე, მახვილაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ასათიანი, დ. ჯანაშია (თავბერიძე 46), მეგრელაძე (მედოევი 55), მ. ბობოხიძე (მაღლაკელიძე 65)

*სათადარიგონი:* ჭანტურია; ამისულაშვილი

**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე (ოლგესაშვილი 46), ელყანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, არუთინიანი (ებანოიძე 57), ფეზუაშვილი, საყვარელიძე, ხორგუაშვილი, სულთანიშვილი (კოჭლაშვილი 80)

*სათადარიგონი:* მდივანი; ვ. სამხარაძე, მარეხაშვილი, გაგნიძე

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

# ერთოვნულიც განათდა

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან



„ტორპედო“ შეტევაზე: მალხაზ ასათიანის (№22) თავური დარტყმა გორელთა კარში

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

**ჩემპიონატის** ლიდერმა ამ თამაშისთვის ძირითადის სამთან ორი შემცვლელიც მოისაკლისა. იონანიძე და ხვადაგიანი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, გოგიაშვილი დავით ყიფიანმა „დაასვენა“, რაც შეეხება იმედაძეს და ვაჩიბერაძეს, ამათ ტრავმები აწუხებდათ.

კიდევ კარგი, რომ „ტორპედოს“ გუშინ „დილა“ ჰყავდა მეტოქედ, გუნდი, რომელიც ქუთაისში სტუმრობამდე ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა და მეექვსე წაგებასაც არ ითაკილებდა. ჰო, სადაც ხუთს შეეგუა, იქ მეექვსესაც...

ისემც ყველაფერი კარგი აგიხდეთ! მართალია, გუშინ გორელებმაც ვერ იახლეს მთლად ძირითადი შემადგენლობა, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო. „დილამ“ პირწმინდად დაიჩაგრა თავი შესუსტებულ „ტორპედოსთან“. მატჩის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყდა, მასპინძლებმა ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს და, იმასაც გეტყვით, მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, ამ ოთხს არ იკმარებდნენ.

ალბათ, ხვდებით, რა თამაშიც იქნებოდა. „ტორპედო“ სრულ უპირატესობას ფლობდა. ის ამბავი, რომ მასპინძლებმა მხოლოდ შუა ტაიმში შეძლეს დაწინაურება, გორელთა თავდაცვისუნარიანობას კი არა, უფრო ტორპედოელი ბობოხიძის უიღბლობას უნდა მივაწეროთ. მართლაც, ვიდრე გაიტანდა, მიხეილს სამჯერ ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ ერთხელ ააცილა, ორჯერ კი სოლოლაშვილმა აუღო. შუა ტაიმში კი ის მოხდა, რომ მალხაზ ასათიანმა ითამაშა ჩინებულად, მოედნის ცენტრიდან „დილას“ საჯარიმომდე გზად ოთხი გორელი ჩამოიშორა და კარგადაც უპასა საჯარიმოში შეჭრილ პარტნიორებს. იქ, მართალია, უფრო ახლოს მეგრელაძე იმყოფებოდა, მაგრამ ბოლოს ბურთი მაინც ბობოხიძეს მიუვიდა და ამ ეპიზოდში ტორპედოელმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — სოლოლაშვილს ათიოდე მეტრიდან ზუსტად დაურტყა დაბალ კუთხეში.

თხუთმეტ წუთში მეგრელაძემ თითქმის ანალოგიური მდგომარეობიდან გააორა ანგარიში. სხვათაშორის ასათიანი ამ შეტევის ერთ-ერთი თანამონაწილეც გახლდათ. 40-ე წუთზე გოგიაშვილის შემცვლელ ... ნახევარმცველს თავადაც შეეძლო გატანა. იგი კარგად გავიდა მარცხნიდან ჩხეტიანის ჩაწოდებულზე, თავურიც დროულად შეაგება, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ტაიმის დამთავრებას წუთიღა აკლდა, როცა ჯანაშიამ ისარგებლა ახვლედიანის გადაცემით, მცველებს დაუსხლტდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მესამედ შეარხია „დილას“ კარის ბადე. არბიტრმა ორი წუთი დაამატა ტაიმს და, ტორპედოელებმა ეს დროც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. გორელი რევაზ ხაჭაპურიძე უხეშად შეცდა მოგერიებისას, ბურთი მეგრელაძეს ჩააბარა, რამდენიმე წამიც და... გიორგი დუბლის ავტორი შეიქნა.

„ტორპედომ“ შესვენებამდე გაინაღდა თავისი და მეორე ტაიმი, ფაქტობრივად, ფორმალობად იქცა. მასპინძლები ახლაც თითქოს და გასატანად იწევდნენ, მაგრამ ვერ გაჰქონდათ, სტუმრებიც თითქოს ინდომებდნენ, ეპიზოდურად იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ ხეირობდნენ. დავით ყიფიანმა მიყოლებით სამივე წინახაზელი რომ შეცვალა, ნათელი შეიქნა, „ტორპედო“ მიღწეულზეც ყაბულს იყო. ისე, ახალგატორპედოელებულ ზაზა მედოევს სურდა ძალიან თავის გამოჩენა, ორჯერ გატანის შანსიც მიეცა, მაგრამ ორჯერვე აუცდა. მერე ასათიანსაც დაუგვიანდა კარში დარტყმა.

გორელთაგან მასპინძლებს სულთანიშვილი თუ აწუხებდა. საბას 54-ე წუთზე კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან კარის ზემოთ დაარტყა. ათ წუთში მასვე ზოიძემ არ აცალა გატანა. „პრესტიჟის“ გოლი კი ტრადიციულად ხორგუაშვილის ანგარიშზეა. გორელი ქუთაისელ მეკარესთან პირისპირ დარჩა და...

ერთიც, რასაც გვერდს ვერ ავუვლით. კვირით ადრე სომხურ „არაქსთან“ ამხანაგური მატჩისას აჩახჩახებული სტადიონი გუშინაც განათდა ხელოვნურად. საქმე ის არის, რომ მეორე ტაიმში სტადიონს თავს ისეთი ღრუბელი ჩამოწვა, პროჟექტორები რომ არა, თამაშის გაგრძელება გაჭირდებოდა.

# თამაში პირველ გოლამდე

თბილისი
14 აპრილი
16 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 3:0 სიონი**

1:0 ზირაქიშვილი (85), 2:0 ნემსაძე (86), 3:0 წიტაიშვილი (90)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, შელია (გუჩუა 60), ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (ზირაქიშვილი 50), სიჭინავა, რ. არველაძე (შაშიაშვილი 65), გ. შენგელია, წიტაიშვილი

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, ნ. მინდიაშვილი, მაზანიშვილი (მ. სამხარაძე 6), მოსეშვილი, მ. გოგოლაძე, ისიანი (თ. სამხარაძე 87), ბ. შენგელია (ა. ბოკერია 80), კ. გოგოლაძე (თ. სამხარაძე 87)

*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ჩაგელიშვილი, დ. ჯაფარიძე

**გაფრთხილება:** მ. სამხარაძე (82)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ვახტანგ ბზიკაძე**

**ნუთუ,** მეხუთე 0:0? 85 წუთს ამ ფიქრით უცქირა „დინამო“ — „სიონს“ არასრულმა 1000 მაყურებელმა, რომლებსაც ბოლოსკენ ნაადრევად გამოაკლდათ მოზრდილი ნაწილი წვიმის და არა მხოლოდ წვიმის გამო.

მატჩის მიწურულს გაწვიმდა და გაწვიმდა „სიონის“ კარშიც — სამი გოლი ბოლო ხუთ წუთში. არადა, ბოლნისელთა გუნდი სულაც არ ჰგავდა გუშინ ამდენის გამშვებს.

ეს წვიმა, ბუნებრივიც და ხელოვნურიც, ციურ მანანასავით ეპკურა ოთარ კორღალიძის დამძიმებულ გულს, რომელიც ვერმოგების შემთხვევაში უმძიმეს სიტუაციაში, ვინ იცის, ეგებ, უმუშევარიც აღმოჩნდებოდა. მეტსაც გეტყვით, პირველმა ორმა გოლმა ისე გაახარა კორღალიძე, ისე აამჩატა და გაათამამა, ბოლნისელთა ძლევა იმ ჟესტით აღნიშნა, რომლის გამოც დასავლეთ საქართველოს ერთ დიდ ქალაქში 8 წელიწადს ვერ ჩადიოდა.

პირველი ტაიმი უგოლოდ კი მორჩა, მაგრამ თამაშით „დინამომ“ წააგო. კუთხური თბილისელებმა მეტჯერ მოაწოდეს, კარისკენაც მეტჯერ დაარტყეს, თამაშგარეთაც ნაკლებად იყვნენ, მაგრამ ბოლნისელთა ოთხი საგოლე შანსი „დინამოს“, უფრო ზუსტად რევაზ არველაძის ორი დარტყმის წინაამდეგ იმდენად აშკარა გამოჩნდა, „სიონის“ უპირატესობა აშკარად დასაჯერებელი იყო.

ვერაფერი სანახავი გახლდათ არაერთგზის დაჩაგრული ჯერაც მოუმზადებელი მურთაზ შელია, სხვებზე მეტად აქტიური, მაგრამ მაინც სხვებზე მძიმე რევაზ არველაძე და გაუგებარია, რა დამსახურებით წახალისებული (ძირითადში მოხვედრილი) თორნიკე რუხაძე.

„დინამოს“ თავკაცს ტაიმი დასჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ამ სამეულის თამაში არც გუნდს დააყრიდა კარგს რასმეს და არც წყალშემდგარ მწვრთნელს — კორღალიძემ მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში სამივე შეცვალა.

მართალია, ცვლილებები ნომინალურად არასრულფასოვანი ჩანდა, ორი მცველი და ერთი თავდამსხმელი, ერთი მცველის და ორი ნახევარმცველის სამაგიეროდ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანდა. სინამდვილეში კი გუჩუამ კაცი აღარ გააჭაჭანა შელიას ყოფნაში აკლებულ ფრთაზე, შაშიაშვილის იმედად წინწაწეული ნემსაძე გვარიანად შეეშველა ნახევარდაცვას და ფრთაზე დახეულ გიორგი შენგელიას ნაცვლად თავდასხმაში გამწესებულმა ზირაქიშვილმა სიმწვავე შემატა „დინამოს“ შეტევებს.

შალვა ისიანი კედელსგადატარებული და გრიშიკაშვილის მოგერიებული საჯარიმო დარტყმა შელიას და ნემსაძის შეცდომებით გამოწვეული ბესიკ შენგელიას ორი მწვავე გადაცემა და კახა გოგოლაძის უბადლო პასით გრიშიკაშვილის თავზე ნუკრი მინდიაშვილის გადაგდებული ბურთი — აი, საპირველტაიმოდ „სიონის“ მონაგარი.

ბოლო სამი შემთხვევიდან სამივეში ირაკლი ვაშაკიძემ იხსნა „დინამო“, განსაკუთრებით კი 40-ე წუთზე იყოჩალა — მინდიაშვილის დარტყმული ცარიელი კარიდან თავით რომ გამოიტანა.

„დინამომ“ კი მას შემდეგ გაინავარდა, რაც „სიონი“ დანებდა. ზირაქიშვილის თავურმა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობაში დაიჭირა მეკარე და კიდევ ორი მცველი, თანაც ისეთი ტრაექტორიით ჩაეშვა კარში, ბოლომდე გოლსაც არ გავდა და ამ დროს ვერც ვერავინ გამოიტანდა.

თამაში პირველ გოლამდე იყო — ნემსაძის და წიტაიშვილის დარტყმებს წინ აღარავინ აღდგომია. ამის მეტი „დინამოს“ არც დაურტყამს.

ვერაფერს იტყვი, 3:0 სჯობს „იბერიასთან“ ნათამაშევ 2:0-ს, რომ არაფერი ვთქვათ, უგოლო ფრეებზე.

ერთიც, სპარტაკ არჩვაძეს კორღალიძისგან განსხვავებით ძირითადი შემადგენლობის არჩევა არ შეშლია. უბრალოდ, მირზა სამხარაძემ გიორგი მაზანიშვილი მეექვსე წუთზე ტრავმის გამო შეცვალა.



გაბრიელ კოპალაძის ფოტო

ბოლნისელთა მეკარე თემურ ვოლკოვმა „დინამოს“ თავდამსხმელ ზაზა ზირაქიშვილს ბურთი თავიდან ააცალა

# სამი გარეთ, ექვსი კარში

თბილისი
14 აპრილი
16 საათი
ისანი
300 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 4:2 თბილისი**

0:1 გადელია (13), 1:1 კაკაშვილი (27), 2:1 ნივნივაძე (48), 3:1 ხოსროშვილი (66), 3:2 გადელია (67), 4:2 კაკაშვილი (90)
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი (გ. ტულუში 46), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე (წონკოლაური 70), კაკაშვილი, ნივნივაძე (ა. ხმალაძე 71) ხოსროშვილი
*სათადარიგონი:* დ. ქაცარავა; ჩალაძე, თ. კვირკველია
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი (ამაშუკელი 62), ლუდუშაური (ლოლაძე 62), ბურდული, ბარნოვი, ი. შენგელია, გონჩაროვი, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ზვ. ლაბაძე, ტყებუჩავა, ჩივაძე, ნორაკიძე
გაფრთხილება: პაპიძე (40), ბურდული (44), კაკაშვილი (49)
გაძევება: ბურდული (55), გონჩაროვი (55), ხოსროშვილი (80)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ურუშაძე (თბილისი); ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**კობა ინასარიძე**

მთელი მატჩი ისე მიმდინარეობდა, როგორც აუტსაიდერებს შეეფერებათ. მოსაწყენი და დუნე ბურთაობა იყო, უამრავი შეცდომით, უამრავი გამოუყენებელი მომენტით, სამი გაძევებით, ამდენივე გაფრთხილებით. საბოლოოდ „არსენალმა" „ბ" ზონის ფსკერიდან ორი საფეხურით აინაცვლა და გუშინდელი მეტოქეც უკან მოიტოვა. არადა, მატჩამდე „თბილისის" გამარჯვებას უფრო ელოდნენ. უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლთ „არსენალთან" დაკარგული სამი ქულა კი მომავალში იქნებ სანანებელი გაუხდეს.

თამაში „თბილისის" შეტევით დაიწყო, ისინი ბურთს მეტოქეზე დიდხანს აკონტროლებდნენ და მოკლე პასებით ცდილობდნენ მეკარე კუპატაძესთან მიახლოებას. გოლამდე ერთიორჯერ სახიფათოდაც დაარტყეს, მაგრამ კარს გვარიანად ააცილეს. ანგარიში ავლაბრის სტუმრებმა გახსნეს. მე-13 წუთი იყო, როცა ზამთარაძემ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში მყოფ გადელიას ბურთი თავზე დაასვა, მანაც პარტნიორს არ უმტყუნა, ცხრიანში გაიტანა. „თბილისის" დაწინაურდა და მომდევნო 10 წუთის განმავლობაში ორჯერ კიდევ შეეძლოთ გატანა, თავდამსხმელებმა შესცოდეს და გუნდიც დაისაჯა. 27-ეზე კაკაშვილმა დაახლოებით ოცი მეტრიდან მოულოდნელად, ლონივრად მოიქნია ცაცია და ბათიაშვილს შორეულ კუთხეში გაუტანა. თანაფარდობა რომ აღდგა, სულ მთლად გაფუჭდა თამაში, შესვენებამდეც ისე, სხვათა შორის აგორებდნენ ბურთს ფეხბურთელები, გამწვავებას არავინ ცდილობდა.

მატჩის განახლებიდან სამ წუთში კი შუკაკიძემ იყოჩაღა — „თბილისის" საჯარიმოს წინა ხაზს მიახლოებულმა სამი მეტოქე ჩამოიცილა და გონივრული პასით წივწივაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია, ძლიერად დაარტყა და თავისიანები გაახარა.

„თბილისმა" მოახლოებული საფრთხე რომ იგრძნო, ერთობ გააქტიურდა, მეტოქის ნახევარზე დასახლდა და... 55-ე წუთზე ცხრა კაცით დარჩა. ბურდული „არსენალის" საჯარიმოში წაიქცა და მსაჯს პენალტის დანიშვნა მოსთხოვა, კრიჭაშვილის ჟესტს კი, თამაში გააგრძელეო, გინებით უპასუხა. მსაჯმა, მიუხედავად ბურდულის თანაგუნდელთა დიდი თხოვნამუდარისა, „თბილისის" კაპიტანი მინდვრიდან მიაბრძანა და მაშინვე გონჩაროვმაც შეუკურთხა. კრიჭაშვილმა ისიც ბურდულის გზას გაუყენა.

ჯერ ისე რას აკეთებდა „თბილისი" და ცხრანი რაღას გახდებოდნენ. თუმცა გაშვებულ გოლამდე ისეთი მომენტი შეექმნათ, რომლის გაცუდებაც უფრო ძნელი იყო, ვიდრე გატანა — კუპატაძემ ცხვირწინ დარჩენილ ორ მეტოქეს აჯობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ჩააწოდა „თბილისმა" კუთხური. გადელია დაჯარიმდა. წაილო „არსენალმა" ბურთი და იქით გაიტანა ხოსროშვილმა, რომელიც 15 წუთის შემდეგ, მეტოქეთაგან განსხვავებით, ქომაგის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევა მსაჯმა. მან კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გააჩერა, გაისწორა და ლამაზი გოლი შეაგდო. ორიოდ წუთში კი გადელიამ ისარგებლა მასპინძელი მცველების შეცდომით და დუბლი გაახერხა. „თბილისს" ქულის გადარჩენის შანსი კიდევ ჰქონდა. „არსენალს" თითქმის მთელი გუნდითაც შეუტია, მაგრამ სულ ბოლო წუთზე ერთიც გაუშვეს — წარმოიდგინეთ, ხუთი არსენალელი მაჭავარიანისა და მეკარე ბათიაშვილის წინაალმდეგ დარჩა. აბა, ესეც რომ ვერ გაეტანათ...



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

შეცვლილი ლუდუშაური (შუაში) გაძევებულ ბურდულთან და გონჩაროვთან ერთად



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

არსენალელი ედიშერ ალადაშვილი და დუბლის გამტანი თემურ გადელია

# ერთი დღე, ორი სიხარული

მცხეთა
14 აპრილი
16 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:0 გორდა**

1:0 დეკანოსიძე (72)
თსუ: მერლანი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია, ხართიშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (ბარქაია 89), ერაძე, კვიციანი (დ. არჩვაძე 65)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, გ. გოცირიძე, ქადაგიძე, ფარქოსაძე, გ. ნოზაძე
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე (ბექაური 69), ბურნაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, სილაგაძე, მიშველიძე, ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (მ. სახვაძე 74)
*სათადარიგონი:* გონგაძე, კიტეიშვილი, ბაჩილავა, პატარიძე, ნიკლაური
გაფრთხილება: მელაძე (5), ერაძე (6), ალადაშვილი (27), ხართიშვილი (88)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე ხონიდან), გ. ცირდავა (გულრიფშიდან); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

**ვანო ყორღანიძე მცხეთიდან**

მცხეთაში ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თავი ქუდში სულ თუ არა, სანახევროდ რომ მაინც აქვთ. გუშინდლამდე „გორდა" მთელი რვა ქულით იყო სახიფათო ზონას დაშორებული, თსუ კი — ხუთით. ახლა სხვაობა შემცირდა, „გორდასა" და „სამგურალს" 5 ქულაღა აშორებთ ერთმანეთისგან, თუმცა წყალტუბოელებს მეტოქის გადასწრება ძალიან გაუჭირდებათ. საბოლოოდ ვინ შეინარჩუნებს პირველ ლიგაში ადგილს და ვინ — ვერა, ამას დრო გამოაჩენს, ჩვენ კი დროა გუშინდელ თსუ — „გორდას" მატჩზე ვთქვათ.

სტადიონზე მისვლით თავი ბევრს არ შეუწუხებია, თუმც ტრიბუნაზე მოკალათებული ასიოდე კაცი პირველ ტაიმში (განსხვავებით მეორე ნახევრისგან) ძალიან უინტერესო და მოსაწყენი თამაშის მოწმე გახდა და იქნებ სტადიონზე მისვლაც ინანა. მთელი 45 წუთის განმავლობაში ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი შეიქმნა — მე-15 წუთზე მასპინძელთა მორიგი შეტევისას ერაძემ კარგად შეიგდო ბურთი საჯარიმოში და ბედიაშვილთან პირისპირ აღმოჩნდა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ წუწუნავამ თანაგუნდელს არ აცალა, თავად დაარტყა და ბურთი მიზანს ოდნავ ააცილა.

ბევრისთვის გასაკვირად, სუსტად გამოიყურებოდნენ ძმები კილასონიები. მართალია, სტუმართა თითქმის ყველა სახიფათო მომენტის სულისჩამდგმელები ისინი იყვნენ, მაგრამ გოლის საფრთხე მასპინძელთა კარს იშვიათად ემუქრებოდა. ვალერი კილასონია შედარებით უფრო მეორე ტაიმში გააქტიურდა.

მეორე ნახევარი თსუ-ს მცირე ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. სტუმრები ძირითადად კონტრშეტევების იმედად იყვნენ, თუმც მათ მიერ შექმნილი სახიფათო მომენტები მხოლოდ ვალერი კილასონიას შორეული დარტყმებით შემოიფარგლებოდა, რომელთა დიდი უმეტესობა კარს ასცდა. ძმებმა თავიანთთვის ჩვეული შეტევა მხოლოდ ერთხელ, 63-ე წუთზე განახორციელეს. გიამ თავისივე ნახევრიდან გრძელი და ზუსტი პასით უფროსი ძმა მერლანთან პირისპირ გაიყვანა. ვალერიმ იჩქარა, შორიდანვე დარტყმა არჩია და ბურთიც მეკარის იოლი ლუკმა გახდა. თითქოს ამას ელოდაო, თსუ შესამჩნევად გამოცოცხლდა და სტუმრებს მწვავედ შეუტია. ჯერ ერაძეს აული ბედიაშვილმა, მერე კი მაზიაშვილმა გადააცილა კარს ძალიან ხელსაყრელი მდგომარეობიდან. მალე კი გოლიც გავიდა. მასპინძლებმა საჯარიმოს წინ გაათამაშეს ბურთი და დეკანოსიძემ შორიდან ძლიერი დარტყმით ბედიაშვილს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. ეს 72-ე წუთზე მოხდა. გოლის შემდეგ თამაში უფრო გაიხსნა. რუსთაველებმა დაცვა მოაშიშვლეს და თსუსაც სახიფათო შეტევების საშუალება მიეცა. თუმც ორჯერ კინაღამ „გორდას" უკანმოუხედავად წინ წასვლამაც გაამართლა. პირველად გია კილასონია აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში, მეკარეს ბურთი თავზეც გადაუგდო, ოდნავ არაზუსტად. ბოლო წუთზე კი რუსთაველებს ანგარიშის გათანაბრება მართებდათ, შეცვლაზე შესულმა მიხეილ სახვაძემ ვერ ივარგა, ახლოდან ააცილა და ასპროცენტიანი შანსიც არაგვისპირის სიოს გაატანა. მასპინძლებსაც შეეძლოთ სტუმართა დამწუხრება, მაგრამ წუწუნავამაც სახვაძეს მიჰბაძა. ბოლო წუთებში თამაში ისე გამწვავდა, ერთი ორჯერ ფეხბურთელებმა ერთმანეთისკენაც გაიწიეს, თუმც ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

აღსანიშნავი ერთი ფაქტიც მოხდა. შეხვედრის 65-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ლევან კვიციანი, ისე რომ არავინ გაჰკარებია, თავისით წაიქცა. მის ნაცვლად მინდორზე არჩვაძე შევიდა, ფეხგასიებულმა კვიციანმა სხვების დახმარებით დატოვა მოედანი. რამდენად სერიოზულია ტრავმა, მალე შევიტყობთ.

თამაში ახალი დასრულებული იყო, თსუ-ს მესვეურებსა და ქომაგებს სიხარულის ტალღამ მეორედაც რომ გადაუარა — „არმაზზე" „ვიტ ჯორჯიას" ბათუმში გამარჯვების ამბავი მოვიდა.

# ბონიემი: წვიმის კაცი

წყალტუბო
14 აპრილი
16 საათი
26 მაისი
700 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:1 ხობი**

1:0 ლონლაძე (28), 1:1 ბულუხია (56), 2:1 ბერაძე (71)
სამგურალი: სტურუა, ჭელიძე, ხუნდაძე (დარსაძე 83), ჩხაბერიძე, ვოსკანოვი (ძაგნიძე 58), ბერაძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ქუთათელაძე (კვერნაძე 66), ლონლაძე, გიორგობიანი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. ჯანელიძე, ვადაჭკორია, ნებიერიძე
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია (ლ. ბუკია 77), ჟიქია, ოდიშარია, ზურაბ აინაიდი, ხურცილავა, გიორგაძე, ე. ჩიტაია, ბულუხია, ჭიჭინაძე, ვართაგავა
*სათადარიგონი:* აბაკელია; მ. ბუკია, ქაშიბაძე, მ. ტყებუჩავა, რ. თოლორდავა
გაფრთხილება: ხურცილავა (45), ვართაგავა (57)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ო. ხეცაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა);
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**კონსტანტინე გოგიშვილი**
**წყალტუბოდან**

თავდაპირველად მოღრუბლული ცის ქვეშ მოუწიათ ფეხბურთელებს თამაში, მერე კი იმგვარი დასცხო... ნუგზარ ჯულელის მოარული ფრაზის არ იყოს — თუკი წვიმას ცხრა სახელი აქვს, წყალტუბოში ცხრავე ერთად მოდიოდა. წვიმის კაცის ტიტული კი უთუოდ ბესიკ ბერაძეს უნდა მივაკუთვნოთ — საყაიმო შედეგით შეფუცხუნებულ მასპინძლებს მხსნელად სწორედ ის მოევლინა და სუხიაშვილის კუთხურის შემდეგ იმგვარი დააქუხა, სოკერზე მწყრალ დასტინ ჰოფმანსაც პირი ღია დარჩებოდა.

მანამდე კი ლონლაძისა და ბულუხიას ორი გოლი იყო — იმერელმა პირველ ტაიმში გაიტანა, მეგრელმა — მეორეში, ერთმა ფეხით, მეორემ თავით, მსგავსება ამ ბურთებს შორის კი ის გახლდათ, რომ ორივე ფრთაზე რეიდს და ჩაწოდებულს მოჰყვა.

წვიმაზე ერთიც უნდა ვთქვა — თუკი ნალექი და თქეში (წვიმის სახელია ესეც) ამგვარად გამოაცოცხლებს ქართველ ფეხბურთელებს, ავდგეთ და რომც არ მოდიოდეს, მაინც მოვიყვანოთ, სახანძრო აგერ არა გვყავს? ვაწვიმოთ და ვაწვიმოთ.

განსაკუთრებით „ამოდ საცქერი" მეორე ნახევარი გამოდგა. გაიტანა ბულუხიამ და გადაირივნენ წყალტუბოელები — ქულზე კაცი გაენთო თავდასხმაში, უკან ჭყონია და ჩხაბერიძეღა დარჩნენ და მეკარე სტურუაც ამიტომ ახსენებდა მცველებს — მარტო ნუ დატოვებთ, თქვენ მაინც ნუ წახვალთ წინო.

„სამგურალი" ძირითადად ფრთიდან უტევდა — კაპიტან სუხიაშვილს ერთხანს კი არ წაუვიდა ჩაკიდებულები, მაგრამ მერე და მერე სამიზნე გაასწორა და აკი სწორედ მისი ჩაწოდებულის შემდეგ მოახერხა ლონლაძემ თავურით მეკარე ნიქაბერიძის შეშფოთება.

მატჩში მრავლად იყო ორთაბრძოლები, ჭიდაობა, ჯაჯგური, ანუ ის, რითაც თანამედროვე ფეხბურთი იცნობა. დასკვნა? გუნდები ფიზიკურად კარგად არიან, არადა „ხობმა" ერთი თვის წინ დაიწყო ვარჯიში, „სამგურალი" კი გზადაგზა იკრებდა ექსტორპედოელებს (იხილეთ შემადგენლობა).

მატჩის მიწურულს უპირატესობა ერთიანად „სამგურალის" მხარეზე გადავიდა, დარტყმა დარტყმას ცვლიდა, მომენტი — მომენტს, მაგრამ მოედნის ცენტრში აგრერიგ მარჯვე იმერლები, მეტოქის საჯარიმოში ზედმეტს ცოდავდნენ, ერთობოდნენ ბურთით და მეტი გოლიც ამის გამო ვერ ვნახეთ.

თუმცა, დამნაშავე ეგებ წვიმის კაციც იყოს. ვინ იცის. „ბონიემის" ლამაზმა დარტყმამ ხომ ყველას აგრძნობინა — „სამგურალი" მეტად აღარ გარისკავდა.

# გოლის გემო

## შოთა არველაძემ ხელობა გაიხსენა

თითქოს ენამ უყივლაო — ღმერთით, ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მძიმედ არ დავშავებულვარ, ერთი-ორჯერ რომ მეგონა, ტრავმა ძლიერ გამაწვალებდა, საბედნიეროდ, გადავრჩენილვარ და რამდენიმე დღეში მოვმჯობინებულვარ — ეს სიტყვები ადრე, მისი ტყუპისცალის უიღბლობაზე რომ ვკითხეთ, მაშინ გვითხრა საქართველოს ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ფორვარდმა შოთა არველაძემ. თქვა ეს შოთამ და რამდენიმე კვირაში ისე დაშავდა, მტრისასო, იტყვიან. შარშან, გაზაფხულზე ტრავმირებულს კარგა ხანი რომ გაუცდა და თამაშის განახლება შემოდგომის დამდეგს მოახერხა, მუხლის ტკივილმა ისევ შეაწუხა, ქირურგებს მიაკითხა... მას შემდეგ თითქმის ხუთი თვე გავიდა. შევეხმიანებოდით ხოლმე, ნაღვლიანად გვპასუხობდა, თავისას დარდობდა — უსაქმოდ ყოფნას.

ამასობაში „აიაქსს" მწვრთნელიც მოუხსნეს. ვოუტერსი უფროსობამ დაითხოვა, გუნდი დროებით მისსავე თანაშემწეს ჩააბარეს, შოთაც გამოჯანმრთელდა. ჯერ შეცვლაზე ითამაშა რამდენიმე წუთი, მერე ძირითადში და გოლის გემოც გაიხსენა. სიხარულიც მისთვის უჩვეულოდ გამოხატა, კარში გატანილ ბურთს აკოცა...



— ძალიან გამიხარდა, გოლის გატანა არ დამვიწყებია. ნახევარი წელი არ მეთამაშა და ტრავმის შემდეგ მეორე მატჩშივე შევაგდე — გვითხრა შოთა არველაძემ, ამსტერდამში რომ დავუკავშირდით.

**— გაგიძნელდა მოედანზე დაბრუნება?**

— საკმაოდ. პირველ ყოვლისა, ფიზიკურად. თანაც ისე ვნერვიულობდი, თითქოს „აიაქსის" მაისურა პირველად მომერგოს. გოლის შემდეგ დავწყნარდი, ვიგრძენი, რომ ჩვეულ ფორმას მალე დავიბრუნებ.

**— სეზონის დამთავრებამდე?**

— რა ვიცი, ალბათ. ევროტურნირისთვისთვის კი, ვფიქრობ, ძველებურად ავთამაშდები. ახლა დღეში ორჯერ ვვარჯიშობ, გუნდთან ერთადაც და მარტოც. ბაზაზე ვრჩები ხოლმე.

**— ევროტურნირი ახსენე. ჩემპიონთა ლიგა იგულისხმე? ძალიან გაგიჭირდებათ.**

— კი, მაგრამ რა არის მიუღწეველი? ჩემპიონობაზე არც ვლაპარაკობ, მეორე ადგილზე მყოფი „ჰერენვენი" ოთხი ქულით გვისწრებს, თანაც თამაშით ნაკლები გვაქვს.

**— „აიაქსის" ასეთი ჩავარდნის მიზეზი რა არის?**

— ბევრი რამ. ფეხბურთელები გაყიდეს, მერე ძლიერი მწვრთნელიც ვერ მოძებნეს, ისეთი, ახალ გუნდს რომ გააკეთებდა. ახლა აღარ ვიცი, სათვალავი ამერია, იმდენი ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი თამაშობს ჩვენთან. ამათ შეთამაშებას, გუნდის აწყობას დრო უნდა. ვნახოთ, სეზონი როგორც კი ჩამთავრდება, „აიაქსს" კო ანდრიანსე ჩაიბარებს, მან სამწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა.

**— იცნობ?**

— პირადად არა, მაგრამ ვიცი, დისციპლინის მოყვარული კაცია, „ტილბურგს" ახლა რომ წვრთნის, კარგ ფეხბურთს ათამაშებს. ჰოლანდიაში ძლიერი სპეციალისტის სახელი აქვს.

**— ალბათ, ბევრსაც შეცვლის.**

— ალბათ. უკვე ლაპარაკობენ ამაზე. „აიაქსს" არ ეკადრება ასე თამაში. რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებენ. ლიგაში თუ მოვხვდით, თავი არ უნდა შევირცხვინოთო, ამბობენ. ვინ მოვა, ვინ წავა, ჯერჯერობით საიდუმლოა.

**— ვოუტერსი მშვიდობიანად გაეცალა „აიაქსს"?**

— ჰო, სკანდალის მსგავსი არაფერი ყოფილა. არადა, გუნდის დატოვების თაობაზე განცხადება რომ გააკეთა, თავადვე თქვა, ვიდრე ერთი ამბავი ამტყდარა, სჯობს, აქაურობას ნებით გავეცალოო. მისთვის სიტყვაც არავის მიუყოლებია.

**— ბოლო დროს მახლასი რატომ არ თამაშობს?**

— ჩემი არ იყოს, ისიც მძიმედ დაშავდა, მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს.

**— ეროვნული გუნდიდან მიწვევას მიიღებდი. ორ კვირაში ნაკრებმა ერევანში უნდა ითამაშოს.**

— კი, უკვე მითხრეს. მეც გამომიძახეს სომხების წინააღმდეგ მატჩში. ნაკრებში ოქტომბრის მერე აღარ მითამაშია.

კობა ინასარიძე

# ქართველები თასებზე

## ზოგი მეოთხედფინალში, ზოგი ნახევარფინალში

**გუშინ** და გუშინწინ კიდევ ორ ქვეყანაში გაიმართა თასის თამაშები — უკრაინასა და ლატვიაში. უკრაინაში კიევის „დინამო" პირველლიგელ „ლვოვს" ესტუმრა და 4:1 მოუგო. კალაძე და დემეტრაძე ძირითადში იყვნენ, თუმცა თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემიათ. გოლები კიეველთაგან გუსინმა, რებროვმა, ბელკევიჩმა და 74-ე წუთზე დემეტრაძის ნაცვლად შესულმა მაქსიმ შაცკიხმა გაიტანეს. ნახევარფინალში კიეველებს ზაპოროჟიეს „მეტალურგი" ელით.

ნახევარფინალში გავიდა გორელი ალექსანდრე კილდარაშვილის კრივოი როგის „კრივბასიც" „კაიდარას" გუნდმა ვიტალი დარასელიას ცსკას 1:0 აჯობა. ამ შეხვედრაში „კრივბასში" გადასვლის შემდეგ პირველად ქართველმა ფეხბურთელმა ძირითადში ითამაშა და ძალიანაც აქტიურობდა. დარასელია მინდორზე არც ამჯერად გამოჩენილა. „კრივბასის" მეტოქე კი ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ზირკა" იქნება. მიმომხილველები უკვე ლაპარაკობენ ფინალზე სადაც, წესით და რიგით, „დინამო" და „კრივბასი" უნდა შეხვდნენ.

გუშინ ლატვიაში მერვედფინალის მატჩები იყო. რიგის „სკონტომ" მიწასთან გაასწორა მეორელიგელი ორგეს „ფორტუნა". ანგარიში მე-8 წუთზე ლევან კორღალიძემ გახსნა. შემდეგ დავით ჩალაძემ გააორმაგა. 22-ე წუთზე თავი კოლესნიჩენკომ გამოიჩინა, 29-ეზე ისევ ჩალაძემ, 35-ე წუთზე „ფორტუნას" მეხუთე გოლი ალექსანდრე რეხვიაშვილმა გაუტანა. 41-ეზე კოლესნიჩენკომ მეექვსედ დალაშქრა სტუმართა კარი. პირველ ტაიმში „ფორტუნას" განადგურება ჯერ კაპიტანმა რეხვიაშვილმა (44-ე წთ), შემდეგ კი მოროზმა დაასრულეს — 8:0. მეორე ნახევარში ალექსანდრე სტარკოვმა შეცვლები გააკეთა და „სკონტომ" მხოლოდ სამი ბურთი გაიტანა. საბოლოოდ 11:0.

ვალერი გაგუას „პოლიციამ" გაჭირვებით მოუგო დაუგავპილსის „ზიბენსზებესსარდზეს" 2:1. პირველი ტაიმი მეორელიგელმა მეტოქემ იმარჯვა. „პოლიციამ" სტუმრები მატჩისბოლოსლა გატეხა. ასევე აღსანიშნავია „ვენტსპილსისა" და „ცერისის" მატჩი, რომელიც 12:0 დასრულდა. ვენტსპილსელმა ბეზბოროდოვმა 7 გოლი გაიტანა. მეოთხედფინალში „სკონტო" „დაუგავას" ეთამაშება, „პოლიცია" კი „დინაბურგს" ეწვევა.

შეგახსენებთ, რომ თავიანთი ქვეყნების თასისთვის ბრძოლას ასევე აგრძელებენ გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი" (ნახევარფინალშია) და გელა შეყილაძის „ლიერსი". ამ უკანასკნელმა პირველ ნახევარფინალური მატჩი „სტანდარდთან" 0:2 წააგო. წინა კვირას მეოთხედფინალში გავიდა ლევან გვაზავას „ზიმბრუ". ბადრი კვარაცხელიას „შამქირს", რომელიც მერვედფინალის პირველ შეხვედრაში შინ 1:1 დაუზავდა „ვილიაშს", ახლა გამწერებიი მატჩი ელის. რუსეთის თასის ნახევარფინალშია ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივიც".

სიმონ მენაბდე



ალექსანდრე რეხვიაშვილი



# ძალიან, ძალიან ბევრი რამ

## ინგლისი

„ლიდსი"—„არსენალი". შესაძლოა, ერთ თვეში, ოღონდ კოპენჰაგენში, ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა ამათი ხვალინდელი მატჩიც არანაკლებ მნიშვნელოვანია — სასწორზე ჩემპიონთა ლიგა ძევს.

„მთელი სეზონი ჩემპიონთა ლიგაზე ვოცნებობდით და ბოლო წარუმატებლობების მიუხედავად, მიზანი მაინც ახლოა. გადამწყვეტი, ცხადია, კვირის მატჩი იქნება" — ლიდსელთა მწვრთნელ დევიდ ოლირის თავისი ახალგაზრდების იმედი აქვს. არადა, ამ მატჩიდან ოთხი დღის შემდეგ „ლიდსი" შინ თურქებს მიიღებს, „არსენალი" კი ფრანგულ ლანსში ეცდება ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას. თუ ორივემ წარმატებას მიაღწია, უეფას თასის ფინალში სათამაშოდ დანიას ეწვევიან, მაგრამ ჯერ იქამდე დიდი დროა. ჯერ „ელანდ როუდზე" აქვთ სათამაშო.

გინდათ, გითხრათ რა მოხდება ხვალ? არა, მატჩის მიმდინარეობასა და ანგარიშზე ვერაფერს მოგახსენებთ. აი, მატჩისწინა ცერემონიალს კი წინასწარ აღვწერთ: „არსენალის" ფეხბურთელები მასპინძელ კოლეგებს თაიგულებს მიართმევენ, ესენი კი ყვავილებს ტრიბუნებს უძღვნიან. ეს სტუმართა ინიციატივაა. ყველა ხვდებით, რის გამოც. „მატჩი საბედისწეროა, თუმცა „არსენალი" დიდი კლუბია და არაფერი ეშლება" — „ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი მეტოქის სურვილს, პატივი მიაგოს თურქეთში მოკლულ გულშემატკივართა ხსოვნას, ცხადია, მიესალმება.

მისალმება და პატივისცემა კარგია, მაგრამ მერე თამაში იქნება, მილიონების ამბებს რომ გადაწყვეტს. შესაძლოა, 1913 წლიდან, როცა გუნდები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგეს. წინა 110 მატჩის სტატისტიკაც გვარწმუნებს, რომ იორკშირელები და ჩრდილოლონდონელები იოლად არაფერს დათმობენ — ორმოცჯერ „არსენალს" მოუგია, „ლიდსს" კი 38-ჯერ. რაც შეეხება მხოლოდ „ელანდ როუდზე" ჩატარებულ შეხვედრებს, აქ მასპინძლების უპირატესობა იგრძნობა — ბოლოს „მეთოფეებმა" აქ 1995 წლის ოქტომბერში გაიმარჯვეს. თუმცა ახლა სხვა დროა: „ლიდსმა" საშინელი კვირა გამოიარა, „არსენალმა" კი ბოლო 6 თამაშში 15-ჯერ შეაგდო, თან ხვალ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ტიერი ანრიც მინდორზე იქნება.



ინგლისის ნაკრების მეკარეები. იან უოქერი (შუაში) მესამეა. ვინ იქნება პირველი?

ზემოთ თაიგულები ვახსენეთ. ცხადია, სტუმართა მეკარე სიმენი სწორედ ნაიჯელ მარტინს მიართმევს. ორივეს შანსი აქვს, ერთ თვეში ჩემპიონთა ლიგის საგზური და უეფას თასის მფლობელის წოდება მიიღოს, თუმცა არის ერთი რამ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ინგლისის ნაკრების ნომერი პირველი მაისურა. სწორედ ამ ორ კაცს შორის გააკეთებს არჩევანს კევინ კიგანი.

მოკლედ, უბრალო სამ ქულას რომ თავი ვანებოთ, ხვალ „ელანდ როუდზე" ძალიან, ძალიან ბევრი რამ წყდება.

**გიგა ძოგახიძე**

### ლიდერთა დარჩენილი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| **მანჩესტერ იუნაიტედი** | | |
| 15 აპრილი | შინ | სანდერლენდი |
| 22 აპრილი | სტუმრად | საუთჰემპტონი |
| 24 აპრილი | შინ | ჩელსი |
| 29 აპრილი | სტუმრად | უოტფორდი |
| 6 მაისი | შინ | ტოტენჰემი |
| 14 მაისი | სტუმრად | ასტონ ვილა |
| **ლივერპული** | | |
| 16 აპრილი | სტუმრად | უიმბლდონი |
| 21 აპრილი | სტუმრად | ევერტონი |
| 29 აპრილი | სტუმრად | ჩელსი |
| 3 მაისი | შინ | ლესტერი |
| 7 მაისი | შინ | საუთჰემპტონი |
| 14 მაისი | სტუმრად | ბრედფორდი |
| **ლიდსი** | | |
| 16 აპრილი | შინ | არსენალი |
| 23 აპრილი | სტუმრად | ნიუკასლი |
| 30 აპრილი | სტუმრად | შეფილდ უენსდი |
| 3 მაისი | შინ | უოტფორდი |
| 8 მაისი | შინ | ევერტონი |
| 14 მაისი | სტუმრად | ვესტ ჰემი |
| **ჩელსი** | | |
| 15 აპრილი | სტუმრად | შეფილდ უენსდი |
| 22 აპრილი | შინ | მიდლსბრო |
| 24 აპრილი | სტუმრად | მანჩესტერი |
| 29 აპრილი | შინ | ლივერპული |
| 6 მაისი | სტუმრად | ჩელსი |
| 14 მაისი | შინ | დერბი ქაუნთი |
| **არსენალი** | | |
| 16 აპრილი | სტუმრად | ლიდსი |
| 23 აპრილი | სტუმრად | უოტფორდი |
| 29 აპრილი | სტუმრად | ევერტონი |
| 2 მაისი | შინ | ვესტ ჰემი |
| 6 მაისი | შინ | ჩელსი |
| 9 მაისი | შინ | შეფილდ უენსდი |
| 14 მაისი | სტუმრად | ნიუკასლი |

# გვირაბი ბნელი ადგილია

## პარიზის და ლონდონის საფეხბურთო სამართალი



REUTERS პარიზიდან

ონაკოელები — მარკო სიმონე და მარსელო გალიარდო სადისციპლინო კომისიის სხდომაზე შესვლის წინ

„ოლიმპიკი" 80 ათასი დოლარით და..არიმეს, ხოლო გუნდის ასისტენტი ..ვრთნელი კრისტოფ გალტიე ექვს.. თვით ჩამოაცილეს ფეხბურთს — ..ასეთი გახლავთ მარსელის „ველოდრ..მზე" „მონაკოსთან" ნათამაშევი შეხვედრის შედეგი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფრანგეთის ლიგას ამხელა თანხით ა..ფე არასდროს არავინ დაუსჯია.

გალტიე შესვენებ..ას „მონაკოს" არგენტინელ ნახევარმ..ელს, მარსელო გილიარდოს დაესხა ..ავს და ამისთვის, სხვათა შორის, საკუთარმა კლუბმაც დასაჯა.

გალიარდო, რომელიც ჩხუბს მერე ასევე გააძევეს, ერთი თამაშით დისკვალიფიცირებული. მან ეს ერთი თამაში უკვე გამოტოვა, მაგრამ გალ..ესთან ურთიერთობის გარკვევას კიდევ აპირებს — სასამართლოში უჩივლა.

სულ, ამ სკანდალურ შეხვედრაში — „მარსელმა" „მონაკოს" 4:2 მოუგო — მოედნიდან სამი ფეხბურთელი გააძევეს. „მარსელის" ესპანელი გამთამაშებელი ივან დე ლა პენია შესვენებამდე 8 წუთით ადრე შევიდა მეტოქის, პონტუს ფარნერუდის იდაყვით გამასპინძლებისთვის დაისაჯა, გალიარდოს ბელგიელი თანაგუნდელი ფილიპ ლეონარდი თანამსაჯის ლანძღვისთვის (მეორე ყვითელი მიიღო და ორი თამაში აქვს გამოსატოვებელი), მესამეს ამბავი კი თავში მოგახსენეთ.

ხუთშაბათ საღამოს, პარიზში, საფრანგეთის ეროვნული საფეხბურთო ლიგის შტაბში განხილვის შემდეგ დასჯილმა ფეხბურთელებმა იქაურობა რეპორტიორთათვის სიტყვის უთქმელად დატოვეს.

ლიგის პრეზიდენტი ჟაკ რიოლაკი: „იმ მასალათა მიხედვით, რაც ჩვენს ხელთაა, სანქციები ლოგიკურია. გალიარდო გამოვიძახეთ როგორც დაზარალებული და არა როგორც დამნაშავე".

პრეზიდენტმა დასძინა, რომ „მარსელის" სხვა ფეხბურთელთა ცუდ ქცევაზე ვერაფერს იტყვის, რადგან ამის სამხილი არ არსებობს. არადა, ამბობენ, რომ გალიარდოს ისინიც დაესხნენ თავს. რიოლაკისავე თქმით, მარსელელები დამატებით შიდა გამოძიებას აპირებენ, ხოლო თავად კლუბის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ივ მარშანდმა განაცხადა, აპელაციის შეტანას არ ვაპირებთო.

„მონაკოს" მწვრთნელმა, კლოდ პუელმა თავისი აზრი ჟურნალისტებს სატელეფონო საუბარში უთხრა: „ინციდენტში ცალსახად ერთი მხარის დადანაშაულება არ შეიძლება, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ დასჯით ჩვენ დავისაჯეთ. „მარსელი" დამარცხებულად უნდა გამოეცხადებინათ. ახლა საკუთარ თავს ვეკითხები, რას იტყვიან ის გუნდები, რომლებიც ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან და ხედავენ, რომ „მარსელს" ასე გაუიოლეს საქმე?"

გალტიემ კი დანაშაული მოინანია: „ვწუხვარ, ასე რომ მოვიქეცი".

გარდა ყველაფრისა, „მონაკოს" იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო სიმონემ „მარსელის" კაპიტანს, პატრიკ ბლონდოს სასამართლოში უჩივლა. ბლონდოს მისთვის თამაშის დაწყებამდე, გვირაბში, ხელი გაურტყია. საფეხბურთო ბოსებმა ეს საქმე არ განიხილეს.

პარიზის გარდა საფეხბურთო სასამართლო ლონდონშიც გაიმართა. „უიმბლდონთან" 12 თებერვალს თამაშის შემდეგ გვირაბში ატეხილი ჩხუბის გამო „ჩელსი" 78 400 დოლარით დაჯარიმდა. პერსონალურად დაისაჯა ლონდონელთა კაპიტანი დენის უაიზიც. მას 13 ათას დოლარამდე ექნება გადასახდელი.

უაიზს პირში წყალი ჩაუგუბებია და ირლანდიელი კანინგემისთვის სახეში შეუსხამს, რის შემდეგაც გვარიანად ულანძღავს კიდეც.

„განხილვა პატიოსნად ჩატარდა — განაცხადა „ჩელსის" დირექტორმა კოლინ ჰაჩისონმა — მართალია უახლოეს ორ კვირაში აპელაციის შეტანის უფლება გვაქვს, მაგრამ, ალბათ, არ ვისარგებლებთ.

**პაპუნა ძიდია**

# ნუ დაამშრობთ წყაროს

## სხვის შვილებს შენი გერჩივნოს



ალექს ფერგიუსონი

გუნდებმა საკუთარი სტილი უნდა შეინარჩუნონ. უცხოელი ფეხბურთელების ყიდვას მაქსიმალურად მოერიდონ და ნაკლები ფული ხარჯონ. ამას აჯობებს, ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოზრდაზე გადაიტანონ აქცენტი — ამბობს „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი. ერთ-ერთ ინტერვიუში მწვრთნელმა განაცხადა: „მჯერა, რომ ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელების დაცვა ნებისმიერ გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედებს. ეს შექმნის ბაზას, რომ გულშემატკივარმა თავის საყვარელ კლუბს უფრო მხურვალედ უქომაგოს.

რა შეიცვალა ბოსმანის წესის შემდეგ? კითხულობს სერ ალექსი და თავადვე პასუხობს — მაყურებელი ყიდულობს ბილეთს და აბონემენტს, ცდილობს დაესწროს საყვარელი გუნდის თითქმის ყველა შეხვედრას, რათა ესა თუ ის ფეხბურთელი ამოიცნოს, მაგრამ მოდის ახალი სეზონი და ყველაფერი თავიდან იწყება. გუნდები ფეხბურთელებს ჰყიდიან და ახლები მოჰყავთ, ეს გაუმართლებელია. ვთვლი, რომ თავისი მოთამაშეების შენარჩუნებით და სწორი პოლიტიკით ნებისმიერ გუნდს ძალუძს წარმატების მიღწევა.

ფერგიუსონი რამდენიმე დღის წინ სტრასბურში გამართულ კონფერენციას დაესწრო, სადაც თანამედროვე ევროპული ფეხბურთის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. საფეხბურთო მოღვაწეები ცდილობენ დაარწმუნონ ევროპელი პოლიტიკოსები, შექმნან ევროკავშირში ფეხბურთელთა დასაქმების კანონები.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი ხელმძღვანელი გორდონ ტეილორი სტრასბურის კონფერენციის ერთ-ერთი წევრი გახლდათ, რომელმაც ყურადღებით მოისმინა დამსწრეთა მოხსენებები და მათ თავისი მოსაზრებაც გაუზიარა.

კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სანამ ხსენებული კანონები დაურეგულირებელია, არსებობს იმის საფრთხე, რომ ახალგაზრდა ნიჭიერმა ფეხბურთელებმა თავიანთ მშობლიურ გუნდებში შექმნილი მძლავრი კონკურენციის გამო ვერ ითამაშონ და პროფესიონალ ფეხბურთელებად საერთოდ ვერ ჩამოყალიბდნენ.

„ადგილობრივი ფეხბურთელები ქვეყნის მომავალი თაობის წყაროა და იგი არ უნდა დაშრეს. ამას კი სერიოზული მიხედვა სჭირდება — განაცხადა ტეილორმა და დასძინა — კლუბებმა პოტენციალის გაუმჯობესებასა და დახვეწაზე უნდა იზრუნონ. ამას კი მთავრობამაც ხელი უნდა შეუწყოს."

მომწიფდა დრო, პოლიტიკოსებმაც იფიქრონ ამ საკითხზე. ეს მარტო ფეხბურთს როდი ეხება. საჭიროა ახლებური ხედვა და აზროვნება, ხსენებული პრობლემა კონკრეტულად რომელიმე ქვეყანას არ ეხება. ეს საერთო ევროპული საქმეა. პრობლემის გვერდის ავლით კი ყველაფერს დავაკონსერვებთ — ასეთი გახლდათ საერთო აზრი.

**მაჟა ლომიძე**



1999 წლის 12 დეკემბერი. იუვენტუსი — ინტერი 1:0. ტურინელებმა ფილიპო ინძაგის (№9) გოლით მოიგეს

# სახელისთვის, სკუდეტოსთვის, ლიგისთვის!

## იტალია

ხვალ „ინტერი"—„იუვენტუსია". იქნებ სანახაობრივად ვერაფერი თამაში იყოს, მაგრამ ბრძოლა რომ იქნება, წყალი არ გაუვა. ერთი, რომ გუნდებს სახელი მოუწოდებს საბრძოლველად და მეორეც, სატურნირო მდგომარეობა გახლავთ სათანადო.

ბოლო დრომდე „იუვენტუსს" თავი ქუდში რომ ეგონა, სხვაგვარად ყოფილა საქმე. სერია A-ში უხსოვარი დროიდან დაუმარცხებელმა „ბებერმა ქალბატონმა" წაგებებსაც გაუსინჯა გემო და „ლაციოც" სახიფათოდ მოუახლოვდა.

ტურინელებს კიდევ რა უშავთ, „სკუდეტოს" მოპოვების უპირველეს კანდიდატებად რჩებიან. აი, „ინტერი" კი... მილანელებს ბოლო ოთხი შეხვედრაა, ვერ გაუმარჯვიათ, უდინეში კი სულაც სამარცხვინოდ, 0:3 დამარცხდნენ. 50-მილიონიანი ფორვარდი რა ხანია დამტვრეული ჰყავთ და მეორე დიდი ფეხბურთელის დაბრუნებას რომ ზეიმობდნენ, სწორედ მაშინ უმტყუნათ ბედმა.

„ინტერი" „სკუდეტოს" რომ ვერ შესწვდება, ბევრი ანგარიში არ უნდა. აი, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება კი მარჩელო ლიპის ბიჭებს ხელეწიფებათ და ამისთვისაც იბრძვიან. ოთხეულში გასვლა ადვილი როდია. ორი ადგილი „იუვენტუსს" და „ლაციოს" აქვთ დაბევებული (რა თქმა უნდა, საწყაულიც შეიძლება მოხდეს). დანარჩენი ორისთვის კი ოთხიოდე გუნდი მაინც იბრძვის. ვინ გაიმარჯვებს ამ დავაში, ძნელი სათქმელია, თუმცა ინტერელები დარწმუნებულები არიან, ჩვენი. კლარენს ზეედორფს თანაგუნდელითა სახელით რონალდოსთვის უთქვამს, სეზონს კარგი შედეგით ჩავამთავრებთ და აბა, შენ იცი, ჩემპიონთა ლიგისთვის უნდა დაგვიბრუნდეო. რონალდოს დიდ ფეხბურთში დაბრუნება ცალკე საუბრის თემაა, ჩვენ კი ხვალინდელ მატჩს მივუბრუნდეთ.

ერთი კვირის წინ ბოლონიაში მსაჯმა დი სანტისმა ზინედინ ზიდანს ყვითელი ბარათი უჩვენა. კარლო ანჩელოტის თავსატეხი გაუჩნდა — ეს ფრანგის მესამე გაფრთხილება იყო და „ინტერის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მწვრთნელის გადაწყვეტილებით ზიდანის ფუნქცია „სან სიროზე" ანტონიო კონტეს დაეკისრება. იმავე მატჩში („ბოლონიასთან") ფილიპო ინძაგის დარკო კოვაჩევიჩით შეცვლა იღბლიანი გამოდგა — იუგოსლაველმა 90-ე წუთზე გოლი გაიტანა. სავარაუდოდ, ახლაც დელ პიერო — ინძაგის წყვილი დაიწყებს თამაშს და თუ არაფერი გამოუვიდათ, ანჩელოტი კოვაჩევიჩს მერელა შეიყვანს. „ინტერში" კი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, „უდინეზესთან" წაგებული ფეხბურთელები ხვალ ნამუსის მოწმენდას შეეცდებიან.

მიმდინარე სეზონში ამ გუნდების პირველი შეხვედრა ტურინელებმა 1:0 მოიგეს. გოლი ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. ახლა რა იქნება?

**გიორგი დარჯანია**

| ლიდერთა დარჩენილი მატჩები | | |
|---|---|---|
| **იუვენტუსი** | | |
| 16 აპრილი | სტუმრად | ინტერი |
| 22 აპრილი | შინ | ფიორენტინა |
| 30 აპრილი | სტუმრად | ვერონა |
| 7 მაისი | შინ | პარმა |
| 14 მაისი | სტუმრად | პერუჯა |
| **ლაციო** | | |
| 15 აპრილი | სტუმრად | ფიორენტინა |
| 22 აპრილი | სტუმრად | პიაჩენცა |
| 30 აპრილი | შინ | ვენეცია |
| 7 მაისი | სტუმრად | ბოლონია |
| 14 მაისი | შინ | რეჯინა |
| **მილანი** | | |
| 16 აპრილი | სტუმრად | ტორინო |
| 22 აპრილი | სტუმრად | რეჯინა |
| 30 აპრილი | შინ | პიაჩენცა |
| 7 მაისი | სტუმრად | რომა |
| 14 მაისი | შინ | უდინეზე |
| **პარმა** | | |
| 16 აპრილი | შინ | ვენეცია |
| 22 აპრილი | სტუმრად | რომა |
| 30 აპრილი | შინ | უდინეზე |
| 7 მაისი | სტუმრად | იუვენტუსი |
| 14 მაისი | შინ | ლეჩე |
| **ინტერი** | | |
| 16 აპრილი | შინ | იუვენტუსი |
| 22 აპრილი | შინ | ბარი |
| 30 აპრილი | სტუმრად | პერუჯა |
| 7 მაისი | შინ | ფიორენტინა |
| 14 მაისი | სტუმრად | კალიარი |

## ფეხბურთის რუკასთან



**უნგრელმა** ნახევარმცველმა კრისტიან ლისტეშმა „შტუტგარტთან" კონტრაქტი გააახანგრძლივა — კლუბში მომდევნო ორ სეზონსაც გაატარებს. გერმანული პრესა იუწყებოდა, რომ 23 წლის ფეხბურთელს იტალიური და ესპანური კლუბები იწვევდნენ, მაგრამ ახალმა კონტრაქტმა ყოველგვარი მოსაზრება გააქარწყლა. „შტუტგარტის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა კარლ-ჰაინც ფიორსტერმა განაცხადა: „ლისტეში პერსპექტიული ფეხბურთელია. მას კარგი კლუბები ეპატიჟებოდნენ, მაგრამ გადაწყვიტა, ჩვენთან დარჩენილიყო. ვიმედოვნებთ, ამ ორ წელიწადში გაცილებით მეტ წარმატებებს მიაღწევს".

**ირლანდიელი მცველი დენის ირვინი „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტს ალბათ უახლოეს დღეებში გააახანგრძლივებს და გუნდში კიდევ ერთ სეზონს დარჩება. ირლანდიელი „მანჩესტერს" 1990 წელს შეუერთდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მცველის გადაბირებას პრემიერლიგის რამდენიმე გუნდი ცდილობდა, მაგრამ ახალმა შეთანხმებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. სერ ალექს ფერგიუსონს გუნდში სულ ცოტა, ერთი წლით ტედი შერინგემის დატოვებაც სურს, რომელსაც კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს ეწურება. ვეტერანი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას იტალიური, ესპანური და პორტუგალიური კლუბები ცდილობენ.**

**ესპანური** „ესპანიოლის" რუმინელი ლეგიონერი კონსტანტინ გალკა მომავალი სეზონიდან შესაძლოა ინგლისში გადაბარგდეს და „მიდლსბროში" ჩაირიცხოს. მას კატალონიურ კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება და შეეძლება, გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით აირჩიოს. 25 წლის გალკას „მიდლსბროს" გარდა სხვა ინგლისური კლუბებიც ეპატიჟებიან. „ესპანიოლის" ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია, თუმცა არ არის გამორიცხული, ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელება და ესპანეთში დარჩენა შესთავაზოს.

**საფრანგეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ტულუზის" თითქმის ყველა ფეხბურთელს ვირუსი შეეყარა. გუნდის ექიმის მარკ ბიშონი აცხადებს: „კლუბის ყველა წევრი გამოვიკვლიეთ. ეპიდემიას მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გადაურჩა, რომელიც წყალს თავისი ბოთლიდან სვამდა. გუნდში ინფექცია მონონუკლეოზისია გავრცელებული, რომელიც ძირითადად ნერწყვით ვრცელდება. დაავადება სიცოცხლისთვის სახიფათო არ გახლავთ, ის უბრალოდ მაღალ სიცხეს და სურდოს იწვევს". აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელები იანვარში დაავადდნენ, რაც მათი თამაშის დონეს მაშინვე დაეტყო. საფრანგეთის მეორე დივიზიონის გათამაშების ცხრილში „ტულუზი" ამჟამად მესამე ადგილზეა.**

**ურუგვაის** ნაკრების არგენტინელმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ შესაძლოა თანამდებობა დატოვოს. სპეციალისტის განცხადებით, მას არა აქვს იმის პირობები, რომ გუნდი შესაბამისად მოამზადოს. „როცა დამნიშნეს, სულ სხვა პირობებს მთავაზობდნენ — ამბობს არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი — ახლა კი აღმოჩნდა, რომ გუნდის შესაკრებად და მოსამზადებლად დრო არ მყოფნის. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ევროპაში მოასპარეზე ფეხბურთელები სამშობლოში თითქმის არ ბრუნდებიან, კონკრეტულ მატჩამდე სამი დღით ადრე ვიწყებთ შეკრებას. შეუძლებელია ამით რაიმეს მიაღწიო". პასარელამ განაცხადა, რომ იგი 26 აპრილს გადაწყვეტს ყველაფერს. ამ დღეს ურუგვაის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პარაგვაის ეროვნულ გუნდს შეხვდება.

**ჰოლანდია და იაპონია ურთიერთობის 400-წლიან იუბილეს აღნიშნავენ. ამასთან დაკავშირებით ქვეყნებმა არაერთი კულტურული ღონისძიება დაგეგმეს. 31 მაისს ნაგასაკიში ამხანაგური მატჩი ჩატარდება — ჰოლანდიის მოქმედი ჩემპიონი „ფეიენოორდი" იაპონური ჯეი-ლიგის გუნდ „ავისპა ფუკუოკას" შეხვდება.**

**იტალიის** ჩემპიონატის აუტსაიდერ „კალიარის" თავკაცმა რენცო ულივიერიმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს თანამდებობას დატოვებს. კლუბის ხელმძღვანელობა უმალ შეუდგა შემცვლელის ძებნას. შესაძლო კანდიდატები „ვენეციის" ყოფილი მწვრთნელი ლუჩანო [illegible] და „ტრევიზოს" თავკაცი ჯანფრანკო ბელოტო არიან, რომელსაც, იტალიური პრესის განცხადებით, უფრო მეტი შანსი აქვს. „კალიარის" სერია A-დან გავარდნისგან, ალბათ, ვეღარაფერი იხსნის, ამიტომ მომავალმა მწვრთნელმა გაისად სერია B-დან კვლავ უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებაზე უნდა იმუშაოს. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „კალიარის" საფინანსო მრჩეველი სანდრო მაცოლა უკვე დაუკავშირდა ბელოტოს და მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა. სერია A-ს სხვა აუტსაიდერებიც ეძებენ მწვრთნელებს. „ვენეციას" ულივიერის გადაბირება სურს, თუმცა „ვიჩენცას" თავკაც ედი რეჯას კანდიდატურასაც განიხილავს. „პიაჩენცამ" კი სამომავლო თავკაცად „ნაპოლის" დამრიგებელი ვალტერ ნოველინო შეიგულა.

**ესპანური „ბეტისის" ხელმძღვანელობის განცხადებით, თუ მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი გუნდს პრიმერადივიზიონში დატოვებს, იგი მომავალ სეზონშიც კლუბში დარჩება. „ჩვენ გვსურს, ჰიდინკი შევინარჩუნოთ, ამისათვის მან „ბეტისი" მეორე დივიზიონში გავარდნას უნდა გადაარჩინოს" — განაცხადა სევილიური კლუბის პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუნდი თებერვალში ჩაიბარა და ოდნავ გამოასწორა თამაშის ხარისხი. შოტლანდიური პრესის ცნობით, მომავალ სეზონში ჰიდინკის გადაბირებას გლაზგოს „სელტიკი" აპირებს.**

**ინგლისური** „ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი ჯორჯ გრემი ფილტვების ანთების დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. კლუბის ხელმძღვანელების ცნობით, შესაძლოა იგი სეზონის ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდეს. ლონდონურ კლუბს დროებით დამხმარე მწვრთნელი, სტივ ჰაფთონი უთავკაცებს. პრემიერლიგის ბოლო ტურში „ლივერპულთან" დამარცხების შემდეგ ზოგიერთი გულშემატკივარი გრემის გადადგომას მოითხოვდა. თავად მან განაცხადა: „ოჯახის შემდეგ ჩემი პრობლემები გუნდის თავმჯდომარეს გავანდე, იგი სავსებით მენდობა და გადადგომაზე საუბარიც ზედმეტია."

**ინგლისის ნაკრებისა და „მიდლსბროს" ყოფილი ფორვარდი ვილფ მანიონი, რომელსაც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 26-ჯერ უთამაშია, 81 წლისა გარდაიცვალა. მანიონი ინგლისის ნაკრებში სერ სტენლი მეტიუზის, ტომი ლაუტონის, სერ ტომ ფინისა და სტენ მორტენსენის მხარდამხარ თამაშობდა. მანიონი 17 წლის იყო, როცა „მიდლსბროში" დაიწყო თამაში და გუნდში 20 წელი გაატარა. სერ სტენლი მეტიუზს, რომელიც თებერვალში გარდაიცვალა, ერთ დროს მანიონზე უთქვამს — ვილფს ბურთის ალაპარაკება შეუძლიაო. „მიდლსბროს" „ევერტონი" და „სელტიკი" სარეკორდო თანხას სთავაზობდნენ ფეხბურთელის სანაცვლოდ, მაგრამ კლუბმა იგი არ გაყიდა. ამის გამო მანიონი ოთხი თვით გაიფიცა, მაგრამ ცოლის ავადმყოფობამ და უფულობამ იძულებით დააბრუნა გუნდში. დიდი ხნის შემდეგ მანიონმა განაცხადა, რომ „მიდლსბროში" მას გაუსაძლის პირობებს უქმნიდნენ — „ეს მონური კონტრაქტი იყო, „მიდლსბროში" მშობლებმა შემიყვანეს, მაშინ პატარა ვიყავი, გუნდი ვეღარ გამოვიცვალე, მშობლებმა კი ჩემს გასაჭირზე არაფერი იცოდნენ."**

**ბულგარეთი**. 22-ე ტური. ბოტევი — ცსკა 1:2; ლევსკი — ლოვეჩი 1:1; ლოკომოტივი — ბელასიცა 2:0; პირინი — მინიორი 2:0; დობრუჯა — სლავია 2:0; სპარტაკი (ვარნა) — ოლიმპიკი 4:0; შუმენი — ნეფტოხიმიკი 1:1; ჩერნომორეცი — ველბაჟდი 1:1. ჩემპიონატს 55 ქულით სოფიის „ლევსკი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა სოფიის ცსკა — 50 ქულა, მესამეა კისტენდილის „ველბაჟდი" — 42 ქულა.

**ალბანეთი. 21-ე ტური. ბილიში — ელბასანი 2:0; აპოლონია — შკიპონია 2:1; ლუშნია — დინამო 3:1; შკუმბინი — ტირანა 0:1; პარტიზანი — ფლამურტარი 1:0; ტეუტა — შკენდერბე 2:0; ტომორი — ვლაჟნია გადაიდო. ჩემპიონატს 42 ქულით „ტირანა" ლიდერობს, მეორე ადგილზეა დურეშის „ტეუტა" — 39 ქულა, მესამეა ბერატის „ტომორი" — 20 თამაში, 38 ქულა.**

**ჩრდ. ირლანდიის** თასის ნახევარფინალი. 1 მატჩები. გლენტორანი — ლინფილდი 2:3; კოლრეინი — პორტდაუნი 0:0.

**ხორვატია. 26-ე ტური. ისტრა — ჰაიდუკი 1:1; ვუკოვარი — დინამო 0:3; დრაგოვოლიაცი — სლავენი 0:2; ციბალია — რიეკა 1:1; შიბენიკი — ოსიეკი 1:1; ზაგრები — ვარტექსი 1:2. 27-ე ტური. ვარტექსი — დრაგოვოლიაცი 1:1; სლავენი — ვუკოვარი 1:0; დინამო — ისტრა 2:0; ოსიეკი — ციბალია 3:0; რიეკა — ზაგრები 2:3; ჰაიდუკი — შიბენიკი 1:2-ზე მატჩი მე-80 წუთზე არეულობის გამო ჩაიშალა. ჩემპიონატს 60 ქულით ზაგრების „დინამო" ლიდერობს, მეორე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი" — 26 თამაში, 53 ქულა. მესამეა „ოსიეკი" — 48 ქულა.**

**ისრაელი**. 32-ე ტური. მაკაბი (ჰერცლია) — მაკაბი (თელ ავივი) 0:4; ბნეი იეჰუდა — ირონი 1:1; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 1:2; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ბეითარი 2:1; ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 3:1; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 2:1; მაკაბი (ნეთანია) — აშდოდი 3:1. ჩემპიონატს 70 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი" — 66 ქულა, მესამეა ჰაიფას „მაკაბი" — 65 ქულა. თასის ნახევარფინალი. ჰაპოელი (ქვარ სავა) — ბეითარი (იერუსალიმი) 2:3; ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 0:0 (პენ. 2:1).

**უკრაინის თასის მეოთხედფინალი. ლვოვი (II) — დინამო 1:4; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — კარპატი 3:0; კრივბასი — ცსკა (კიევი) 1:0; ზირკა — შახტარი 0:0 (პენ. 6:5).**

**იუგოსლავია**. 33-ე ტური. პარტიზანი — ჟელეზნიკი 1:1; ვოივოდინა — სარტიდი 0:1; ჰაიდუკი (კულა) — მოგრენი 1:0; პროლეტერი — მილიციონარი 3:0; ჰაიდუკი (ბელგრადი) — ბორაცი 3:0; ჩუკარიჩკი — ცრვენა ზვეზდა 0:1; სუტიესკა — ზემუნი 0:0; რადნიჩკი (ნიში) — ბუდუჩნოსტი 1:0; სპარტაკი — რადი 2:3; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ოფკ (ბელგრადი) 0:0; გადადებული მატჩი ჩუკარიჩკი — ბუდუჩნოსტი 1:1. ჩემპიონატს 81 ქულით ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებზეც ბელგრადული კლუბები იმყოფებიან, „პარტიზანი" — 79 ქულა, „ობილიჩი" — 77 ქულა.

**სლოვენია. 25-ე ტური. მარიბორი — დომზალე 1:0; ველენიე — დრავოგრადი 1:1; ცელიე — მურა 2:1; ნოვა გორიცა — რუსე 1:0; პრევალიე — ბელტინჩი 1:2; აიდოვშინა — ოლიმპია 3:2. 26-ე ტური. აიდოვშინა — ცელიე 2:2; ოლიმპია — პრევალიე 0:0; ბელტინჩი — ნოვა გორიცა 0:3; რუსე — ველენიე 2:3; დრავოგრადი — მარიბორი 0:3; დომზალე — მურა 0:0. ჩემპიონატს 62 ქულით „მარიბორი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ნოვა გორიცა" — 50 ქულა, მესამეა „ველენიე" — 48 ქულა.**

# არც ერთი თურქი ინგლისში
## უეფამ განაჩენი გამოიტანა

თურქი ქომაგები 20 აპრილს, „ლიდს იუნაიტედისა“ და „გალათასარაის“ შეხვედრის სანახავად ინგლისში ვერ ჩავლენ — ასეთია უეფას გადაწყვეტილება, რომელსაც სტამბოლის კლუბში, ბუნებრივია, უარყოფითად შეხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ საუბარი ეხება უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრას. პრობლემა: „გალათასარაისა“ და „ლიდსის“ პირველი, სტამბოლური მატჩის წინ, ქალაქის ქუჩებში, თურქმა ხულიგნებმა ორი ინგლისელი გულშემატკივარი მოკლეს.

„გალათასარაის“ ვიცე-პრეზიდენტი მეჰმეთ ჩანსუნი: „ჩვენი აზრით, უეფამ მიუღებელი ვერდიქტი გამოიტანა. როგორც ჩანს, საქმე ორმაგ სტანდარტთან გვაქვს. ამაზე კლუბის დირექტორთა კრებაზე ვაპირებთ მსჯელობას“.

საეჭვოა, ხსენებულ კრებაზე სტამბოლელებმა რაიმე განსაკუთრებული გადაწყვიტონ. უეფას თასის ნახევარფინალი, მითუფრო როდესაც პირველი შეხვედრა მოგებულია, ოლონდ მისატოვებელი ეტაპი არ გახლავთ. როგორც ჩანს, სტამბოლელებს მოუწევთ იმასთან შეგუება, რომ ლიდსის „ელანდ როუდზე“ მათ რამდენიმე VIP-ის ანუ დიდმოხელის გარდა (მათთვის გამონაკლისია დაშვებული) ვერავინ გაამხნევებს.

თურქეთის პროკურატურის ცნობით კი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთხი ადამიანი უკვე ოფიციალურად არის ბრალდებული. პროკურორი 24-30 წლიან პატიმრობას მოითხოვს.

ბრალდებულნი გახლავან: ალი უმით დემირი, ოზქან ბალჩი, სულეიმან აიდინი და სულეიმან გოქან გუვენი. როგორც ირკვევა, დანარჩენი 14 ეჭვმიტანილი ორიდან ხუთ წლამდე სასჯელს უნდა ელოდოს.

ჯერჯერობით, პირველი სასამართლო სხდომის ვადა გარკვეული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ექვსი კვირის მერე გაიმართება.

არაა გამორიცხული, რომ დამატებითი დეტალების მოკვლევის შედეგად ზოგიერთი ბრალდებული შედარებით იოლადაც გამოვიდეს. როგორც პროკურორი ოსმან იქიზოღლუ ამბობს, არის მტკიცება იმისა, რომ „ინგლისელმა გულშემატკივრებმა ქუჩებში მანქანების და ოფისების შუშები ჩალეწეს. ერთმა თურქეთის დროშა სასქესო ორგანოზეც კი დაიხვია“.

თურქულ კანონთა თანახმად, თუ პატიმარი სასჯელის ვადის ორი მეხუთედის განმავლობაში სანიმუშოდ იქცევა, იგი შეიძლება გაანთავისუფლონ.

ბოლოს კი ისევ 20 აპრილს დავუბრუნდეთ: მართალია უეფას გადაწყვეტილების თანახმად „გალათასარაის“ მიერ „ელანდ როუდზე“ შეკვეთილ 1750 ადგილს ჯავშანი მოეხსნა, მაგრამ არის რეალური საფრთხე იმისა, რომ ბევრი თურქი ქომაგი ინგლისს დამოუკიდებლად გაემგზავრება. ამის გამო ლიდსის შესაბამის სამსახურებს ყურადღების მოკრება დაევალა. უეფამ ბილეთების ასეთთათვის მიყიდვაც აკრძალა.



გერჰარდ აიგნერი (მარჯვნივ) იოზეფ ბლატერს:
ერთ საქმეს ვემსახურებით

# დავტკბეთ ფეხბურთით

### ძირს ყველა ხულიგანი!

ნებისმიერი ღონისძიების ორგანიზატორი ცდილობს, მისმა შექმნილმა პროექტმა მაქსიმალურად დიდი ინტერესი გამოიწვიოს. ბუნებრივია, ამ პრინციპით მოქმედებენ ევრო 2000-ის სულისჩამდგმელებიც, მაგრამ ყველა წამოწყებას თავისი სირთულეები ახლავს. ფეხბურთი ემოციური სპორტია, სტადიონზე უამრავი გულშემატკივარი იყრის თავს, რომელთაც განსხვავებული მიზანი და მისწრაფება ამოძრავებთ. რა თქმა უნდა, არიან ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგები, რომლებიც სტადიონზე მხოლოდ ფეხბურთის სანახავად და თავიანთი გუნდის საქომაგოდ დადიან, მატჩის შედეგით ხარობენ ან დარდობენ, შემდეგ ტრიბუნებს ტოვებენ და მშვიდობიანად იშლებიან.

მაგრამ ორგანიზატორთა მთავარი საფიქრალი გულშემატკივართა მშვიდი ჯგუფი როდია. არიან, მეორენიც, სრულიად საპირისპირო იდეოლოგიით გამსჭვალულნი, რომლებიც არაფერს ერიდებიან და აურზაურს აწყობენ. ამგვარ ფანებს ხშირად ერთმანეთშიც მოსდით ჩხუბი, რაც პოლიციის ჩარევით და ზოგიერთი მათგანის დაპატიმრებით სრულდება. ბუნებრივია, ევრო 2000-ის მესვეურთ სრულიადაც არ აძლევთ ხელს ამგვარი ფანების სიმრავლე სტადიონზე და მათ შეზღუდვას ყოველმხრივ ცდილობენ.

მთავარი პრობლემა, ალბათ, ბილეთებია და ძირითადი კონტროლი ამაზე უნდა განხორციელდეს. „დიდი პროექტი“ — ასე უწოდებს ბილეთის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხის ხელმძღვანელი ჰარი ბინი ახალ მოსაზრებას, რომელიც ორგანიზატორებმა შეიმუშავეს.

თითქმის ყველა ბილეთზე დაიბეჭდება გულშემატკივრის გვარი და პოლიცია სტადიონის შესასვლელებში საგულდაგულოდ შეამოწმებს მათ. ბინის განცხადებით, ქომაგს, რომლის ბილეთზეც მისი სახელი არ ეწერება, სტადიონზე არ შეუშვებენ და 1000 გულდენით (434 დოლარი) დააჯარიმებენ. ხელმძღვანელების აზრით, ამით ბევრად უკეთ გააკონტროლებენ ფანებს, კონფრონტაციებისა და ექსცესების რიცხვიც მაქსიმალურად შემცირდება.

### მთვრალი კაცი

საყოველთაოდ გავრცელებული და ერთხმად აღიარებული მოსაზრებაა, რომ ნასვამი ადამიანი გაცილებით მეტ დანაშაულს სჩადის, ვიდრე ფხიზელი. ამიტომ ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, სტადიონის ტერიტორიაზე ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელის ყიდვა აკრძალონ. თითქმის ყველა მასპინძელ ქალაქში მუნიციპალიტეტის დონეზე დადგინდა, რომ ბარებსა და რესტორნებში სპირტიანი სასმელების რეალიზაცია მაქსიმალურად შეიზღუდება.

მატჩის დღეს სტადიონის მისადგომებთან და ხალხმრავალ ადგილებთან განლაგებულ მაღაზიებში ალკოჰოლური ნაწარმი არ გაიყიდება, ბახუსის მოყვარულთ მხოლოდ ნაკლებალკოჰოლიან ლუდს შესთავაზებენ.

მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის გამოცდილების გათვალისწინებით, ორგანიზატორები თვლიან, რომ ქალაქის ქუჩებში მაქსიმალური კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა 1998 წელს მარსელში ინგლისელთა ცნობილი თარეშის მაგვარი დარბევები არ განმეორდეს. კაფეების მფლობელებს ურჩევენ, ტერასებზე არ განალაგონ ტელევიზორები და მაქსიმალურად გაუფრთხილდნენ თავიანთ ვიტრინებს. უმჯობესია, პარკებში დიდი მონიტორები დამონტაჟდეს, რათა ხალხს თავისუფლად შეეძლოს მატჩების ხილვა.

### გადაადგილება

იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონატი ერთდროულად ორ ქვეყანაში ტარდება, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ სატრანსპორტო სისტემა. ჰოლანდიის ტრანსპორტის მინისტრის ცნობით, ბოლო წლის მონაცემებით, საავტომობილო გზები 19 პროცენტით გადაიტვირთა. თუ ასე გაგრძელდა, ევრო 2000-ის მიმდინარეობისას ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზრდება. თუმცა არის იმედი, რომ რადგან ჩემპიონატი ზაფხულში ტარდება, მოსახლეობის უმეტესობა არდადეგებზე დასასვენებლად საზღვარგარეთს მიაშურებს, რაც ნაწილობრივ შეამცირებს გზებზე მოძრაობას და გულშემატკივარს ერთი ქალაქიდან მეორეში ჩასვლას გაუადვილებს. არ არის გამორიცხული ზაფხულში ქალაქებს შორის ახალი რეისების დანიშვნა და ავტო თუ სარკინიგზო ტრანსპორტის რიცხვის ზრდა.

### ერთმანეთს დააბრალებენ?

ინგლისისა და საფრანგეთის ევროპისა და მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატებს ერთი მნიშვნელოვანი პრივილეგია ჰქონდათ. ტურნირი ერთ სახელმწიფოში ჩატარდა. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც გარკვეული იყო. ახლა, როცა პირველობა ერთბაშად ორ ქვეყანაში იმართება, ბუნებრივია, ისმის კითხვა, ხომ არ არის მოსალოდნელი, ბელგიამ და ჰოლანდიამ კრიტიკის მიზნით ერთმანეთისკენ თითები იშვირონ.

საერთო დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჰოლანდია ბელგიას ბევრად სჯობნის. აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიელი მოსახლეობა გაცილებით სერიოზულად აღიქვამს ტურნირს და მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ბელგიაში უნდა ჩატარდეს შეხვედრა, რომელსაც უდიდესი ინტრიგა ექნება. შარლერუაში ინგლისი და გერმანია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. საერთო მოსაზრებით, ჯგუფური ეტაპის შეხვედრათა შორის ეს ყველაზე რთული უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანელ და ინგლისელ ფანთა ხულიგნობა საქვეყნოდ ცნობილია.

**ნიკა ზუბლაძე**




ქომაგებს რას გაუგებ?

# მუდმივი არაფერია

შვეიცარიულ ქალაქ ნიონში მალე უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიანი თათბირი დაიწყება. დავეჩვიეთ, რომ ბოლო წლებში ევროპისა თუ მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაციებს უამრავი ახალი იდეა უჩნდებათ. ამიტომაც არის, მსგავსი შეხვედრები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხოლმე. რა გადაწყვეტილებებს მიიღებს უეფა, ამას მალე შევიტყობთ, იქამდე კი დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს გავეცნოთ და იმასაც, თუ რას ფიქრობენ შეხვედრის მონაწილენი.

აქამდეც ბევრი რამ ითქვა ჩემპიონთა ლიგის სტრუქტურაზე. განუხრელად იზრდება მასში მონაწილე გუნდების რაოდენობა. 1992-93 წლების სეზონში ასეთი რვა იყო, შემდეგ თექვსმეტი გახდა, ახლა კი ოცდათორმეტი გუნდი იბრძვის ევროპის უპირველესი საკლუბო ჯილდოსთვის. კარგია ეს თუ ცუდი? მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც თავიანთი ლოგიკური არგუმენტები გააჩნიათ. ნუ დავივიწყებთ, როგორ შეაშფოთა უეფა ტრანსნაციონალურმა კომპანია „მედია პარტნერზმა“, რომელიც ევროპის სუპერლიგის შექმნის იდეით გამოვიდა. დავაზუსტოთ, რომ უეფა არა თავისთავად იდეამ შეაშინა, არამედ „მედია პარტნერზის“ სურვილმა, ხელში ჩაეგდო ევროპული ფეხბურთის სადავეები. თორემ დღევანდელი ჩემპიონთა ლიგა განა სუპერლიგის ერთ-ერთი ნაირსახეობა არ არის? მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ოცდათორმეტგუნდიანი ჩემპიონთა ლიგა სეზონში 157 მატჩის გამართვას გულისხმობს (საკვალიფიკაციო ეტაპის გაუთვალისწინებლად). დღეისთვის მათგან 148 თამაშია ჩატარებული. დამეთანხმებით, ბევრია. მით უმეტეს, რომ მათი დიდი ნაწილი სანახაობრივი თვალსაზრისით ერთობ უინტერესო და მოსაწყენი გამოდგა. ბევრი ისეთი შეხვედრაც გვახსოვს, მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა რომ ჰქონდა. ხომ არ გაანელა ამ ფაქტმა ევროთამაშებისადმი ინტერესი? განა ერთი და ორი იყო ისეთი მატჩები, ლამის ცარიელი ტრიბუნების წინ რომ ჩატარდა?

საკითხი მართლაც დამაფიქრებელია და რა გასაკვირია, რომ უეფას ჩინოვნიკთა მუდმივი ბჭობის საგნად ქცეულა. ლენარტ იუჰანსონი, ევროპული ფეხბურთის მეთაური ამბობს: „ცხადია, მუდმივი არაფერია, ამიტომ ჩემპიონთა ლიგის არსებული ფორმატის შესაძლო შეცვლაზე საუბარს არ გავურბივართ. სალაპარაკო კი მართლაც ბევრია! მატჩების ტრანსლაციის წესებიდან დაწყებული მონაწილე გუნდების რაოდენობის შეცვლით დამთავრებული. პირადად მე ცვლილებების წინააღმდეგი არ ვარ. ცხადია, იგულისხმება, რომ ახალი ფორმატის უპირატესობა ყოველმხრივ დასაბუთებული უნდა იყოს“ აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერიც. არაფრის მომცემი თამაშები მოგვიმრავლდაო, უთქვამს მას.

სხდომაზე ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც განიხილავენ. რესტრუქტურიზაცია მხოლოდ ჩემპიონთა ლიგას — უეფას პირმშოს არ შეეხება. თავად უეფაშიც იმავე პროცესის დაწყებას ელიან. ორგანიზაციის საზოგადოებრივი კავშირების ვიცე-პრეზიდენტი, ნორვეგიელი პერ რავნ ომდალი ამბობს: „საკმაოდ მოუქნელები ვართ. ჩვენი მუშაობა უფრო ეფექტური უნდა გახდეს. გადაწყვეტილებებსაც უფრო სწრაფად უნდა ვიღებდეთ, რათა დროს არ ჩამოვრჩეთ. ამასთანავე, ფიფასთანაც მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაა საჭირო. რა დასამალია, ბევრ საკითხში შეთანხმების მიღწევა გვიჭირს. არადა, ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებით“. რა გზას დაადგება უეფა? სავარაუდოდ, კომიტეტების რაოდენობას ოცდაექვსიდან თერთმეტამდე დაიყვანს. პატარა ორგანიზაციები უკეთ მუშაობენო, ამბობენ უეფაში. რაც შეეხება ფიფასთან მჭიდრო თანამშრომლობას, რა, განა ეს საკამათო უნდა იყოს? თუმცა ევროპული ფეხბურთის მესვეურნი უფრო შორსაც მიდიან და მეგობარი ფედერაციების შემოკრებას ცდილობენ. „შეერთებული შტატების საფეხბურთო ლიგა, ჩრდილოამერიკული ჰოკეის ლიგა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ის ორგანიზაციები არიან, რომლებსაც თავიანთ სახეობებში საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვის უზარმაზარი გამოცდილება აქვთ. მათთან თანამშრომლობა ჩვენც წაგვადგება“ — თქვა გერჰარდ აიგნერმა.

დაბოლოს, უეფას აღმასკომის წევრები სტამბოლში მომხდარ სისხლიან ამბებს გვერდს ვერ აუვლიან. მით უმეტეს, ფეხბურთთან დაკავშირებული უწესრიგობები და უფრო ტრაგიკული ინციდენტები კარგა ხანია, საყოველთაო შეშფოთებას იწვევს. უსაფრთხოების ზომები უნდა გამკაცრდეს, ოღონდ ამით ფეხბურთი არ დაზარალდესო, თვლის ლენარტ იუჰანსონი და ამბობს: „კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ „ლიდსი“ — „გალათასარაის“ შეხვედრა „ელანდ როუდიდან“ სხვა სტადიონზე გადავიტანოთ. ასევე მიმაჩნია, რომ თურქი გულშემატკივრები ლიდსში უნდა ჩავიდნენ. მთავარია, პოლიციამ უფრო ეფექტურად იმუშაოს“.

როგორც ზემოთ ვთქვით, ამ იდეებით უეფას მაღალჩინოსნები აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე წარდგებიან და შეეცდებიან, ისინი რეალობად აქციონ. უცვლელი ხომ ამქვეყნად არაფერია.

**გიორგი დარჯანია**

# კარგიც და ცუდიც

## ინგლისელთა მხარდასაჭერად

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კამპანიაში ინგლისის მხარდამჭერთა ჯგუფს კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება შეემატა. ფრანგი ვარსკვლავისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელის ერიკ კანტონას თქმით, ბრიტანელები უდავოდ იმსახურებენ უპირველესი საფეხბურთო ფორუმის მასპინძლობის უფლებას. „ჩემპიონატი ინგლისში უნდა ჩატარდეს, რადგან ეს წმინდა საფეხბურთო ქვეყანაა — ამბობს ფრანგი — მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრებიც ინგლისელები არიან, მათ ესმით ფეხბურთი და ეს ყველაზე მთავარია". მანჩესტერელთა კერპი ამჟამად დუბაიში იმყოფება, სადაც პლაჟის ფეხბურთის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე თამაშობს და ერთობა.

ბუნებრივია, კანტონას თავისი ყოფილი კლუბის ბოლოდროინდელ მიღწევებსა და ახლანდელ შანსებზე შეეკითხნენ, რაზეც ფრანგმა მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა, ევროპის უძლიერესი კლუბი „მანჩესტერიაო" და დასძინა: „შარშანდელი ტრიუმფი გუნდის წლევანდელ განწყობილებაზეც მოქმედებს. მჯერა, რომ ისინი ჩემპიონთა ლიგას წლეულსაც მოიგებენ. საამისოდ ყველა პირობა აქვთ, ბოლოს და ბოლოს მეტი გამოცდილება შეიძინეს". ფრანგმა ბოლოს ისიც აღნიშნა, არ ვნანობ, ფეხბურთს თავი რომ დავანებეო: „ცხოვრებაში კარგიც მიკეთებია და ცუდიც, მაგრამ არაფერი მინანია. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს საკეთებელი".

**ნიკა ზუბლაძე**

# ლობანოვსკის არჩევანი

**უკრაინის** ეროვნული ნაკრების ახალდანიშნულმა თავკაცმა ვალერი ლობანოვსკიმ დაასახელა ის გაფართოებული შემადგენლობა, რომლებიც პერიოდულად მოემზადებიან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის.

უკრაინელები მე-5 ევროპულ ქვეჯგუფში ნორვეგიელებთან, უელსელებთან, პოლონელებთან, სომხებთან და ბელარუსებთან ერთად მოხვდნენ. სულ ლობანოვსკის რჩეულნი 51-ნი არიან, ცხადია მათ შორის ლეგიონერებიც იმყოფებიან.

*მეკარეები:* შოვკოვსკი, კერნოზენკო (ორივე დინამო), ვირტი (შახტარი), ვორობიოვი (ტორპედო, რუსეთი);

*მცველები:* ვაშჩუკი, დმიტრულინი, გოლოვკო, ნესმაჩნი, ფიოდოროვი (ყველა დინამო), მიკიტინი, სტაროსტიაკი, ტიმოშჩუკი (ყველა შახტარი), ბენიო (მეტალურგი, ზაპოროჟიე), ევტუშოკი (ცსკა, კიევი), ეზერსკი (კრივბასი), ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), პარფიონოვი (სპარტაკი, რუსეთი), სკრიპნიკი (ვერდერი, გერმანია);

*ნახევარმცველები:* გუსინი, კარდაში, კორმილცევი, კოსოვსკი, კოსტიუკი, მაქსიმიუკი, მიხაილენკო, იაშკინი (ყველა დინამო), ზუბოვი, კოვალევი, ორბუ, პესტრიაკოვი, პოპოვი, სელეზნიოვი (ყველა შახტარი), ზოტოვი, მიზინი, მოროზი (ყველა კრივბასი), პოლტავეცი, სპივაკი (ორივე მეტალურგი, ზაპოროჟიე), ლუჩკევიჩი (კარპატი), ციხმეისტრუკი (ცსკა, კიევი), შიშჩენკო (მეტალურგი, დონეცკი), კანდაუროვი (ბენფიკა, პორტუგალია), მაქსიმოვი (ვერდერი, გერმანია), სემოჩკო (ურალანი, რუსეთი);

*თავდამსხმელები:* რებროვი, ვენგლინსკი, სერებრენნიკოვი (ყველა დინამო), ვორობეი (შახტარი), მაზიარი (ვორსკლა), მუსოლიტინი (ცსკა, კიევი), შევჩენკო (მილანი, იტალია), სკაჩენკო (მეცი, საფრანგეთი)

### ამხანაგური მატჩი

26 აპრილი

**საფრანგეთი — სლოვენია**

*სლოვენიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);*

*მცველები: მარინკო გალიჩი (მარიბორი), ალექსანდრ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), დარკო მილანიჩი (შტურმი, ავსტრია), ჟელიკო მილინოვიჩი (ლინცერი, ავსტრია);*

*ნახევარმცველები: მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ალეს ჩეპი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), რაიკო ტავკარი (ფორტუნა, კიოლნი, გერმანია), რუდი ისტენიჩი (ფორტუნა, დიუსელდორფი, გერმანია), ამირ კარიჩი (მარიბორი), მირან პავლინი (კარლსრუე, გერმანია), ზორან პავლოვიჩი (დინამო, ხორვატია), ჯონი ნოვაკი (ლე ავრი, საფრანგეთი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);*

*თავდამსხმელები: მილან ოსტერცი (ოლიმპია), მლადენ რუდონია (სენტ ტრუიდენი, ბელგია), საშო უდოვიჩი (ლინცერი, ავსტრია)*

### ლიბერტადორესის თასი

II ჯგუფი. ბლუმინგი (ბოლივია) 3:3 პენიაროლი (ურუგვაი)

VII ჯგუფი. პალმეირასი (ბრაზილია) 4:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

### ს. ამერიკა

II ტური. 26 აპრილი

**ჩილე — პერუ**

*პერუს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ოსკარ იბანიესი (უნივერსიტარიო), ლეაო ბატრონი (სპორტინგ კრისტალი);*

*მცველები: ხორხე სოტო, მიგელ რებოსიო (ორივე სპორტინგ კრისტალი), პერსი ოლივარესი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ხოსე სოტო (ატლეტიკო სელაია), ხორხე ხუამანი (ვერია, საბერძნეთი), ხუან პაუელო (უნივერსიტარიო);*

*ნახევარმცველები: ნორბერტო სოლანო (ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი), რობერტო პალასიოსი (ლიგა დე კიტო, ეკვადორი), ხუან ხაიო ლეგარიო (უნიონი), მარკო სიურლისა, ხოსე დელ სოლარი (ორივე უნივერსიტარიო), დავიდ სორია (სპორტინგ კრისტალი);*

*თავდამსხმელები: კლაუდიო პიზარო (ვერდერი, გერმანია), აბელ ლობატონი (სპორტ ბოიზი), ისრაელ ზუნიგა (ქოვენთრი, ინგლისი), რობერტო ხოლსენი (სპორტინგ კრისტალი)*

**ბრაზილია — ეკვადორი**

*ეკვადორის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ფრანსისკო სევალიოსი, ჯაჩინტო ესპინოზა;*

*მცველები: ლუის კაპურო, აუგუსტო პოროცო, მარლონ აიოვი, ულისეს დე ლა კრუზი, ივან ურტადო, ნეისერ რეასკოსი;*

*ნახევარმცველები: ჯიმი ბლენდონი, ალფონსო ობრეგონი, ედვინ ტენორიო, კლევერ კალა, ფაბიან კუბერო, ალექს აგინაგა;*

*თავდამსხმელები: აუგუსტინ დელგადო, ივან კავიედესი, არიელ გრაციანი, ედუარდო ურტადო*

**რეკლამა სარბიელ-ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08**



# რონალდო

**„შენი** ტკივილი [illegible]ემი ტკივილია. მალე გამოჯანმრთელდი" — დიეგო არმანდო მარადონა. [illegible]ნა. კუბა.

„ჩემო ძვირფასო. ჩვენ, ბრაზილიელები, შენს მალე გამოჯანმრთელებაზე ვლოცულობთ. შენ ჩვენი ქვეყნის სიამაყე ხარ" — ფერნანდო ენრიკე კარდოსო. ბრაზილია. ქვეყნის პრეზიდენტი.

„თავს პრივილიგირებულ ადამიანად ვგრძნობ, რადგან ორი წლის წინ, ერთ კვირა დღეს, როდესაც რომში ჩამობრძანდით, მომიბრუნდით და „ინტერის" ავტობუსში მიმიპატიჟეთ. დღემდე შემრჩა ის გრძნობა, თქვენს გვერდით ჯდომისა და თქვენთან საუბრისას რომ დამეუფლა. მაშინ „ბარსელონას" მაისურა მეცვა. თქვენ მიზეზი მკითხეთ. მე გიპასუხეთ, რომ თქვენი თაყვანისმცემელი ვარ და ვინაიდან ესპანეთიდან იტალიაში ახალი გადმოსული იყავით, ჯერ კიდევ თქვენი ყოფილი გუნდის ფორმით ვიწონებდი თავს. მაშინ თქვენთან შეხვედრამ გამაბედნიერა, მაგრამ ოთხშაბათს, როდესაც ეკრანზე გიცქერდით და ვერ გშველოდით, ვიტირე" — მარკო აუსილი, რომი. 12 წლის გულშემატკივარი.

ხუთშაბათს, პარიზის „პიტი სალპერიერის" საავადმყოფოში, ორსაათიანი ოპერაციის შემდეგ პროფესორმა ჟერარ საიანმა განაცხადა, რომ ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა.

„ჩემი პროგნოზით, ის 2001 წლის დასაწყისში ითამაშებს. ასეთია რეალობა, სასწაულებს კი, მოდით, ნუ დაველოდებით. ჩვენ შევადგინეთ მკურნალობისა და აღდგენის ზუსტი გეგმა, რომლის დეტალებსაც თავად ფეხბურთელის გარდა მის კლუბსა და ყველა პასუხისმგებელ პირს გავაცნობთ" — თქვა ქირურგმა.

„ინტერის" ექიმი პიერო ვოლპი: „ახლა იმის თქმა მაინც შეგვიძლია, რომ პროფესორი საიანი ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ ის გამოჯანმრთელების შემდეგ ფეხბურთის თამაშს შეძლებს. რა გაეწყობა, სუსტი წერტილი ბევრ სპორტსმენს აქვს, ჩვენს შემთხვევაში ეს მუხლის მყესებია".

ისევ ექიმი საიანი: „ის საავადმყოფოში 15 დღით უნდა დავიტოვოთ. ნირწამხდარი არ არის. ოჯახის წევრები უდგანან მხარში და ყოველმხრივ ამხნევებენ. თავად მითხრა, ჯერ მხოლოდ 23 წლისა ვარ, შეიძლება ტრავმამ ნახევარი ან თუნდაც მთელი წელიწადი გამომატოვებინოს, მაგრამ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ, 30 წლამდე, დრო კიდევ მაქვსო. მეც ვთვლი, რომ ყველაფერი წინ აქვს, მაგრამ 23 წელი თუმც ბევრი არ არის, არც 11-ია და არც 12. ზემოთ რომ გეგმა ვახსენეთ, მისი საგანგებო თვისებების გათვალისწინებით არის შედგენილი. მოგეხსენებათ, მას სხვა ფეხბურთელებისგან ბოლო 20 მეტრზე დამატებით აფეთქების უნარი განასხვავებს და სწორედ ეს უნდა შევუნარჩუნოთ".

„დღეს შვიდ საათზე გაიღვიძა და ტკივილი აბსოლუტურად არ უგრძვნია" — ეს კი პარასკევს აგენტმა როდრიგო პავიამ თქვა.

ოპერაციას ესწრებოდნენ ავადმყოფის დედა და ძმები. დედამ ვაჟის პალატაში დარჩენა ღამითაც ისურვა. საავადმყოფოში იყვნენ „ინტერის" პრეზიდენტი მორატი და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო.

# ამ ბექემის სიყვარული ოჰ, რა ძნელია

**მორიგი** ცნობა ბექემიზაციის სფეროდან: სიმღერა *She Only Fancies Him Cos He Looks Like David Beckham* ინგლისის ჰიტ-აღლუმში შევიდა. პირველად ეს სიმღერა „ოლდ ტრეფორდზე" შესრულდა, „იუნაიტედისა" და „ვესტ ჰემის" მატჩის წინ. ალბათ გახსოვთ, მასპინძლებმა 7:1 მოიგეს, დამსწრე 61 ათასი მაყურებელი კი გოლებთან ერთად ახალმა სიმღერამაც აღაფრთოვანა. „იან სენტ პიტერსისა" და კემპბელ დოუნის ქმნილება ქართულად ასე ჟღერს: იმ ქალს ის კაცი მხოლოდ იმიტომ ევასა, დევიდ ბექემს რომ წააგავს.







### მალე ელანდ როუდზე

მოგეხსენებათ, პარიზი ისეთი ქალაქია, რომ მილეთის ხალხი იქ ირევა.

რახანია მომიწია ამ ქალაქში რამდენიმე დღით ბოდიალმა, მეც ამ მილეთში გავერიე. ფრანგულად შვიდ სიტყვასა ვფლობ და იქაური „მონდის" და „ფიგაროს" წამკითხველი ვერა ვარ, ამიტომ საგაზეთო დახლზე ინგლისური ტაბლოიდი „სანი" დავლანდე და რა დასამალია, ვიყიდე. ფეხბურთზე რაიმეს წაკითხვა მონატრებული მქონდა. მერე მეტროში ვიჯექი და ამ გაზეთში „გალათასარაისა" და „ლიდსის" მწვავე ამბებს ვკითხულობდი. ყველამ იცის, რაც ხდება და ბოლო გვერდზე „გალათას" გიჟმაჟ გულშემატკივართა დიდი ფოტო იყო დაბეჭდილი.

ამას რატომ ვყვები და პარიზისნაირ ქალაქში აუცილებლად შეგხვდება რაღაც ისეთი...

მოკლედ, ნოტრ დამის წინ ბარე ხუთი ათასი კაცი დგას ხოლმე და იქავეა სუვენირებით გაძეძგილი ურიკები. მე კიდევ ცხოვრების რა ურიკასაც არ უნდა მივადგე, სულ ფეხბურთის ამბავს წავეყრები. ერთი პარიზული ბერეტი შევათვალიერე და თანაც ეს „სანი" მიჭირავს ხელში.

გამყიდველი კაი მოსული ბიჭი იყო, ბეისბოლის ქუდი ეხურა და სანამ მე ბერეტს ვათვალიერებდი, ის თურმე მე და ჩემს გაზეთს გვათვალიერებდა.

ბერეტი-მეთქი და, ამბობს, რომელი ქვეყნიდან ხარ, ფრენდო. ჯორჯიიდან-მეთქი.

ახო, გაიხარა დიდად, მეო, თურქივარო. აქ ვცხოვრობო. გაზეთი დაგინახე ხელში და იქ „გალათასარაი" ხატია, კი გეცოდინება, რაც მოხდაო. კი, ბატონო-მეთქი. რა თქმა უნდა, კარგი არ არის ხალხის დახოცვა, მაგრამ არც ის ვარგა, ჩვენების ჩასვლას რომ კრძალავენო. მე მივუგე, ღმერთმა დაიფაროს და კიდევ არ მოკვდეს ვინმე-თქო.

ამ სიტყვებზე მიმოიხედა, ვინმე არ გვისმენდესო და წამჩურჩულა: სხვისი არ ვიცი და მე მივდივარ ლიდსში, გალათაში დავიბადე და არ ეგების საყვარელი გუნდის ასეთ დროს მიტოვებაო. როგორ-მეთქი. როგორ და თურქი კი ვარ, მაგრამ ფრანგული პასპორტით, ბილეთები შეკვეთილიაო და საერთოდაც პარიზიდან სამი ათასი ფრანგ-თურქი ვეშურებით იქეთ, რათა ჩვენს გუნდს მხარში ამოვუდგეთ, გერმანიიდან კი ხუთი ათასამდე გერმანულპასპორტიანი ჩამოვა, თუ უნდათ სტამბოლიდან სულ ნურავის ჩაუშვებენ. ჩვენ უფრო კარგად ვიგიქებთ, სამშობლო მონატრებული გვაქვსო.

შენი ჭირიმე, ფრთხილად იყავი-მეთქი.

არაო, თავს დავდებ ამ საქმისთვისო. დგას და ბერეტებს ყიდის ნოტრ-დამის წინ.

რას იზამ?

ყოველთვის მჯეროდა, რომ ის რაც წარსულში ჯვაროსნული ომი და ასეთი რამეები იყო, დღეს ფეხბურთის სტადიონზე ეტევა.

აგე, თურქი, პარიზში, ლიდსში საომრად მიდის. რა იქნება? რა მოხდება „ელანდ როუდზე"? არ ჩაუშვებენო. ევროკავშირის პასპორტიან კაცს როგორ დააკავებ?

მწყინს, შოთა რომ არ გადმოვიდა „გალათაში", ეს თქვა ბერეტების გამყიდველმა თურქმა და დავცილდით ერთმანეთს უკეთესი მომავლის იმედით.

„შოთა, არჩილ... ნემსაზე", მომესმა უკნიდან. მოვიხედე და ორი თითი აუწევია, ვიქტორიაო.

პარიზი ისეთი ქალაქია, რომ...

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# სლოვენია 73:63 საქართველო

13 აპრილი. სენ კანტენი

| სლოვენია | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამოვიჩი | 24 | 1/1 | 2/5 | 2/2 | 4 | 1 | 0 | 3 | 10 |
| ბერნიკი | 30 | 1/5 | 0/0 | 10/12 | 2 | 7 | 1 | 3 | 12 |
| კესელი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ლორბეკი | 13 | 6/6 | 0/0 | 0/1 | 3 | 1 | 0 | 0 | 12 |
| მილუტინი | 28 | 4/8 | 0/0 | 1/2 | 6 | 3 | 1 | 0 | 9 |
| მორავეცი | 23 | 2/5 | 0/0 | 0/0 | 6 | 0 | 0 | 4 | 4 |
| სლოკარი | 30 | 3/5 | 0/1 | 3/3 | 2 | 0 | 1 | 3 | 9 |
| უდრიხი | 38 | 6/10 | 0/0 | 3/4 | 4 | 6 | 3 | 0 | 15 |
| ჟუპანი | 12 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 1 | 2 | 1 | 4 | 2 |
| სულ | 200 | 24/42 | 2/6 | 19/24 | 28 | 21 | 7 | 18 | 73 |

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბიაშვილი | 37 | 7/12 | 1/2 | 0/0 | 5 | 3 | 1 | 3 | 17 |
| ბერიშვილი | 18 | 0/2 | 0/3 | 0/0 | 3 | 4 | 4 | 2 | 0 |
| ხეცურიანი | 5 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| მარკოიშვილი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| მოისწრაფიშვილი | 4 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფაჩულია | 40 | 10/16 | 0/2 | 9/14 | 8 | 3 | 1 | 3 | 29 |
| სულაძე | 19 | 1/3 | 0/0 | 0/0 | 4 | 1 | 4 | 3 | 2 |
| ცქიტიშვილი | 20 | 2/4 | 1/4 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 3 | 7 |
| ტუღუში | 40 | 2/5 | 0/6 | 1/2 | 7 | 7 | 1 | 3 | 5 |
| უზრუხელიძე | 14 | 1/2 | 0/0 | 1/2 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 |
| სულ | 200 | 23/44 | 2/17 | 11/18 | 33 | 21 | 12 | 21 | 63 |

# სლოვანის შეგირდებით სლოვენიას ვერ მოუგებ

ქართველ ჭაბუკთათვის, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა რომ ამოუჭრიათ გულში, ძალიან ბევრს ნიშნავდა სლოვენიელებთან შეხვედრა. ექსიუგოსლავიელებთან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურები სანახევროდ თავს ფინალში დაიგულებდნენ და მნიშვნელოვნად გაიადვილებდნენ ამოცანას — საბოლოო მიზნის მისაღწევად დარჩენილი ორი მატჩიდან ერთის მოგებაც ეყოფოდათ.

გამგზავრებამდე მწვრთნელები ერთთავად იმას ამბობდნენ, რომ მოუმზადებელ-შეუთამაშებელი ჩვენი ნაკრების ერთადერთი პლუსი ოთხი ლეგიონერია, რომლებიც ევროპულ კლუბებში თამაშობენო. აქედან სამი მათგანი სლოვენიურ „სლოვანში“ ასპარეზობს და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი გუშინწინდელი მეტოქის თორმეტივე კალათბურთელი სწორედ ამ ქვეყანაში იწრთობა, სლოვენიელებთან შეხვედრაში იქნებ შეუძლებელსაც ვთხოვდით ბიჭებს.

მიუხედავად ამისა, სხვა აზრზე დგანან მწვრთნელები. ნამატჩევს სენ კანტენში ჩვენებურებს დავუკავშირდით და ნაკრების მეორე მწვრთნელმა გელა წულაძემ აი, რა გვიამბო:

— სლოვენიელებთან მოგება ნამდვილად შეგვეძლო, მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ, მაგრამ საშინლად არ გვიმართლებდა. სროლა არ წაგვივიდა, სამიზნეზე აღარაფერს ვამბობ, ძალიან ბევრი ბურთი ავაცილეთ ფარქვეშიდან, საჯარიმოებიც საკმაოდ გავაცუდეთ.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში ცუდად გამოიყურებოდა ჩვენი უკანა ხაზი. ბუბა ბერიშვილმა და კოტე ტუღუშმა თამაში ვერ ააწყვეს, მათზე კარგად ბაჩანა სულაძემ ითამაშა. სლოვენიელებთან უჩვეულოდ პასიური იყო ნიკა ცქიტიშვილიც, რაც, ვფიქრობ, დაღლილობის ბრალია. რუსეთთან ნიკა შეუცვლელად ვათამაშეთ და ალბათ, ამან იქონია გავლენა.

ჩვენებურთაგან საუკეთესონი კვლავაც ფაჩულია და ბაბიაშვილი იყვნენ. ქულათა უმრავლესობა სწორედ მათ მოაგროვეს, თუმც დაბლებმა იმდენად სუსტად ითამაშეს, რომ ფაჩულიას და ბაბიაშვილის კარგი გარჯა წყალში ჩაიყარა.

თავიდან სულ ჩვენ ვიგებდით. მეტოქემ პირველად შუაგულ ტაიმში გაგვითანაბრა, მერე გაგვისწრო კიდეც და პირველი ნახევარი 6 ქულით დავთმეთ. მეორე ტაიმში გამოვასწორეთ მდგომარეობა, ერთხანს 4 ქულითაც დავწინაურდით, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე ველარ შევინარჩუნეთ. უკანასკნელ წუთებში სლოვენიელებმა აშკარად გვაჯობეს.

სამეულში მოხვედრის შანსი კიდევ გვაქვს. ამისთვის პოლონელებს აუცილებლად უნდა მოვუგოთ. თუ ეს მოვახერხეთ, შეიძლება ითქვას, გასულები ვართ ფინალში. რუსებთანაც და პოლონელებთანაც ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი გვექნება, რაც, ალბათ, გადამწყვეტ მნიშვნელობას იქონიებს.

ახლა 5-10 წუთში ბიჭები უნდა შევკრიბოთ და დაველაპარაკოთ. მეტად პრინციპული თამაშისთვის გუნდი ფსიქოლოგიურად უნდა შევამზადოთ.

გიორგი ბიკაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი ჩიკაგოს წინააღმდეგ

13 აპრილი

**ჩიკაგო 103:109 ვაშინგტონი**

ჩიკაგო: ბრენდი (44 ქულა, 12 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (26), ვიტნი (17), რიჩმონდი (16)

**ჰიუსტონი 111:102 დალასი**

ჰიუსტონი: ვილიამსი (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), მობლი (20), ფრენსისი (16 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)
დალასი: ფინლი (35)

**სან ანტონიო 77:93 პორტლენდი**

სან ანტონიო: რობინსონი (16)
პორტლენდი: უოლესი (27)

**საკრამენტო 130:107 გოლდენ სტეიტი**

საკრამენტო: ვებერი (22)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (35 ქულა, 12 მოხსნა), ჯეკობსონი (19)



ჩიკაგო — ვაშინგტონი. მასპინძელი ელტონ ბრენდის (№42) 44-ქულიანი თავგამოდება ამაო გამოდგა

„ვაშინგტონ ვიზარდსის“ პრეზიდენტი მაიკლ ჯორდანი ფინიქსში იმყოფებოდა ნბა-ს კლუბების ხელმძღვანელთა წინა სადრაფტო შეკრებაზე, როცა მისი ახალი გუნდი ყოფილს, „ჩიკაგო ბულზს“ სტუმრობდა. მართალია, მისი ჰაერის უდიდებულესობა სხვაგან გახლდათ, მაგრამ მთელი გულისყური ამ თამაშისკენ ჰქონდა მიპყრობილი და დიდადაც გაიხარა, როცა „ჩიკაგოს“ ძლევის ამბავი შეიტყო. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ლეგენდარულმა ჯორდანმა თავისი სპორტული კარიერა მხოლოდ და მხოლოდ „ჩიკაგოს“ დაუკავშირა და ექვსჯერ ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ახლა ახალი გუნდის, „ვაშინგტონის“ აღორძინებისთვის იღვწის და ეს გასაგებია...

აღმოსავლეთის ამ ორი აუტსაიდერის შეხვედრა, იმ დღეს გამართული სხვა სამი შეხვედრისგან განსხვავებით, დაძაბული გამოდგა. ამ სეზონში სხვებისგან გათელილმა გუნდებმა ერთმანეთი არ დაინდეს და მათი ბრძოლის საცქერად მოგროვილი 22 ათასი კაციც ერთობ ასიამოვნეს. ამ თამაშში ყველაფერი იყო, რეკორდიც კი — „ჩიკაგოს“ ლიდერმა, ახალბედა ელტონ ბრენდმა თამაშიდან ზედიზედ 14 სროლა ჩააგდო. მანამდე ეს რეკორდი ვინმე კლიმ ჰესკინსს ეკუთვნოდა, რომელსაც შორეულ, 1970 წელს ერთ-ერთ რიგით შეხვედრაში თამაშიდან ზედიზედ 11 სროლა ჩაუგდია. ახალი რეკორდის ავტორმა კი თამაშში სულ 44 ქულას მოუყარა თავი და კარიერის პირადი რეკორდიც ექვსი ქულით გაიუმჯობესა. ამასთან, ბრენდი გახდა პირველი ჩიკაგოელი, ვინც ჯორდანის წასვლის შემდეგ „ბულზს“ 40 ქულაზე მეტი მოუტანა. აღსანიშნავია, რომ მას ამდენი ქულა არამარტო ნბა-ში ყოფნის დროს, არამედ სტუდენტობისასაც არ ჩაუგდია. „ამაზე მეტი ქულა სიცოცხლეში ერთხელ მომიგროვებია — ამბობს ბრენდი — ერთხელ სკოლაში ჩავაგდე 48 ქულა, ან დაახლოებით ამდენი. კარგად აღარც მახსოვს“. მასპინძელთა სამწუხაროდ, მისმა თავგამოდებამ შედეგი ვერ გამოიღო. გამოუცდელი მოთამაშეებით დაკომპლექტებული „ჩიკაგო“ ბოლო წუთებზე დამარცხდა.

13 აპრილის თამაშებიდან ყველაზე უფრო საინტერესოდ „სან ანტონიოსა“ და „პორტლენდის“ შეხვედრა მიიჩნეოდა, მაგრამ ბრძოლა არ შედგა, რადგან ჩემპიონებს თავისი ლიდერი, ტიმ დანკანი აკლდათ. მას ამას წინათ მარცხენა მუხლი უტკენია. „პორტლენდთან“ მარცხს ვინ ჩივის, სან ანტონიოში ის აშფოთებთ, რომ სავსებით შესაძლებელია, დანკანი პლეი ოფს არცთუ საუკეთესო ფორმაში შეხვდეს. ეს კი მათთვის ჩემპიონობის დაკარგვის ტოლფასია. თამაშში რომ „პორტლენდს“ ბევრი პრობლემა არ შექმნია, ამაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს. სტუმრებმა იოლად გააჩერეს „სფურზის“ მეორე ლიდერი, დევიდ რობინსონი, რაშიც ლომის წილი „პორტლენდის“ ლიტველმა ცენტრმა, არვიდას საბონისმა დაიდო. სხვა მასპინძელთაგან კი ვერავინ გამოიჩინა ფხა. „გაგვიმართლა, რომ ტიმი არა ჰყავდათ — ამბობდა პორტლენდელი სკოტი პიპენი — ბუნებრივია, ერთი შვიდფუტიანი (213 სანტიმეტრი) კაცის მორევა უფრო ნაკლებად ჭირს, ვიდრე ორის ერთად“. თავად პიპენმა ამ გამარჯვებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა. ერთ დროს ლიგის უძლიერესი ფრთა ახლა სულ ოთხი ქულით დაკმაყოფილდა.

ირაკლი ფირაშვილი

# მისი ბრწყინვალება კალათბურთს მოაკლდება

## ოთხშაბათს ჩარლზ ბარკლი კარიერას დაასრულებს

აბა, ვის არ ახსოვს ბობოქარი ჩარლზ ბარკლი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კოლორიტი, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და მისი კარიერის უღბლო დასასრული. 8 დეკემბერს „ჰიუსტონ როკიტსი“ ფილადელფიას სტუმრობდა. სერ ჩარლზმა თამაშის პირველივე მეოთხედში მარცხენა ფეხის ოთხთავა კუნთის მყესი გაიწყვიტა და კალათბურთსაც გამოეთხოვა. მაგრამ ბარკლისთვის თურმე ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. თავად სერ ჩარლზმა არ ისურვა კალათბურთს ასე გამოსთხოვებოდა. მას გადაუწყვიტია, იმ საბედისწერო ტრავმის მიღებიდან ოთხ-ნახევარი თვის შემდეგ კვლავ მობრუნდეს კალათბურთში... მხოლოდ ერთი თამაშით. ეს მოხდება მისი გუნდის „ჰიუსტონ როკიტსის“ სეზონის ბოლო მატჩში. „ჰიუსტონი“ ოთხშაბათს „ვანკუვერს“ მასპინძლობს და ამდენი ხნის უთამაშებელ და კალათბურთის აგრერიგად მოწყურებულ ბარკლის მტკიცედ აქვს გულში ამოჭრილი, თავისი ბრწყინვალე კარიერის ბოლო აკორდი სწორედ ამ თამაშში ჩამოკრას. „ამას წინათ ექიმს მოვეთათბირე და მანაც მითხრა, რომ არაფერი დამიშავდება, თუ რამდენიმე წუთს მოედანზე წავითამაშებ. ფეხი თითქმის საბოლოოდ მომირჩა და არა მგონია, ისე შემაწუხოს, განზრახვაზე ხელი ავიღო“ — ამბობს ბარკლი და 58 თამაშის გამოტოვების შემდეგ გული კვლავ საყვარელი საქმისკენ მიუწევს. არსებობს საშიშროება, რომ თუ ახალშეხორცებული ტრავმა გაუმიზეზდა, იგი თამაშს კი არა, კარგა ხნის განმავლობაში სიარულსაც ველარ შეძლებს, თუმც ბარკლის ეს ნაკლებად აღელვებს.

ახლა სერ ჩარლზი 36 წლისაა და ზურგსუკან 16-წლიანი კარიერა აქვს, რომლის განმავლობაში ბლომად ტიტულები მოუხვეჭია. მათგან მთავარი, ცხადია, 1992-93 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაა. ერთი რამ ჩარჩა ბარკლის გულში ხინჯად და ალბათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება — მიუხედავად ამ უამრავი ტიტულისა და კაშკაშა კარიერისა, ნბა-ს ჩემპიონობას ვერ მიაღწია. მას რომ ჰკითხოთ, ყველა თავის ტიტულს ჩემპიონის ოქროს ბეჭედში გაცვლიდა.

ივანე კობიაშვილი

# ვთამაშობთ ბოლომდე

საქართველოს ჩემპიონატი

თსუ, „შევარდენი“, „დინამო“, სსუ, ასკ, „გორი“ — ეს ის გუნდებია, რომელთაც რეგულარულ ჩემპიონატში ხელი მოეცარათ, და ექვსეულში ვერ გააღწიეს. მათ ისღა დარჩენიათ, მეშვიდე-მეთორმეტე ადგილები დაინაწილონ და საამისოდ ორშაბათიდან შეუდგებიან ბრუნვას. მაშ ასე, მეორე ექვსეულის პირველი წრე 17 აპრილს ვერის ბაღში დაიწყება, შეხვედრები წრიული სისტემით გაიმართება და ხუთ დღეს გასტანს.


ქირავდება

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ.

„დინამო“ სტადიონთან :[ურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.

ტელ: 34-80-68


### თურქეთი

პლეი ოფის პირველი წრე
(სამ მოგებამდე) მეორე მატჩები

| | |
|---|---|
| ტელეკომი | 2 |
| ფენერბაჰჩე | 1 |
| ფენერბაჰჩე 63:62 ტელეკომი | |
| გალათასარაი | 1 |
| ტროი | 1 |
| ტროი 96:94 გალათასარაი | |

*ტელეკომმა სერია 1:0-ით დაიწყო. მომდევნო შეხვედრები გაიმართება 16 აპრილს*

### იტალია

პლეი ოფის პირველი წრე
(ორ მოგებამდე) პირველი მატჩები

| | |
|---|---|
| სიენა | 1 |
| იმოლა | 0 |
| სიენა 93:80 იმოლა | |
| კუკეტი | 1 |
| მიულერი | 0 |
| კუკეტი 88:67 მიულერი | |
| სკავოლინი | 0 |
| ადეკო | 1 |
| სკავოლინი 83:85 ადეკო | |
| ბენეტონი | 1 |
| პეპსი | 0 |
| ბენეტონი 84:80 პეპსი | |
| აეროპორტი | 1 |
| ტრიესტი | 0 |
| აეროპორტი 63:52 ტრიესტი | |
| ვიოლა | 1 |
| ვარეზე | 0 |
| ვიოლა 75:63 ვარეზე | |

# მძლეოსნობა

# მარიონი მთავარია

**მარიონ ჯონსი** გამოჩნდა. გუშინწინ იგი რელეიში ნახეს (ქალაქია ჩრდილოეთ კაროლინის შტატში), სადაც მორბენალმა რვათვიანი იძულებითი უქმობის დასრულება გამოაცხადა. ისტორიას ჩაბარდა წელის მძლავრი ტკივილი და ახლა, ამერიკელი, თავისივე განცხადებით, სრულ საბრძოლო ფორმაშია, ხოლო იმის მტკიცებას, რომ ეს მართლაც ასეა, ჯონსი მშობლიური კალიფორნიიდან დაიწყებს, სადაც ლოს ანჯელესის ახლოსავლეთით, სან ანტონიოს კოლეჯის სამძლეოსნო სარბიელზე 400-მეტრიან დისტანციას გაირბენს. ჯონსის ოპტიმიზმი ამოუწურავია და გეგმები — გრანდიოზული. მისი ყურადღების ცენტრში სიდნეის ოლიმპიური თამაშებია, სადაც მორბენალს ოთხი ოქროს მოხვეჭა განუზრახავს და სიგრძეზე მხტომელის რანგში თავისი ტრიუმფის დამრგვალებაც მოსურვებია. 100, 200, 4X100 და 4X400 მეტრიანი დისტანციები გახლავთ რბენის სახეობათა ის სიმრავლე, რომლებშიც ჯონსი ოლიმპიადაზე უნდა ვიხილოთ, ოღონდ, რახან ამერიკელი მწვრთნელები უგულებელყოფენ ყოველგვარ ადრინდელ დამსახურებებს, ოლიმპიადამდე მარიონმა ჯერ ის უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკრებში მოხვედრის ღირსია. ამიტომაც იწყებს ოთხასით, რა არის, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლას და უცებ დაიბევოს ადგილი ესტაფეტებში, თორემ ერთეულთა 400-მეტრიანზე სიდნეიში რბენა მის გეგმებში არ ჭაჭანებს.

„ჩემს ირგვლივ ყოველი ეჭვი უნდა გავფანტო — თქვა ჯონსმა გუშინწინ — შარშან 400 მეტრის გასარბენად 50,36 წამი დამეხარჯა, ახლა კი 50 წამზე დაბლაც ჩამოვალ, ამის ნამდვილად მჯერა. მე სირბილი მინდა... ხტუნვაც". ცალკე საკითხია ლეგენდარული ფლორენს გრიფიტ ჯოინერის რეკორდები, რომლებსაც 24 წლის ამერიკელი მაინცდამაინც დამხობას არ უქადის, რახან მისი ცხოვრების მთავარ სამიზნედ ამჯერად სიდნეი პლუს ხუთი (ოქროს მედლების რაოდენობა) შექმნილა.



სი ჯეი ჰანტერი: ჩემი ოქრო და ცოლი ჩემთან

მარიონ ჯონსის თემას განვავრცობთ იმით, რომ სი ჯეი ჰანტერის ამბავს მოვყვებით. ამ ორ პიროვნებას ოჯახური უღელი აკავშირებს, ამასთან, ჰანტერი 31 წლისაა, სიმაღლით მეტრი და 85 სანტიმეტრია, 136 კილოს იწონის და პროფესიაც ამ მონაცემების შესაფერისი აქვს — ბირთვის მკვრელი გახლავთ. ცოლის არ იყოს, ჰანტერი სიდნეის ოლიმპიადას მეტად იმედიანად უყურებს და სწორედ იქ აპირებს ჯოტია ცაავას ისტორიული რეკორდის დამხობას. შარშან მსოფლიოს პირველობის მოგებისას ამერიკელს 22 მეტრამდე სულ 21 სანტიმეტრი დააკლდა და ახლა კი მისი მწვრთნელი, წარსულში განთქმული ბადროს მტყორცნელი, ბრაიან ბლატრიხი ისე ლაპარაკობს, იქნებ ჰანტერმა ცაავას რეკორდი სულაც ოლიმპიადამდე მოხსნას. „ჩვენ ტყორცნის ახალი მეთოდი შევიმუშავეთ — განმარტა ბლატრიხმა — სი ჯეი ახლა უფრო ეფექტურად იყენებს თავის მასასა და სიმაღლეს, ამიტომ არამცთუ 22 მეტრის, წლეულს 73 ფუტის (22,25 მ) დაძლევასაც ვაპირებთ".

ჰანტერისა და მარიონ ჯონსის ოჯახურ დამოკიდებულებებზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი იმ სიტყვებში უნდა იყოს გაცხადებული, ქმარს რომ ეკუთვნის და ჩვენს წერილს დაამბოლოებს: „ჩემთვის მთავარი მარიონია. ჯობს, მან გაიმარჯვოს და მე დავმარცხდე. რატომ, თუ იცით? იმიტომ, რომ ჩემი ცოლია და ჩემი სპორტში დარჩენის მთავარი მიზეზიც".

**დავით გულუა**

# კრივი

# ლენოქს [illegible] მნაღვლება

**ახლოვდება** ოცდაცხრა აპრილი, როცა ბრიტი ლენოქს ლუისი ამერიკელ მაიკლ გრანტს უნდა შეერკინოს „მედისონ სკვერ გარდენში". დონ კინგის მიერ წამოწყებული სასამართლო პროცესი, ასოციაციის (ვბა) ვერსიით უძლიერესი ჯონი რუიზია და თუ ლუისი მას არ შეხვდება, ასოციაციის ქამარი უნდა ჩამოერთვასო, გამარჯვებით დასრულდა. ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ლუისს არა აქვს უფლება ასოციაციის ქამრისთვის შეხვდეს სხვა ვინმეს, გარდა რუისისა.

ბრიტს კვლავ უპყრია (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) ქამრები და გრანტთან ბრძოლაში ამათ დაიცავს.

ლუისი არ წაუხდენია სასამართლოს გადაწყვეტილებას: „ყველამ იცის, ვინ არის მსოფლიოს უდავო ჩემპიონი. ასევე ყველამ იცის, რომ უძლიერესი პრეტენდენტი მაიკლ გრანტია. ვიცოდი, რომ სასამართლო ასე გადაწყვეტდა, მაგრამ არ მინერვიულია".

ამასობაში კი, მაიკლ გრანტი მედიდურად იქცევა. თუნდაც ეს რად ღირს, რომ საკუთარ პრესკონფერენციაზე ერთი საათი აცდევინა ჟურნალისტებს, და მერე საერთოდ აღარ მივიდა. კრივზე მწერალთა რისხვას მისმა მენეჯერმა კრეიგ ჰამილტონმა შეაგება მკერდი და გამოაცხადა, რომ მაიკლი ინტერვიუებზე უარს აცხადებს და თუ ლანძღვა გინდათ, მე მლანძღეთო.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# ჩოგბურთი

# იყვირე, რამდენიც გინდა

**გასულ** უქმეებზე სანტიაგოში ჩილესა და არგენტინის ნაკრებებს შორის დევისის თასის შეხვედრაში მომხდარი ინციდენტის გამო საბოლოოდ ორივე მხარე დაისაჯა.

ერთხელაც შეგახსენებთ იმ ავბედითი დღის მოვლენებს. არგენტინელი მარიანო ზაბალეტა მასპინძელ ნიკოლას მასიუს სეტებით 2:1-ს უგებდა, როდესაც მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ტრიბუნებმა სტვენა-ღრიალს უფრო ქმედითი პროტესტის გამოხატვის საშუალებები შეამველეს — კორტს მონეტები, მომარაგებული სასმელ-საჭმელი და პლასტმასის სკამები დაუშინეს.

მატჩი შეწყდა, არგენტინელები პოლიციის და დამცავი ფარების დახმარებით გაიყვანეს სამშვიდობოზე, ზაბალეტას მამას კი თავში ისეთ უთავაზეს, 10 ნაკერის დადება დასჭირდა.

მოგვიანებით მსაჯმა ტონი ჰერნანდესმა გადაწყვიტა, შეხვედრა შაბათ-კვირას, დახურულ კარს მიღმა, მაყურებლების გარეშე გამართულიყო. მასპინძლები ამ წინადადებას დათანხმდნენ, სტუმრებმა კი თამაშზე უარი განაცხადეს, თავს უსაფრთხოდ არ ვგრძნობთო და შინ გაფრინდნენ.

შედეგად ჩილეს 5:0 გამარჯვება ჩაეთვალა, თუმცა არგენტინელებმა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ITF) იჩივლეს და მატჩის გადათამაშება მოითხოვეს.

გუშინ მომხდარი ფაქტი ITF-თან არსებულმა დევისის თასის კომიტეტმა განიხილა და ორივე მხარისთვის მეტად არასასურველი განაჩენიც გამოიტანა.

კომიტეტმა დაადგინა: „არგენტინა ვალდებული იყო, არბიტრს დამორჩილებოდა და ასპარეზობა გაეგრძელებინა. მსაჯის გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებებს არ აღემატებოდა და იმ სიტუაციაში მიზანშეწონილი იყო." ასე რომ, მატჩის შედეგი არ გაუქმდა და სტუმრებს მაინც წაგება ჩაეთვალათ.

სამაგიეროდ, მასპინძლები სხვა მხრივ დაზარალდნენ. „ჩილეს ჩოგბურთის ასოციაციამ ვერ უზრუნველყო მატჩის შესაფერის დონეზე ორგანიზება. ამიტომ მათ შინ თამაში აეკრძალებათ 2002 წლის სეზონის დასრულებამდე" — ნათქვამია იმავე გადაწყვეტილებაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ დევისის თასის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი საპლეიოფო შეხვედრა ჩილესა და მაროკოს შორის ივლისში სანტიაგოში კი არა, აფრიკის ჩრდილოეთში ჩატარდება.

თუმცა ჭრილობაზე მარილის მოსაყრელად კომიტეტმა სამხრეთამერიკული ქვეყნების საჩოგბურთო ფედერაციებს დამატებითი სასჯელი — ფულადი ჯარიმებიც დაუწესა: ჩილელები მაქსიმუმ 141 800 დოლარს უნდა შეელიონ, არგენტინელები — 77 100-ს.

ბუნებრივია, გამოტანილი განაჩენით კმაყოფილი არც ერთი მხარე არ დარჩენილა. ისინი უკვე ემზადებიან მორიგი აპელაციისთვის. უახლოეს დღეებში ITF-ის დირექტორთა საბჭო, ალბათ, კიდევ ერთხელ შეიკრიბება მონაკოში და ამ საქმეს განიხილავს.

თუ ჩილელებს სასჯელის შემსუბუქების იმედი ასე თუ ისე მაინც აქვთ, არგენტინელთა მდგომარეობა თითქმის უიმედოა. ჩოგბურთში მსგავსი ინციდენტი ადრეც მომხდარა. რამდენიმე წლის წინ მაყურებელთა გინებებითა და კორტზე საგნების სროლით შეურაცხყოფილმა ავსტრიელებმა ბრაზილიაში დევისის თასის მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. მაშინ მასპინძლებს თავგასულობა ხახვივით შერჩათ, ევროპელებს კი წაგება ჩაუთვალეს.



ჩილელმა პოლიციელებმა არგენტინელი ჩოგბურთელები ხიფათს გაარიდეს



ჯეფ ტარანგო

# მოიხსენით მზის სათვალე

**ატლანტა, აშშ. GALLERYFURNITURE.COM-ის ჩემპიონატი. მწვანე თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

**ადრე** თუ გვიან ყველაფერი კარგი აუცილებლად სრულდება და ანდრე აგასის ჩეხ ჩოგბურთელებთან გამარჯვებათა სერიაც ოდესმე უნდა შეწყვეტილიყო.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს ზემოხსენებული ეროვნების წარმომადგენლებთან 1991 წლიდან მოყოლებული არ წაეგო, სანამ ატლანტის მწვანე თიხნარზე 21 წლის ყველასთვის უცნობ ირჟი ვანეკს არ გადაეყარა.

ისტორიული გამარჯვების მოპოვებაში და უამრავი, მათ შორის გასულ უქმეებზე დევისის თასზე დამარცხებული თანამემამულეების ჯავრის ამოყრაში ვანეკს არცთუ სახუმარო დახმარება, თავად ხოტორა ამერიკელმა, ცოტა უფრო თუ დავკონკრეტდებით, ამ უკანასკნელის მარჯვენა კოჭმა გაუწია.

პირველივე სეტის ბოლოს, როდესაც ანგარიში 4:3 იყო ამერიკელის სასარგებლოდ, აგასიმ მაყურებელთა გასახარად ფეხებს შორის დარტყმით მოიწადინა ერთი გათამაშების დასრულება. აქედან ხეირიანი არაფერი გამოვიდა, უხერხული მოძრაობის შედეგად კი ფეხი დაიზიანა.

„ასეთი რამ შარშან, სკოტსდეილის ტურნირზეც დამემართა, ასეთივე ცივ ღამეში. დღეს ძალიან მძიმე პირობები იყო სათამაშოდ და თავიდანვე შეგნებული მქონდა, რომ ტრავმის რისკი არსებობდა. იმედია, მალე მოვრჩები და საფრანგეთის ღია პირველობისთვის ხეირიანად მოვემზადები" — განაცხადა აგასიმ, რომელმაც პირველი სეტის 4:6 წაგების შემდეგ თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ვანეკის მომდევნო მეტოქე კიდევ ერთი ამერიკელი ვეტერანი ჯეფ ტარანგო იქნება, რომელმაც მეორე წრეში ჩეხ მიხალ ტაბარასთან ერთად გვერდით მსაჯებსა და ტურნირის ორგანიზატორებთანაც იბრძოლა.

„როგორ შეიძლება, ადამიანს მზის სათვალის ტარების ნება მისცე, როცა ასეთი მოღრუბლული ამინდია? ასე ხომ ბურთს ვერაფრით დაინახავენ — იბღვირებოდა შარისთავობით გამორჩეული ტარანგო მატჩის შემდეგ — ერთი გვერდითი მსაჯი 70 წლის ბებერი იყო, შავი მზის სათვალე ეკეთა და დედუქციით ცდილობდა, გამოეცნო, ბურთი ჩავარდა თუ არა."

მესამე სეტში წვიმით გამოწვეული შესვენების დროს ამერიკელმა ATP ტურის ზედამხედველ მარკ დარბის სთხოვა, სათვალეები მოეხსნა მსაჯებისთვის და როდესაც მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, 10 წუთის მანძილზე უარობდა თამაშის გაგრძელებას.

„დარბი დამპირდა, ყველაფერს მოვაგვარებო, მაგრამ თავი ოდნავაც არ შეიწუხა, ხომ შეეძლო, ეთხოვა მაინც, სათვალეები მოიხსენითო. მან უბრალოდ ერთი გვერდითი მსაჯი მეორით შეცვალა, რომელსაც... კიდევ უფრო მუქი მზის სათვალე ეკეთა."

საბოლოოდ ტარანგომ მაინც მოიგო 5:7, 6:2, 7:6 (7:4).

მეორე წრე: **შტეფან კუბეკი** (2, ავსტრია) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3; **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — მაგნუს ლარსონი (3, შვედეთი) 3:6, 6:4, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (4, აშშ) — ხულიან ალონსო (ესპანეთი) 7:5, 6:7 (4:7), 6:3; **კრის ვუდრაფი** (5, აშშ) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 4:6, 6:2, 6:2; **ნიკოლას მასიუ** (ჩილე) — სარგის სარგსიანი (6, სომხეთი) 6:2, 6:3.

**ეშტორილის ღია პირველობა. პ[illegible] ჰუგალია. თიხნარი. საპრიზო 650 ათასი $**

მეორე წრე: **კარლოს მოია** (ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (2, შვედეთი) 6:1, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (4, ინგლისი) — გასტონ გაუდიო (ესპანეთი) 6:4, 6:4; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — ფელიქს მანტია (7, ესპანეთი) 6:4, 6:3; **ნიკოლა ესკუდე** (8, საფრანგეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:2, 6:4; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



ანდრე აგასი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 30-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | ბაიერნი-მიუნხენ 1860 | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 004 | დუისბურგი-დორტმუნდი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 005 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 006 | კაიზერსლაუტ.-აინტრახტი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 007 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | ლევერკუზენი-არმინია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 009 | ლევერკუზენი-არმინია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 010 | უნტერჰახინგი-ჰანზა | 1,8 | 2,9 | 4,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 27-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | კოტბუსი-ბერლინი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | კიოლნი-მაინცი (17$^{45}$) | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 016 | ობერჰაუზენი-ფორტუნა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 017 | კარლსრუე-ჰანოვერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 018 | ფიურტი-ოფენბახი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

17 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

17 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ქემნიცი-ნიურნბერგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 33-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | ქოვენთრი-მიდლსბრო . | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 022 | დერბი-ვესტ ჰემი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 023 | ევერტონი-ბრედფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 024 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 025 | მანჩესტერი-სანდერლენდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 026 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 027 | უენსდი-ჩელსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 028 | საუთჰემპტონი-უოტფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 029 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | უიმბლდონი-ლივერპული (17$^{00}$) | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| 031 | ლიდსი-არსენალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 42-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | გრიმსბი-მანჩესტერ სიტი (17$^{00}$) | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 034 | ბირმინგემი-ნოტინგემი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 035 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 036 | ქრიუ-ქუინზ პარკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 037 | ფულემი-შეფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 038 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 039 | პორტ ვეილი-ბარნსლი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 040 | სტოკპორტი-იფსვიჩი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 041 | სუინდონი-ტრანმერი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 042 | უოლსოლი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 043 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 42-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 044 | ბლეკპული-სკანთორპი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 045 | ბრენტფორდი-მილუოლი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 046 | როვერსი-პრესტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 047 | ბერი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 048 | კარდიფი-კემბრიჯი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 049 | ჯილინგემი-უიგანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 050 | ნოტსი-რედინგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 051 | ოქსფორდი-ბარნლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 052 | რექსემი-ბორნმუთი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 053 | უიკომბი-კოლჩესტერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 42-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 054 | ბრაიტონი-როტერჰემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 055 | კარლაისლი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 056 | ჩელტენემი-იორკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 057 | ჩელტენემი-იორკი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 058 | დარლინგტონი-ნორთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 059 | ჰალიფაქსი-ბარნეტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 060 | ჰარტლპული-ლინკოლნი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 061 | ლეიტონი-ჩესტერი | 1,7 | 3,5 | 3,8 |
| 062 | მენსფილდი-ჰალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 063 | პიტერბრო-ექსეტერი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 064 | პიტერბრო-ექსეტერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 065 | პლიმუთი-სუონსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 066 | შრიუსბერი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 067 | საუთენდი-ტორკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 070 | მონაკო-ნანსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 071 | მონაკო-ნანსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 072 | სტრასბური-სედანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 073 | ბორდო-ლე ავრი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 074 | ბორდო-ლე ავრი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 075 | მეცი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 076 | რენი-მონპელიე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 077 | ნანტი-მარსელი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 078 | ტრუა-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 33-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | აიაჩო-ნიორი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 080 | ნიცა-ლე მანი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 081 | ლავალი-კანი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 082 | გენგამი-ვალანსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 083 | გენგამი-ვალანსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 084 | ამიენი-ლორიანი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 085 | ლილი-გენიონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 086 | ლუანი-ტულუზი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 087 | შატორუ-ვასკეალი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 088 | სოშო-კრეტეი | 1,55 | 3,2 | 6,5 |

### იტალია. სერია "ა". 30-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 089 | ვერონა-უდინეზე | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 090 | ფიორენტინა-ლაციო | 3,1 | 2,8 | 2,3 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 091 | ბარი-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 092 | კალიარი-რეჯინა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 093 | პარმა-ვენეცია | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 094 | პარმა-ვენეცია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 095 | პერუჯა-პიაჩენცა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 096 | რომა-ბოლონია | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 097 | ტორინო-მილანი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 098 | ინტერი-იუვენტუსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 30-ე ტური

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 099 | ალბინოლეფე-პიზა | 2,3 | 2,4 | 3,6 |
| 100 | კარარეზე-ჩიტადელა | 2,4 | 2,4 | 3,4 |
| 101 | ლეკო-სიენა | 3,1 | 2,3 | 2,8 |
| 102 | ლივორნო-კომო | 2,0 | 2,4 | 4,7 |
| 103 | ლუმეცანე-მოდენა | 2,3 | 2,4 | 3,6 |
| 104 | მონტევარკი-ბრეშელო | 2,5 | 2,4 | 3,2 |
| 105 | რეჯანა-ლუკეზე | 2,9 | 2,1 | 3,4 |
| 106 | სანდონა-კრემონეზე | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 107 | სპალ-ვარეზე | 2,4 | 2,4 | 3,4 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 30-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 108 | ლოდიჯანი-გუალდო | 2,1 | 2,4 | 4,2 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 109 | არეცო-ვიტერბეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 110 | ასკოლი-ანკონა | 2,4 | 2,4 | 3,4 |
| 111 | აველინო-სტაბია | 2,3 | 2,4 | 3,6 |
| 112 | ბენევენტო-ატლეტიკო | 1,7 | 2,5 | 7,0 |
| 113 | კროტონე-ნოჩერინა | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 114 | ჯულიანოვა-დი სანგრო | 2,1 | 2,4 | 4,2 |
| 115 | მარსალა-ფ.ანდრია | 2,3 | 2,5 | 3,4 |

17 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 116 | კატანია-პალერმო | 2,2 | 2,4 | 4,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 33-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | ოვიედო-ბარსელონა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 118 | სარაგოსა-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 119 | სევილია-ვალენსია | 3,1 | 3,0 | 2,2 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 120 | მალიორკა-ალავესი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 121 | ესპანიოლი-ბეტისი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 122 | რასინგი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 123 | სელტა-ნუმანსია | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 124 | სოსიედადი-ბილბაო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 125 | ატლეტიკო-მალაგა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 126 | რაიო ვალეკანო-დეპორტივო | 3,0 | 2,9 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 35-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | ლეიდა-ლოგრონიესი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 128 | ეიბარი-ლეგანესი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 129 | ხეტაფე-ოსასუნა (14$^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 130 | ესტრემადურა-სპორტინგი (15$^{00}$) | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 131 | ლევანტე-ტოლედო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 132 | ლევანტე-ტოლედო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 133 | ვილიარეალი-მერიდა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 134 | ელჩე-ატლეტიკო "ბ" | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 135 | ალბასეტე-კორდობა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 136 | სალამანკა-ლას პალმასი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 137 | ბადახოსი-კომპოსტელა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 138 | ტენერიფე-რეკრეატივო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### პორტუგალია. 30-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 140 | სანტა კლარა-პორტუ | 5,6 | 3,6 | 1,5 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 141 | ბენფიკა-ბელენენსეში | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 142 | ბენფიკა-ბელენენსეში 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 143 | მარიტიმუ-ლეირია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 144 | ჟილ ვისენტე-რიუ ავე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 145 | სალგეირუში-კამპომაიორენსე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 146 | სეტუბალი-ბრაგა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 147 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 148 | სპორტინგი-გიმარაეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

17 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | ამადორა-ბოავიშტა | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### ჰოლანდია. 30-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 151 | ჰერენვენი-სიტარდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 152 | ჰერენვენი-სიტარდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 153 | მაასტრიხტი-ვალვაიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 154 | როდა-ტილბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 155 | ვიტესი-ტვენტე | 2,2 | 3,0 | 3,1 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 156 | დენ ბოსხი-ნაიმეგენი (17$^{30}$) | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 157 | პსვ-კამბური (17$^{30}$) | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 158 | პსვ-კამბური 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 159 | აიაქსი-ალკმაარი (17$^{30}$) | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 160 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,0 | 1,9 |

### ბელგია. 31-ე ტური

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 161 | აალსტი-გენკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 162 | ბევერსხოტი-სტანდარდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 163 | ლოკერენი-შარლერუა | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 164 | სენტ ტრუიდენი-მუსკრონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 165 | ლომელი-ლიერსი | 3,0 | 3,3 | 2,1 |

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 166 | ბრიუგე-ბევერენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 167 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 168 | გეელი-მეხელენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 169 | ჰარელბეკე-ვესტერლო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 170 | ანდერლეხტი-გენტი | 1,6 | 3,3 | 53 |

### საბერძნეთი. 28-ე ტური

15-17 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 171 | აპოლონი-კალამატა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 172 | პანილიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 173 | პანიონიოსი-კავალა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 174 | ირაკლისი-იონიკოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 175 პროდეფტიკი-ტრიკალა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 176 ეონიკოსი-არისი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 177 პანაჰაიკი-აეკ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 178 პანათინაიკოსი-ოფი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 179 პანათინაიკოსი-ოფი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 180 ქსანთი-პაოკ | 2,4 | 2,9 | 2,8 |

ჩეხეთი. 25-ე ტური

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 182 დრნოვიცე-დუკლა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 183 სიგმა-ვიკტორია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 184 სლავია-ოპავა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 185 სლავია-ოპავა | | | |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 186 ბლშანი-იაბლონეცი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 187 ლიბერეცი-ტეპლიცე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 188 ბანიკი-ბუდეიოვიცე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 189 ბოჰემიანსი-ბრნო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

პოლონეთი. მე-23 ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 190 პლოცკი-ოდრა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 191 რაძიონკოვი-ამიცა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 192 რუხი-ლეხი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 193 რუხი-ლეხი | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 194 სტომილი-ლკს | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 195 პოგონი-გურნიკი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 196 ვიძევი-ლეგია | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 16 აპრილი | | | |
| 197 პოლონია-ვისლა (17$^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 198 გროცლინი-ზაგლებე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

თურქეთი. 29-ე ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 200 ალთაი-გაზიანთეფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 201 გენჩლერბირლიგი-ანთალია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 202 დენიზლი-ადანა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 203 ქოჯაელი-ტრაბზონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 16 აპრილი | | | |
| 204 ერზურუმი-ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 205 სამსუნი-ისთანბული | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 206 ფენერბაჰჩე-გიოზთეფე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 207 ფენერბაჰჩე-გიოზთეფე | | | |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

შოტლანდია. 31-ე ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 208 აბერდინი-ჰართსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 209 სელტიკი-დანდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 210 სელტიკი-დანდი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 211 დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 212 ჰიბერნიანი-სენტ ჯონსტონი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 16 აპრილი | | | |
| 213 მოზერუელი-კილმარნოკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

ავსტრია. 29-ე ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 216 აუსტრია-ბრეგენცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 217 აუსტრია-ბრეგენცი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 218 ტიროლი-გრაცერი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 219 ტიროლი-გრაცერი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 220 რიდი-ზალცბურგი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 221 ლუსტენაუ-რაპიდი | 5,0 | 3,4 | 1,6 |

შვეიცარია. მე-6 ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 222 ბაზელი-ივერდონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 223 ქსამაქსი-სენტ გალენი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 224 ლოზანა-სერვეტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16 აპრილი | | | |
| 225 ლუცერნი-გრასჰოპერი | 3,4 | 2,9 | 2,1 |

დანია. 24-ე ტური

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 226 ესბიერგი-აკადემისკი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 227 ჰერფიოლგე-ოლბორგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 228 ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 229 ვაილე-სილკებორგი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 230 ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 231 ბრიონდბიუ-ორჰუსი | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

17 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 232 ოდენსე-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

რუსეთი. მე-4 ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 233 ლოკომოტივი-ფაკელი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 234 ლოკომოტივი-ფაკელი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 235 კრილია-სპარტაკი | 5,0 | 3,2 | 1,65 |
| 236 ტორპედო-სატურნი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 237 ზენიტი-დინამო | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 238 როსტსელმაში-ნოვგოროდი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 239 ალანია-ანჟი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 240 ურალანი-როტორი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 241 ცსკა-ჩერნომორეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 242 ცსკა-ჩერნომორეცი | | | |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

შვედეთი. მე-2 ტური

16 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 243 ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 244 სუნდსვალი-იორებრო | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 245 ფრიოლუნდა-ტრელებორგი | 1,9 | 3,2 | 3,6 |
| 17 აპრილი | | | |
| 246 აიკ-ჰაკენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 247 აიკ-ჰაკენი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 248 გიოტებორგი-იორგრიტე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 249 ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

ნორვეგია. მე-2 ტური

15 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 250 ვიკინგი-ლილესტრიომი | 2,1 | 3,2 | 3,2 |
| 16 აპრილი | | | |
| 251 ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 252 მოლდე-ჰაუგესუნდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 253 მოლდე-ჰაუგესუნდი | | | |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 254 ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 255 სტარტი-მოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 256 ტრომსიო-ბრინი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 257 რუსენბორგი-ბრანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

კალათბურთი

15 აპრილი

812 ფილადელფია-დეტროიტი
813 ვაშინგტონი-მილუოკი
814 კლივლენდი-ნიუ იორკი
815 სან ანტონიო-იუტა
816 კლიპერსი-დენვერი

16 აპრილი

817 ბოსტონი-შარლოტი
818 მაიამი-ორლანდო
819 ატლანტა-კლივლენდი
820 ტორონტო-ჩიკაგო
821 დეტროიტი-ინდიანა
822 დალასი-ვანკუვერი
823 ჰიუსტონი-სიეტლი
824 ფინიქსი-იუტა
825 ლეიკერსი-მინესოტა
826 პორტლენდი-საკრამენტო

17 აპრილი

827 ფილადელფია-ინდიანა
828 ორლანდო-მილუოკი
829 სან ანტონიო-ვანკუვერი
830 გოლდენ სტეიტი-მინესოტა

ჰოკეი

15 აპრილი

832 პიტსბურგი-ვაშინგტონი
833 ტორონტო-ოტავა
834 სენტ ლუისი-სან ხოსე
835 კოლორადო-ფინიქსი
836 დეტროიტი-ლოს ანჯელესი

16 აპრილი

837 ბუფალო-ფილადელფია
838 ნიუ ჯერსი-ფლორიდა
839 ედმონტონი-დალასი

17 აპრილი

840 პიტსბურგი-ვაშინგტონი
841 ოტავა-ტორონტო
842 სან ხოსე-სენტ ლუისი
843 ფინიქსი-კოლორადო
844 ლოს ანჯელესი-დეტროიტი

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## რაგბი

# აქაც ტონგა

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის B ჯგუფში პირველი შეხვედრა გამართა და გაიმარჯვა. ჩვენებურთა მეტოქეები ლიტველები იყვნენ და როგორც თამაშის მხილველებმა გვაუწყეს, გვარიანი წინააღმდეგობაც გაუწიეს დავით კილასონიას შეგირდებს.

ნერვიულობამ იმოქმედა თუ მგზავრობის შემდეგ ძალები ვერ აღიდგინეს, პირველი ნახევარი ბალტიისპირელთა სასარგებლოდ დასრულებულა ... შესვენებას ქართველებზე სასი... უმოქმედია და მეორე ნახევარში მიშა საყვარელიძეს ლელო გაუტანია, ზურა მხეიძეს კი ხუთი საჯარიმო დარტყმით კიდევ 15 ქულა მოუტანია გუნდისთვის. საბოლოოდ ქართველებმა 20:9 იმარჯვეს.

ახლა სხვებზეც ვთქვათ — ტონგამ ჰოლანდიას მოუგო 25:6 და 16 აპრილს ჩვენებურებს დაუპირისპირდება. ჩეხეთმა მაროკოსთან 3:3 ითამაშა, მაგრამ არეკნებით გაიმარჯვა და კორეას შეხვდება, რომელმაც პოლონეთის ნაკრები დაამარცხა 24:8. აქვე B ჯგუფის სხვა შეხვედრების შედეგებსაც გაგაცნობთ:

**რუსეთი — მადაგასკარი 0:5**

**პარაგვაი — უკრაინა 5:5**

(არეკნებით გაიმარჯვა პარაგვაიმ)

**პორტუგალია — ტუნისი 20:13**

**სამოა — გერმანია 24:15**

მეორე წრეში ეს გუნდები ითამაშებენ:

**საქართველო — ტონგა**

**ჩეხეთი — კორეა**

**მადაგასკარი — პარაგვაი**

**პორტუგალია — სამოა**

**ლიტვა — ჰოლანდია**

**მაროკო — პოლონეთი**

**რუსეთი — უკრაინა**

**ტუნისი — გერმანია**

## ველორბოლა

# პელოტონს ორიოლმა აწყინა

ოთხშაბათს დაიწყო და კვირამდე გასტანს „არაგონის ტური". ესპანეთში ბევრმა ძლიერმა მრბოლმა მოიყარა თავი, მაგრამ ისინი საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არიან. შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" მოწინავე სამეული — ლენს არმსტრონგი, ალექს ცულე და ფერნანდო ესკარტინი — საერთო ჩათვლაში ორი ეტაპის შემდეგ ძალიან ჩამორჩება ლიდერს.

პირველი ეტაპი გერმანელი მარსელ ვუსტის გამარჯვებით დასრულდა. მან ფინალურ სპრინტში მანუელ ფერნანდეს გინესსა და ხოსე ლუის რუბიერას აჯობა. ისე, შარშანაც სწორედ ვუსტი დაწინაურდა თავიდან საერთო ჩათვლაში.

დღის მთავარი შეტევა ფრანგმა კრისტოფ ორიოლმა განახორციელა. მან სტარტიდან ძალიან მალე დატოვა პელოტონის რიგები და 120 კილომეტრი ნებაყოფლობით იზოლაციაში გაატარა. მისი ნება რომ ყოფილიყო, მერეც მარტოობას ისურვებდა, მაგრამ უორიოლობა პელოტონს მოსწყინდა და ფინიშამდე ათიოდ კილომეტრით ადრე ჩაყლაპა კიდეც ლტოლვილი. ეტყობა, ლუკმა მეტად მსუყე აღმოჩნდა, პელოტონს აწყინა, რადგან მალე ის ნაწილებად დაიშალა. მართალია, შეჯიბრზე აკრედიტებული ჟურნალისტები თავს დებენ, რომ დაშლის მიზეზი 178-ე კილომეტრზე ჯგუფური წაქცევა იყოო, მაგრამ... პირველმა ნაწილმა კი ეტაპი ერთიანად დაამთავრა და, როგორც გითხარით, ვუსტმაც ყველას აჯობა.

ხუთშაბათს შეჯიბრის ყველაზე რთული ეტაპი გაიმართა. ფინიშს, რომელიც სერლერის მთაზე, აღმართში მოეწყოთ, პირველმა იტალიელმა ლეონარდო პიეპოლიმ უწია. გზის დასაწყისში რამდენიმე უკბილო შეტევა განხორციელდა. სერლერის პირველი კატეგორიის სიძნელის მთას კი პელოტონი ორად გახლეჩილი მიადგა. პიეპოლიმაც მაშინ გადაწყვიტა, აჩქარებულიყო. მას მხოლოდ რამდენიმე ესპანელი მრბოლი მიჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე აიტორ გარმენდიამ მოუმატა სიჩქარე და პიეპოლისთან ერთად გაექცა სხვებს. ფინიშამდე ორიოდ კილომეტრით ადრე კი აპენინელმა პირინეელი მაინც ჩამოიშორა და გარდა იმისა, რომ ეტაპი მოიგო, საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა.

**ბაგი გურული**

**არაგონის ტური**

პირველი ეტაპი

ბროინხალესი — ალაკანისი, 181,7 კმ

1. მარსელ ვუსტი (გერმანია) — 3 სთ 59 წთ 49 წმ
2. მანუელ ფერნანდეს გინესი (ესპანეთი)
3. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი)
4. ლორან ბროშარი (საფრანგეთი)
5. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი) — ყველას იგივე დრო

მეორე ეტაპი

ფრანა — სერლერი, 170 კმ

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია) — 4 სთ 12 წთ 15 წმ
2. აიტორ გარმენდია (ესპანეთი) — +11 წმ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი) — +20
4. ბინგენ ფერნანდესი (ესპანეთი) — +20
5. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი) — +27

**საერთო ჩათვლა**

1. ლეონარდო პიეპოლი — 8 სთ 11 წთ 54 წმ
2. აიტორ გარმენდია — +15 წმ
3. ბინგენ ფერნანდესი — +30
4. ხოსე ლუის რუბიერა — +33
5. იგორ გონსალეს გალდეანო — +36



ლეონარდო პიეპოლი

## ხელბურთი



სტუ-„მართვე" — ასკ (თბილისი). უცვლელმა ჩემპიონებმა (მუქ ფორმებში) ამჯერადაც იოლად მოიგეს

მამუკა კაკილაშვილის ფოტო

# ღვინის ქალაქს მამლები შეესივნენ

**საქართველოს ჩემპიონატი**

საქართველოს გუშინწინ დაწყებულმა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა პირველობის მესამე წრემ „ზოოვეტი" მოისაკლისა. როგორც საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა თამაზ თევზაძემ გვითხრა, ამ გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო თანხა ვერ გადაიხადა და ამიტომ მოხსნეს. ვეტერინარებს თურმე გასული ჩემპიონატიც მუქთად ჩაუტარებიათ, მაგრამ შერჩათ. განვლილ ორ ტურზეც დახუჭა თვალი ასოციაციამ, მაგრამ მესამეზე — ნურას უკაცრავად! ეს მტკივნეული ნაბიჯი იმიტომ გადაიდგა, რომ ჩემპიონატში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი და ვინმეს დაუმსახურებელი პრივილეგია არ მიენიჭოს. მოთამაშეთა განწყობაც ხომ გასათვალისწინებელია. ამიტომ გუნდი ჩემპიონატიდან არ მოუხსნიათ და თუ ხელმძღვანელობა ფულს გადაიხდის, მეოთხე წრეში ისევ დაუშვებენ, ოღონდ „ზოოვეტს" მესამე წრის ყველა თამაშში წაგება ჩაეთვლება. შეიკვეცება თუ არა ისედაც მოკლე ეროვნული ჩემპიონატი, ამას ახლო მომავალში შევიტყობთ, ჯერჯერობით კი შემორჩენილი ხუთი გუნდი მედლებისთვის იბრძვის.

გუშინ ამ წრის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. ერთმანეთს სტუ — „მართვე" — თბილისის ასკ და მესამე ადგილისთვის მოცილე თელავის ასკ და ბათუმის „მენავთობე" ხვდებოდნენ. პირველი წყვილის გუნდები ლიდერები არიან და მათი შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ უფრო პრინციპული მეორე მატჩს ეთქმოდა. თუ დედაქალაქელთა პაექრობა სატურნირო ცხრილში ვერაფერს შეცვლიდა (ჯერაც დაუმარცხებელ სტუ — „მართვეს" წლეულს კი არა, მომავალშიც საეჭვოა, ვინმე დაეწიოს), გამარჯვების შემთხვევაში ბათუმელები მეტოქე-კონკურენტებს ქულებით უთანაბრდებოდნენ.

პირველად სწორედ თელაველთა და ბათუმელთა მატჩი გაიმართა. თამაშზე ჩაგეძინებოდაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინცდამაინც თვალსასეიროც ვერ გამოდგა. მეტოქეები ბევრს სცოდავდნენ, ხშირად ბურთსაც კი ვერ იჭერდნენ ხელში, უზუსტო პასებზე, ხაზის დაყენებასა და სხვა შედარებით რთულ კომპონენტებზე რომ არაფერი ვთქვათ. რამდენიმე მართლაც ლამაზი კომბინაცია და მშვენიერი გოლი რომ არა, ყველაზე დასამახსოვრებელნი საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მაისურებში გამოწყობილი ბათუმელები იქნებოდნენ, რომელთა მკერდებსაც მამალი ამშვენებდა, მავანი ფრანგის რჩევით მენავთობეებს წარმატების თილისმად რომ მიუჩნევიათ. საბოლოოდ ზღვისპირელებმა 43:39 იმარჯვებს და კონკურენტებს ქულებით კი წამოეწივნენ, მაგრამ ურთიერთშეხვედრების დადებითი ბალანსის წყალობით მესამე ადგილზე კვლავაც კახელი არმიელები დარჩნენ.

დღის, ტურისა და ჩემპიონატის უმთავრეს შეხვედრაში ფავორიტად ტექნიკოსები ითვლებოდნენ. ... მატჩი სხვანაირად ... ტევიდან სტუ-„მართვემ" ... გამოიყენა, თუმცა მეტოქეთა არცთუ მწყობრად მოთამაშე დაცვას მალევე მოარგო გასაღები და გოლების გატანასაც უხშირა. დებიუტში (და არა მხოლო მაშინ) ჩვეულებრივად გაიბრწყინა ალექსანდრე ბოყოჩაძემ, რომელსაც მთელმა გუნდმა კარგად აუბა მხარი.

პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში მიდიოდა. „სტუ-მართვე" მუდამ წინ იყო, მაგრამ ანგარიშიდან ისე ჩანდა, მდევარს ყოველთვის შეძლო დაწინაურება. თუმცა, თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ამას მხოლოდ თავხედი ოპტიმისტები თუ იფიქრებდნენ. ტექნიკოსთა უპირატესობა საგრძნობი იყო და მათაც თამაშ-თამაშ, ლაღობითა და სიცილით მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. ეს უპირატესობა განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოიკვეთა — სტუ-„მართვემ" პირველი ტაიმი 15:8 მოიგო, შეხვედრა კი 35:16.

ამ მატჩმა დაგვანახა, რომ „სტუ-მართვეს" და ბოყოჩაძისთვის (თუმცა არა მარტო მისთვის) ჩვენს ჩემპიონატში მონაწილეობა სალაღობო რამე უფროა, ვიდრე პროფესიონალის საქმიანობა. ამას მის მიერ გატანილი წარმოუდგენლად იოლი გოლებიც მოწმობს და ისიც, მწვრთნელს ხშირად რომ ეხვეწებოდა, გამომცვალეო.

რაც შეეხებათ თბილისელ არმიელებს, მათ მწვრთნელის ამბერკი ტაბიძის ხელი კი ეტყობოდათ, მაგრამ გუშინდელი თამაშით წარმატებას დანარჩენ გუნდებთან თუ მიაღწევენ, თორემ ტექნიკოსებს ვერაფერს დააკლებენ. მათგან მეკარე დავით ბერიკაშვილს გამოვარჩევდით, რომელმაც ერთ მომენტში ზედიზედ ხუთი დარტყმა (მათ შორის, რამდენიმე პირისპირ გასულიც) მოიგერია, თუმც ურიგოდ არც ნაკრების ყოფილი წევრი ირაკლი ხურციძე გამოიყურებოდა.

ბოლოს კი, ვიდრე სატურნირო ცხრილს გადახედავდეთ, გეტყვით, რომ ხელბურთიდან წავიდა სტუ-„მართვესა" და ნაკრების კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი. იგივეს აპირებს კლუბშიც და ნაკრებშიც მისი უცვლელი თანაგუნდელი ირაკლი კეკელიძეც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

მესამე წრე ხვალ დამთავრდება.

**ირაკლი თავაძე**

**საქართველოს ჩემპიონატი**

მესამე წრე. მესამე ტური

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ-მართვე | 13 | 13 | 0 | 0 | 454:247 | 26 |
| 2. ასკ (თბილისი) | 13 | 10 | 0 | 3 | 463:333 | 20 |
| 3. ასკ (თელავი) | 13 | 6 | 0 | 7 | 404:426 | 12 |
| 4. მენავთობე | 13 | 6 | 0 | 7 | 421:443 | 12 |
| 5. საუ-მამული | 13 | 5 | 0 | 8 | 389:424 | 10 |
| 6. ზოოვეტი | 13 | 0 | 0 | 13 | 281:509 | 0 |

## ჭიდაობა

# მოსკოვს ქართველები არ დაამძიმებენ

დღეს მოსკოვში ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები შესუსტებული და არასრული გუნდით იასპარეზებს. ჩვენებურთაგან იხალიჩაზე ალექსანდრე ცერცვაძე (54), ჯამბულ ფუტკარაძე (58), კახა ცირამუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), მუხრან ვახტანგაძე (85) და ბაკურ გოგიტიძე (97) იჭიდავებენ. როგორც ხედავთ, მონაწილე არ გვეყოლება მძიმე წონაში, რადგან მირიან გიორგაძემ მუხლების ტრავმა ჯერაც ვერ მოირჩინა, დაშავებულია გოგელიაც, სხვების წაყვანა კი მწვრთნელებმა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. ბევრი დარჩიამ არც ლიცენზირებულები — კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), ტარიელ მელელაშვილი (76) და გენადი ჩხაიძე (97) იახლა მოსკოვში. ისინი ოლიმპიადისთვის ინდივიდუალურად ემზადებიან. რაც შეეხება ლიცენზიანტ ცერცვაძეს, მწვრთნელის თქმით ის ნაკლული საჭიდაო პრაქტიკის შესავსებად მიჰყავს.

ჩვენს ნაკრებს ლიცენზიები მხოლოდ 69 და 85 წონით კატეგორიებში არ მოუპოვებია. მოსკოვში ოლიმპიადის საგზურებიც გათამაშდება და ჯინჭველაშვილმა და ვახტანგაძემ ამაზეც უნდა იზრუნონ.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# ძუ ძუა, ხვადი ხვადია!

გუანჩჟოუში 13 აპრილს შესვენება იყო. ანატოლი კარპოვისა და სიუ ჟუნის მატჩის ოთხმა პარტიამ ვეტერანი ჩემპიონის უპირატესობა გამოკვეთა, რომელიც იმდენად ანგარიშში კი არა, თამაშის დონეში გამოიხატა და ეს ბუნებრივიცაა, თუ მეტოქეთა რეიტინგულ მაჩვენებლებს შევადარებთ — კარპოვი პირველ ოცეულშია და სიუ ჟუნი ასეულს მიღმა. ანტრაქტი ანატოლი ევგენიევიჩმა ნაყოფიერად გამოიყენა, ჯერ ჟონგშენში წავიდა და მერე შენზენს მიაშურა (გუანჩჟოუს პრესტიჟული უბნები გახლავთ). იქ მას ელოდა ბავშვების დიდი ჯგუფები, აღტაცებული ემოციები, სამახსოვრო ფოტოები და ქებული ჩინური აბრეშუმის ნაწარმი თავისი პატარას შესამოსად. ისე, კარპოვმა აბრეშუმი ცალკეც იყიდა, მოსკოვში ახლობლებს გავახარებო და გუშინ ხელახლა დაფას მიუჯდა სიუ ჟუნთან დასკვნითი ორი პარტიის სათამაშოდ, რომელიც ჩქარი ჭადრაკის წესებით უნდა შემდგარიყო. პირველ პარტიაში თეთრებით თამაშობდა და 36 სვლაში მოიგო. მხარეებმა მეფეები მეფის ფრთაზევე მიმალეს და ლაზიერის მხარესა და ცენტრში შეაბნენ. კარპოვმა ორი განაპირა პაიკით შეუტია და ჩინელის ორივე მხედარი უკუაქცია, მერე ცენტრში გადმოინაცვლა, სადაც სიუ ჟუნი შემცდარიყო და მეტოქეს პაიკი მოუგო. ენდშპილში გადასვლის შემდეგ თეთრი ეტლი და ორი კუ ძლიერ აგრესიულად უტევდნენ და 36-ე სვლაზე მოწინააღმდეგემ დილოსანმა საათი გააჩერა. ბოლო პარტია, რომელშიც ჩინელს თეთრი ფიგურებით თამაშობდა. 39-ე სვლაზე პარტია ყაიმით დასრულდა. მატჩი კარპოვმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო — 4:2, თუმცა უკმაყოფილო დარჩა, მეტს ველოდიო. ამასთან, სიუ ჟუნის რამდენიმე გასაოცარი სვლაც მოიწონა და ჩინელი დიდად აქო. ამ უკანასკნელმა ხომ საერთოდ... ამაზე ... შინაც გითხარით.

**დავით გულუა**

# სოკ-ის კრედიტი დაშნოსანი ფინანსისტისთვის



ალეკო ზახაშვილი

ბანკი „რესპუბლიკა", კეთილმოწყობილი დარბაზი და საქმიანი ფუსფუსი. ალბათ გაიკვირვებთ, სად ბანკი, კრედიტი, დებეტი და სად სპორტი, „სარბიელი", მაგრამ ნუ იჩქარებთ. საქმე ისაა, რომ ზემოხსენებული ბანკის ეკონომიკური ანალიზის სამსახურის უფროსი ალეკო ზახაშვილი დაშნით მოფარიკავეა და არც მეტი, არც ნაკლები, სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძვის. ჩვენც სწორედ ამიტომ ვესტუმრეთ „რესპუბლიკას" და ახლა ალეკო ზახაშვილთან ნაუბარს შემოგთავაზებთ.

— სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მსურველებს „ა" კატეგორიის ტურნირებში უნდა ეფარიკავათ და, ცხადია, წარმატების შემთხვევაში ავსტრალიისკენ გზაც ხსნილი იქნებოდა. ქართველებმა უფულობის გამო ასეთ ტურნირებში გამოსვლა ვერ შევძელით და სიდნეიზე ხელიც ჩაქნეული გვქონდა, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენს დღეში მყოფ ქვეყნებს შანსი მისცა — რეგიონულ ტურნირების მოწყობა მოიფიქრა, სადაც მაჩანჩალა ქვეყნები თითო მოფარიკავით იქნებიან წარმოდგენილნი და ამათგან ორი საუკეთესო ლიცენზიის მფლობელიც გახდება.

ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ერევანში მაისის ბოლოს გაიმართება და იქ მეც ვიასპარეზებ.

**— ფედერაციამ თქვენ რატომ აგირჩიათ, კონკურენტი არ გყავდათ?**

— საქმე ისაა, რომ ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩატარდა ოთხი ტურნირი, რომლის გამარჯვებულიც ერევანში ფარიკაობის უფლებას მოიპოვებდა. ამ ტურნირებისას მართლაც ღირსეული მეტოქე [illegible]ავლა. ახალგაზრდა სერგო ხატიაშვი[illegible] რომელსაც გამოცდილების წყალ[illegible] ვაჯობე და სწორედ ამიტომ ერევანში მე ვიფარიკავებ.

**— სომხეთის დედაქალაქში მეტოქეები იოლად არაფერს დაგითმობენ...**

— რა თქმა უნდა, იქ 24 ქვეყნის მოფარიკავე ჩავა და, ცხადია, ყველას ოცნება ლიცენზიაა. ასე რომ, ბრძოლა მართლაც უშელავათო იქნება, უბრძოლველად მეც არაფერს დავთმობ, ასეთი შანსი ხომ ალარასოდეს მექნება.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირში ხეირიანად გამოსვლას თავდაუზოგავი ვარჯიში და მოსამზადებლად სათანადო პირობები სჭირდება. ისეთი სამსახური გაქვთ, მოცლილი არ უნდა იყოთ, თანაც ჩვენში სპორტსმენის მომზადებისთვის როგორი პირობებიცაა, ყველას მოეხსენება...**

— მოფარიკავეები რომ ყველამ დაგვივიწყა, ლუკმა-პურის საშოვნელად ამიტომაც ავირჩიე სხვა გზა. ტრაბახში არ ჩამომართვათ და, უნიჭო კაცი არ ვარ, ტექნიკური უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, მერე საბანკო საქმეც შევისწავლე და ამას მოვკიდე ხელი, თუმც ფარიკაობაზე გული არ ამიყრია — ძველებურად ვვარჯიშობდი და აგერ, ოლიმპიადის ლიცენზიისთვისაც ვიბრძვი.

**— თქვენი ფედერაციაც სხვებივით ალბათ ვერაფერში გეხმარებათ.**

— ხომ გითხარით, უფულობის გამო უცხოურ ტურნირებზე ვერ გავემგზავრეთ-მეთქი.

**— სერგო ხატიაშვილს გამოცდილებით ვაჯობეო, თქვით, მოდით, ორიოდ სიტყვით თქვენს წარსულზე[illegible] გვითხარით.**

— ფარიკაობა 12 წლისამ დავიწყ[illegible] იგორ ვახროვთან, ჩინებულ სპეციალისტთან და არაჩვეულებრივ ადამიანთან, ბატონი იგორი ახლა რუსეთში საქმიანობს და იქაურ ახალგაზრდებს წვრთნის. მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირში მიფარიკავია და ხშირად წარმატებითაც. სეულის ოლიმპიადის წინ, 18 წლისა საკავშირო ნაკრების წევრების სპარინგ-მეტოქედ მიმიწვიეს, ეს მაშინ ჩემთვის დიდი პატივი იყო. მერე კი... მერე საქართველოში ყველაფერი თავდაყირა დადგა და დაშნა და ფარიკაობა არავის გახსენებია. ის დაკარგული წლები მენანება, სწორედ ამიტომ ერევნის ტურნირს ჩემთვის სხვა ფასი ედება. იქ თუ ვიმარჯვე, მერე ოლიმპიადაა, ოლიმპიადა კი...

**სოსო კოტორეიშვილი**



PLAY OFF

NHL

მერვედფინალი

# მამა ბურე ეშმაკებს შეეკრა

პლეი ოფის მეორე დღეს სენსაციაც გამოცხვა. აბა, ვინ არის დაზღვეული წაგებისგან, მაგრამ რაც ვაშინგტონს ხუთშაბათს დაემართა, ნამდვილი კატასტროფაა. ამიერიდან 13 აპრილი ყველაზე მწარე მოგონებად იქცევა კლუბის ისტორიაში შინ, საკუთარი მაყურებლის თვალწინ პლეი ოფში განადგურება ძნელი გადასატანი იქნება დედაქალაქელთათვის. დანარჩენ წყვილებში კი მოვლენები ისე ვითარდება, როგორც მოსალოდნელი იყო.

REUTERS ვაშინგტონიდან



ვაშინგტონელთა მეკარე ოლაფ კოლციგი შაიბების კარიდან გამოტანას ვერ აუდიოდა

## დასავლეთი

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 2:0**

**0:0 1:0 1:0**

**1:0 კოზლოვი 21'43 (1); 2:0 ფიოდოროვი 59'47 (1)**

პირთამდე სავსე „ჯო ლუის არენა" [illegible]რის პირველ შეხვედრაში სულ სხვა ბრძოლას ელოდა. ცხადია, ქომაგებს [illegible]მლათ, რომ მათი საყვარელი გუნდი გამარჯვებდა, მაგრამ ეს, მათი აზრით, ლამაზ, სანახაობრივ თამაშში მოხდებოდა. დეტროიტი ხომ ყველაზე შედეგიანი გუნდია ლიგაში, „მეფეები" კი [illegible] გუნდების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ბევრი გოლი გააქვთ და მეტოქესაც აძლევენ ამის საშუალებას. თუმც გახსნილი ჰოკეის ნაცვლად მაყურებლებმა ფხიზელი, წინასწარ გათვლილი თამაში იხილეს, რომლის ინიციატორებიც სტუმრები იყვნენ. მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გაირკვა, რომ დეტროიტს ლიდერი და კაპიტანი სტივ აიზერმანი არ ეყოლებოდა, ხოლო „მეფეებს" ყველა ტრავმირებული დაუბრუნდა, მათ შორის საუკეთესო მცველი, რომ ლეიკი.

სტუმრებმა აშკარად დაცვითი ვარიანტი აირჩიეს და მეტოქის საჯარიმოს მოედანში, ეგრეთ წოდებული „ხაფანგების" დაგებით ცდილობდნენ დეტროიტელთა სწრაფი კომბინაციების ჩაშლას და, უნდა ითქვას, რომ წარმატებითაც. მასპინძელთა უპირატესობა აშკარად მხოლოდ პირველ პერიოდში იგრძნობოდა, თუმც პირველი და, როგორც გაირკვა, გადამწყვეტი გოლი მეორე მესამედში გავიდა. ის-ის იყო, სტუმრებმა თითქოს გაათანაბრეს თამაში, რომ კარის უკნიდან გამოსრიალებულმა ვიაჩესლავ კოზლოვმა გზად ორ მეტოქეს აუარა გვერდი და არცთუ ძლიერად დაარტყა. მეკარე სტეფან ფისეტმა, რომელსაც ორი დეტროიტელი უშლიდა ხელს, რეაგირება ვერ მოასწრო. ამის შემდეგ 4-5 წუთის განმავლობაში ინიციატივა „მეფეებმა" იგდეს ხელთ, მაგრამ მათ რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს. მატჩის ბედი სერგეი ფიოდოროვმა გადაწყვიტა, როცა ცარიელ კარში გოლი გაიტანა. მეკარე კრის ოსგუდმა კი კარიერაში მე-7 მშრალი მატჩი მოითვალა. „მეფეთათვის" ეს ზედიზედ მეცხრე მარცხი იყო პლეი ოფში, თუმც ამჯერად მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტს.

**კოლორადო — ფინიქსი 6:3**

**4:0 1:2 1:1**

**1:0 პოდინი 4'23 (1); 2:0 ანდრეიჩუკი 8'10 (1); 3:0 ოზოლინში 14'08 (1); 4:0 ოზოლინში 18'14 (2); 4:1 გრინი 21'37 (1); 4:2 დოუნი 24'19 (1); 5:2 ტანგეი 34'18 (1); 5:3 ნუმინენი 48'18 (1); 6:3 პოდინი 52'11 (2)**

როგორც ჩანს, ფინიქსი წინასწარ შეეგუა იმას, რომ კვლავ ვერ გადალახავს პლეი ოფის პირველი რაუნდის ბარიერს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი უნიათო თამაშით, რომელიც სტუმრებმა აჩვენეს (განსაკუთრებით პირველ პერიოდში), მომდევნო წრეში მართლაც არაფერი ესაქმებათ. დაიწყო მატჩი და 15 წუთში ყველაფერი გაირკვა. მასპინძლებმა სამი გოლიდან ორი რიცხვობრივ უმრავლესობაში გაიტანეს (და ეს მაშინ, როცა სპეცბრიგადებს მთავარი ფიგურა, პეტერ ფორსბერგი აკლდათ) და ყველა კითხვას პასუხი გასცეს. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი შონ პოდინი (2+1) გახლდათ. ფინიქსმა, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული კაპიტანი კიტ ტკაჩუკი დაუბრუნდა, სულ 15-ჯერ დაარტყა, აქტიურობით კი მხოლოდ შეინ დოუნი გამოირჩა.

**დალასი — ედმონტონი 3:0**

**1:0 1:0 1:0**

**1:0 მიულერი 15'33 (1); 2:0 ჰალი 37'55 (1); 3:0 ტორნტონი 46'22 (1)**

*სერიის ანგარიში: 2:0*

მიუხედავად ედმონტონის მწვრთნელის, კევინ ლოუს ოპტიმისტური განცხადებისა, დღეს ფიზიკურად უკეთ გამოვიყურებოდით და შინ კიდევ უფრო მოვუმატებთო, მეტოქეთა მეორე თამაშმა განამტკიცა წარმოდგენა, რომელიც პირველი შეხვედრის შემდეგ შეიქმნა. წინა სეზონისგან განსხვავებით, ედმონტონი ვერ უწევს დიდ წინააღმდეგობას ჩემპიონს. დალასელთა მეკარე ედ ბელფორი კვლავ უსაქმოდ იდგა, ხოლო მისმა პარტნიორებმა მეთოდურად გაზარდეს სხვაობა ანგარიშში და დამაჯერებლად მოიგეს. ბრეტ ჰალმა გოლი და პასი მიითვალა, ხოლო ულამაზესი პირველი საგოლე კომბინაციის წამომწყებმა მაიკ მოდანომ პლეი ოფში მე-80 ქულა მოაგროვა.

## აღმოსავლეთი

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 0:7**

**0:1 ლაუკანენი 2'30 (1); 0:2 ლანგი 6'34 (1); 0:3 სტრაკა 11'26 (1); 0:4 შლეგრი 23'00 (1); 0:5 ჰრდინა 32'03 (1); 0:6 რაიტი 33'32 (1); 0:7 ლაუკანენი 40'33 (2)**

ამას ვაშინგტონის ქომაგები ვერაფრით წარმოიდგენდნენ. ძნელია, ბედს არ დაემდურო, როცა კარში ოთხჯერ დაგირტყამენ და აქედან სამი გოლი გავა, მაგრამ 0:3 არ არის ტრაგედია, როცა წინ კიდევ ორ პერიოდზე მეტია, დედაქალაქელებმა კი მარტინ სტრაკას გოლის შემდეგ რატომღაც ხელი ჩაიქნიეს და საკუთარი კარის მისადგომები მთლად უპატრონოდ დატოვეს — პიტსბურგელთა სწრაფი კონტრშეტევებისას ოლაფ კოლციგი ხშირად მარტო უმკლავდებოდა „პინგვინთა" ფორვარდებს. მანაც მეტი ვეღარ შეძლო, მხოლოდ იაროშირ იაგრს არ გაატანინა. სამაგიეროდ, სუპერჩეხმა პარტნიორები ოთხჯერ აზეირა, სამი პასიც ალექსეი კოვალიოვმა მიითვალა.

ვაშინგტონელთა ამგვარი მარცხი მით უფრო გასაკვირია, რომ მათ წლეულს ერთ-ერთი საიმედო დაცვის მქონე გუნდად მიიჩნევდნენ. მეტოქეთა წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, მომდევნო ორი თამაში პიტსბურგში ჩატარდება.

**ფილადელფია — ბუფალო 3:2**

**2:0 0:2 1:0**

**1:0 ჯოუნსი 14'56 (1); 2:0 ლენგკოუ 19'52 (1); 2:1 ბარნსი 25'53 (1); 2:2 შატანი 32'22 (1); 3:2 განი 45'33 (1)**

დიდებული დომინიკ ჰაშეკისა და ახალბედა ფილადელფიელის — ბრაიან ბუშეს პირველ დუელში სრულიად მოულოდნელად „მფრინავთა" მეკარემ იმარჯვა. მართალია, გამოუცდელი გოლკიპერის მიერ გაშვებულ ორ შაიბას აულებელი არ ეთქმოდა (განსაკუთრებით მეორეს, რომელიც მიროსლავ შატანმა მახვილი კუთხიდან შეაგდო), მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ მასპინძლებმა გამოძებნეს გზა ჰაშეკის კარისკენ — ახლა მათ იციან, რომ „დომინატორს" მაღალ კუთხეებში უნდა დაურტყა. სწორედ ასე გაიტანეს ფილადელფიელებმა მეორე და მესამე, გადამწყვეტი გოლი.

მატჩის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ლინდროსმა პირველად ივარჯიშა მსუბუქად, რამაც „მფრინავები", ცხადია, გაამხნევა. თუმცა პირველი რაუნდის დასრულებამდე ერიკი, ალბათ, ვერ დაბრუნდება. იგი ბევრს ლაპარაკობს იმაზე, რომ გუნდის მენეჯერმა ბობი კლარკმა კაპიტნის მოვალეობა ჩამოართვა. თავის მხრივ, კლარკი აცხადებს, რომ როგორც კი გამოჯანმრთელდება, ლინდროსი ყინულზე გავა, მიუხედავად იმისა, ბოდიშს მოიხდის თუ არა.

**ნიუ ჯერსი — ფლორიდა 4:3**

**3:2 1:1 0:0**

**1:0 სტივენსი 1'38 (1); 2:0 სიკორა 4'02 (1); 3:0 ბრილინი 15'28 (1); 3:1 რ. ნიდერმაიერი 16'55 (1); 3:2 უორელი 17'33 (1); 4:2 გომესი 27'21 (1); 4:3 სილინჯერი 33'50 (1)**

ასე შვილებისთვის, ალბათ, ჯერ არც ერთ მამას არ უმუხთლია. წარსულში ცნობილი მოცურავე ვლადიმერ ბურე ბავშვობიდან თავად წვრთნიდა თავის ორ ვაჟს. მაგრამ შემდგომ მასა და ნჰლ-ის ვარსკვლავებად ქცეულ პაველისა და პაველს შორის შავმა კატამ გაირბინა და ბურე-უფროსმა ნიუ ჯერსის ახალგაზრდა მოთამაშეების — სერგეი ბრილინისა და სკოტ გომესის წვრთნას მიჰყო ხელი. თუ გომესს ვერწმუნებით, ვლადიმერი, რომელიც ფიზიკურად ამზადებდა მას, ზოგჯერ ისე ტვირთავდა, რომ ლამის ვარჯიშები შეეძულა, მაგრამ დამრიგებლის გარჯა ახლადა დააფასეს შეგირდებმა — პაველ ბურეს წინააღმდეგ მოთამაშე ახალბედებმა, არა მარტო ამოკეტეს სახელოვანი სნაიპერი (მხოლოდ 1 დარტყმა და 1 პასი), არამედ თითო-თითო გოლით გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს „ეშმაკთა" გამარჯვებაში.

**სამველ ღარიბიანი**

## გერმანია

XXX ტური

ჰერტა 0:0 ვოლფსბურგი

შალკე 0:0 ულმი

მეორე ბუნდესლიგა

XXVII ტური

კიკერსი 3:0 ვალდჰოფი

ალემანია 0:1 ქემნიცი

ზანქტ პაული 0:0 ნიურნბერგი

## საფრანგეთი

XXXI ტური

პსჟ 4:1 ლანსი

ერუა (34), 1:1 როდრიგესი (38), 2:1 ოერტი (45), 3:1, 4:1 ლერუა (50, 85)

ლიონი 0:0 სენტ ეტიენი

## პორტუგალია

XXX ტური

ფარენსე 1:2 ალვერკა

## ჰოლანდია

XXX ტური

უტრეხტი 3:1 სპარტა

## ჩეხეთი

XXV ტური

ჰ. კრალოვე 0:2 სპარტა

## თურქეთი

XXIX ტური

ბეშიქთაში 1:1 გალათასარაი

## ავსტრია

XXIX ტური

შტურმი 2:0 ლინცერი

## ინგლისი

I დივიზიონი

XLII ტური

ჩარლტონი 0:1 ჰადერსფილდი

# კვლავ ჰავანაში

დიეგო მარადონა კვლავ ჰავანაშია და თავის ნარკოტიკულ წამლობს. ამ დღეებში კუბაში ჩასულა არგენტინის კონგრესის ქვედა პალატის თავმჯდომარე რაფაელ პასკალი. ეს პოლიტიკოსი სამიტში მონაწილეობისთვის ყოფილა იქ, მაგრამ როგორ იქნებოდა ყველაზე ცნობილი არგენტინელი არ ენახა? შეხვედრიან კიდეც ერთი მეგობრის სახლში. ეგაა მხოლოდ, პასკალი ბაირესულ კლუბ „ურაკანის" გულშემატკივარი ყოფილა და ბოყვლ დიეგოსთვის ამ კლუბის მაისურა უჩუქებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა
REUTERS ჰავანიდან


REUTERS სიდნეიდან

# მცველი

ტიტველა მოცურავე განთქმული სიდნეელი ტრიატლონისტი ნიკ მარტინი გახლავთ. მის გვერდით კი ერთი მყვინთავ-მცველია. ეს ვარჯიშობა სიდნეის ღია აუზში მიმდინარეობს, მიზნად კი ის აქვთ, რომ წამდვილი შეჯიბრისთვის გაუმზადონ. ჩაცმულ მყვინთავს ზვიგენსაწინააღმდეგო სამოსი აცვია და საჭირო იარაღებიც დამარაგებული აქვს. საქმე ისაა, რომ ტრიატლონისტებმა ოკეანეში უნდა შეცურონ და თითოეულ მათგანს თითო ზვიგენთან მებრძოლი მცველი გაჰყვება. ეგანდ ზღვის მტაცებლებმა თავდასხმა არ დააპირონ.


REUTERS ბლომფონტეინიდან

# კაპიტნის ნახდენა

სამხრეთ აფრიკის მოკრიკეტეთა კაპიტანი ჰანსი გრონიე (მარჯვნივ) ნირწამხდარია. მისმა ადვოკატმა ლესლი საკსტეინმა ვერაფერი გააწყო, სასამართლომ ამასწინანდელი ინდური ტურის დროს ბუკმეიკერებისგან ფულის აღება დაუმტკიცა. ახლა ბოდიშობანა დაიწყება...



REUTERS სილვერსტოუნიდან

# სილვერსტოუნზე

სილვერსტოუნზე დიდი მზადებაა. იმათებური აღდგომის უქმეზე ბრიტანეთის დიდი პრიზი გათამაშდება. მეფორმულენი უკვე იქ არიან. კანადელი ჟაკ ვილნევი ჯერჯერობით მოტოციკლეტს ეზომება.

# მეჯიქის ნაკერავი

მეჯიქ ჯონსონს დიზაინერობა დაუწყია და თავის ჭირთამთმენ მეუღლე კუკისთან ერთად წარმოგვიდგენს აფრიკული ფერებით გაწყობილ ჟაკეტს, რომელიც აფრიკელ ქალს ხელით შეუკერია. ჯონსონიანთ დიზაინერობა ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა აფროამერიკელთა საქველმოქმედო ღონისძიებათა რიგისა, რაც საჰარის ტერიტორიაზე შიდსით ტანჯულ ადამიანთა დასახმარებლად იმართება.




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოტსხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორაევიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტილიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ [illegible] ინფორმაციის რედაქცია [illegible] კალათბურთის განყოფილება [illegible] კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები [illegible] სტილისტები [illegible] კომპიუტერული ცენტრი [illegible] გამომშვები [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 203. ტელეფონი: 39 48 2[illegible]
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli